

1239
2001

საქართველოს
ბიბლიოლოგია


ISSN 1512-0880

18



საქართველოს ბიბლიოლოგია



№3(4), 2001



წიგნი

უნდა ავძალოდეთ გარეთ,
უნდა განვმტკიცოდე შიგნით —
თუ სადმე ნახვალ არედ,
ნიგნით და მხოლოდ ნიგნით!

მეგობარია, რომელს
ზადალი არ ჰყავს ქვეყნად —
ნიგნი! ნიგნი სურს მშრომელს
ვიყოთ, ვიძღუროთ, შევქმნათ!



ჟურნალის თანადგომთა საბჭო

ნოდარ ამალლობელი
შოთა აფაქიძე
ლევან ბერძენიშვილი
თამაზ გამყრელიძე
სესილი გოგობერიძე
მალხაზ ზაალიშვილი
დავით თარხან-მოურავი
ნანა კანდელაკი
ალექსანდრე კარტოზია

თეიმურაზ კომახიძე
ლია ნადარეიშვილი
თეიმურ ჟღენტი
ვახტანგ სართანია
აკაკი სიხარულიძე
ბაკურ სულაკაური
ირაკლი ღარიბაშვილი
რევაზ ღლონტი
თეიმურაზ ჩხენკელი
ირინა ჭანტურიშვილი

ჟურნალის რედაქცია:

- ალექსანდრე ლორინა – მთავარი რედაქტორი
გურამ თაყნიაშვილი – პასუხისმგებელი მდივანი,
მთავარი რედაქტორის მოადგილე
მზინა რაზმაძე – კომერციული დირექტორი
გულნარა სტურუბა – სამეცნიერო – მეთოდური და კორესპონდენტებთან
მუშაობის რედაქტორ-კოორდინატორი
ნანა ქავთარაძე – საქმის მწარმოებელი და კორექტორი

ინდსანარმო „ალი“

გამომცემლები: საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა; საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

რედაქციის მისამართი:

თბილისი, 380007; გუდიაშვილის ქ. 7
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ტელ.: 93-26-82



წიგნი და კომერცია	8
ოფიციალური განყოფილება	
საბიბლიოთეკო კანონმდებლობა და პოლიტიკა ევროპაში: რეკომენდაციები	10
ბიბლიოთეკა და საზოგადოება	
გურამ თაყნიაშვილი – ერის სულიერი წამალი: წერილი პირველი	14
ჩვენი ბიბლიოთეკები: მათი მდგომარეობა საუკუნის დასაწყისში	
გულიკო კვიციანიძე – პროფესიული პასუხისმგებლობა და შვებულება მადლიერება .	15
ლეილა კვინაველიძე – ბიბლიოთეკა აქტიურად ფუნქციონირებს	16
მარინა ჩიქავა – ინვალიდთა საბიბლიოთეკო მომსახურება საქართველოში	17
ტერმინოლოგიური ძიებანი	
ბადრი ცხადაძე – პალეოგრაფიულ-წიგნთმცოდნეობითი ტერმინები ქართულში: კალამი, ჩალა, ჩალამ-კალამი, კალამგირი, ყალამი, ფრთა, ლერწამი (ლინგვისტურ-ეტიმოლოგიური ანალიზი): წერილი პირველი	21
წიგნი, კითხვა, ბიბლიოთეკა	
რევაზ სურგულაძე – წიგნის კომუნიკაციური ბუნება: წერილი მეორე: წიგნის ინფორმაციულ-კომუნიკაციური მოდელი	24
ალექსანდრე ლორია – წიგნი მეურნალი	27
ბიბლიოთეკა და ეკოლოგია	
ცისანა წერეთელი – ბიბლიოთეკა და ეკოლოგიური განათლება	29
ისტორიის ფურცლებიდან	
მარიკა კალანდარიშვილი – ლანჩხუთის საბიბლიოთეკო საქმის წარსულიდან	32
ბიბლიოთეკა-იუბილარი	
გულნარა სტურუა – ხონის ბიბლიოთეკა ასი წლისა	33
გამოხმაურება	
ციალა თხელიძე – მეთოდურ სამსახურს – ინფორმაციული უზრუნველყოფა	34
ბიბლიოთეკართა ყოველთვიური სემინარების, კონფერენციებისა და სამუშაო შეხვედრების საორიენტაციო თემატიკა 2002 წლისათვის	35



გვესაუბრება პროფესიონალი

გულნარა სტურუა – ბიბლიოთეკას და ბიბლიოთეკარებს უაღრესად დიდი
სარგებლობა მოაქვთ საზოგადოებისათვის 36

ფილიმონ ყურაშვილი – სასკოლო ბიბლიოთეკარის პროფესიული
კვალიფიკაციის მოთხოვნები 38

მზია ძალაღდაძე, თამარ გოგოლაძე, ლალი ბარბაქაძე –
მხოლოდ ერთმანეთის თანადგომა 39

მერი ლომია – შეხვედრა პოეტთან 40

კულტურული გაცვლები

ნინელი მელქაძე – ძვირფასი შემოწირულობანი 41

ინგა ფილაური – პროფესიონალი და მოქალაქე უპირველეს ყოვლისა 42

უცხოეთის ბიბლიოთეკები

ენგელბერტ პლასმანი – უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკები:
გერმანული უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების სახე 44

უცხოეთის ბიბლიოთეკების ისტორიიდან

პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის სათავეებთან 48

სპეციალისტის მხარდასაჭერად

როცა თანადგომა აუცილებელია 50

სარედაქციო კავშირები

შორი თუ ახლო ადრესატები 51

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა

მოვლენები, ფაქტები 53

რევიუ

დავით გიგინეიშვილი – კინო და მუსიკა 54

ჩვენი შემოქმედება

გულნარა სტურუა – ლექსები 56

ლამარა რჩეულიშვილი – ლექსები 57

ეს საინტერესოა 58

ჩვენი გულისტკივილი: ნეკროლოგი 59

კონწარას კლუბი 60

წინა ნომერში გამოქვეყნებული ანდაზვორდის პასუხები 60

ღირშესანიშნავი და საიუბილეო თარიღების კალენდარი: (2002) 61

СОДЕРЖАНИЕ:

Книга и коммерция	8
Официальный раздел	
Библиотечное законодательство и политика в Европе: рекомендации	10
Библиотека и общество	
Гурам Такниашвили - Духовный целитель нации: Письмо 1-ое	14
Наши библиотеки: их состояние в начале века	
Гулико Квицаридзе - Профессиональная ответственность и благодарность читателей	15
Лейла Кикнавелидзе - Библиотека активно функционирует	16
Марина Чикава - Библиотечное обслуживание инвалидов в Грузии	17
Терминологические изыскания	
Бадри Цхададзе - Палеографические и книговедческие термины в грузинском языке: (лингвистико-этимологический анализ): Письмо 1-ое	21
Книга, чтение, библиотека	
Реваз Сургуладзе - Коммуникативная природа книги: Письмо 2-ое: информационно-коммуникативная модель книги	24
Александр Лория - Книга исцеляющая	27
Библиотека и экология	
Цисана Церетели - Библиотека и экологическое образование	29
Страницы истории	
Марика Каландаришвили - Из прошлого библиотечного дела Ланчхути	32
Библиотеки-юбиляры	
Гульнара Стуруа - Библиотеке Хони 100 лет	33
Отзывы	
Циала Тхелидзе - Методической службе - информационное обеспечение	34
Ориентировочная тематика ежемесячных семинаров, конференций и рабочих встреч библиотекарей на 2002-ой год	35

Беседует профессионал

Гульнара Стуруа - Библиотека и библиотекари приносят обществу огромную пользу ...	36
Филимон Курашвили - Требования к профессиональной квалификации школьных библиотекарей	38
Мзиа Магалдадзе, Тамар Гоголадзе, Лали Барбакадзе - Лишь поддерживая друг друга	39
Мери Ломиа - Встреча с поэтом	40

Культурный обмен

Нинель Мелкадзе - Драгоценный дар	41
Инга Пилаури - Профессионал - прежде всего гражданин	42

Зарубежные библиотеки

Энгельберт Пласман - Библиотеки высших учебных заведений: облик немецких библиотек высших учебных заведений	44
У истоков Парижской Национальной библиотеки	48

В поддержку специалиста

Когда необходима поддержка	50
----------------------------------	----

Редакционные связи

Дальние и ближние адресаты	51
----------------------------------	----

Хроника библиотечной жизни Грузии

События, факты	53
----------------------	----

Ревю

Давит Гигинеишвили - Кино и музыка	54
--	----

Наше творчество

Гульнара Стуруа - Стихи	56
-------------------------------	----

Ламара Рчеулишвили - Стихи	57
----------------------------------	----

Это интересно	58
---------------------	----

Наша боль: некролог	59
---------------------------	----

Клуб Концары	60
--------------------	----

Ответы на кроссворд, опубликованный в предыдущем номере	60
---	----

Календарь юбилейных и знаменательных дат: (2002)	61
--	----

“GEORGIAN LIBRARY” N3(4), 2001

CONTENTS



Book and Commerce	8
Official Department	
Library legislation and policy in Europe: guidelines	10
Library and Society	
Guram Takniashvili - Spiritual “medicine” for the nation: letter one	14
Our libraries at the beginning of the century	
Guliko Kvitsaridze - Professional responsibility and reader’s gratitude	15
Leila Kiknavelidze - Library works actively	16
Marina Chiqava - Library service for handicapped in Georgia	17
Terminology Research	
Badri Tskhadadze - Georgian terms related to paleography and book-learning: kalami (pencil), chalam-kalami (pest plant), qalami, prta (wing), lertsami (reed), kalamgiri; letter one	21
Book, Reading, Library	
Revaz Surguladze - Communicative nature of a book; Letter 2; Informative-communicative model of a book	24
Aleksandre Loria - Book, the curer	27
Library and Ecology	
Tsisana Tsereteli - Library and ecological education	29
From the history	
Marika Kalandarishvili - From the past of Lanchkhuti library world	32
Librarie’s jubilee	
Gulnara Sturua - Khoni library is 100 years old	33
Reader’s Feedback	
Tsiala Tkheldize - Methodological service should be provided with information	34
The suggested topics for the conferences, monthly seminars, and business meetings of librarians for 2002	35

Conversation with a Professional

Gulnara Sturua - Libraries and librarians are extremely beneficiary for the society 36
 Philimon Kurashvili - the needs of school librarians for professional qualification 38
 Mzia Maghaldadze, Tamar Gogoladze, Lali Barbakadze - With each other's support 39
 Meri Lomia - Meet the poet 40

Cultural exchanges

Nineli Melkladze - Valuable donations 41
 Inga Pilauri - Professional and citizen first of all 42

Libraries abroad

Engelbert Plassmann - Libraries of Higher Education Schools;
 the libraries of German universities and highschoools 44

From the history of foreign libraries

At the starting point of French National Library in Paris 48

To support profession

When the support is necessary 50

Editorial contacts

Remote and/or neighbouring addressees 51

Chronicle of Goreign library life

Events, facts 53

Review

David Gigineishvili - Cinema and music 54

Our Art

Gulnara Sturua - Verses 56
 Lamara Rcheulishvili - Verses 57
 This is interesting 58
 Our regrets - Obituary 59
 "Konstara's" Club 60
 Answers to the proverb-word from the previous issue 60
 The Calendar Of Important And Jubilee Dates (2002) 61

წიგნი და კომერცია

ვაჭრობა კაცობრიობის ისტორიაში არსებულ ხელობათა შორის ერთ-ერთი უძველესია. ეს საქმიანობა ისტორიის დასაწყისშივე ჩნდება და განვითარების უზარმაზარი გზა აქვს გავლილი. იცვლებოდა მისი მიმოქცევის საგანი, საშუალებები, ფორმები, პირობები, საქონელი. ასორტიმენტი, მოცულობა, გავრცელების არეალი, წესები და ჩვეულებები, მაგრამ მისი არსი მუდამ უცვლელი და ურყევი რჩებოდა – კომერცია.

კომერციული ინტერესი ვაჭრობის დროს უმთავრესია, მაგრამ მასაც თავისი მორალური მხარე აქვს – რას ყიდი, როგორ ყიდი, როგორია შენი საქონლის ხარისხი, შენი ურთიერთობა მომხმარებელთან და ა.შ.

ვაჭრობა შეიძლება ორგვარი გზით წარიმართოს: ერთი, როდესაც ვაჭარი ყიდულობს და ყიდის, მეორე – როდესაც მეწარმე ამზადებს და ყიდის. ორივე შემთხვევაში საფუძველი კომერციულია, მაგრამ სხვადასხვაა მათი მორალური მხარე. რაც იყიდება – იქნება ეს „ნემსი თუ აქლემი“, ყველაფერი საქონელია. მართალია, დიდი რუსი გამოცემული სიტინი ამბობდა, ყველაფერი საქონელია, ნაგავიც კი საქონელია, მაგრამ წიგნი არ არის საქონელი; ეს ჩვეულებრივ ხატოვან გამოთქმად თუ შეიძლება მივიჩნიოთ, რადგანაც წიგნიც საქონელია, მაგრამ სხვაა მასთან დაკავშირებული მორალური და ეთიკური ნორმები და კანონები.

წიგნებს უძველეს დროიდან ყიდდნენ საბერძნეთსა და ეგვიპტეში, კართაგენსა თუ რომში, არაბულ ქვეყნებსა თუ ჩინეთში, მაგრამ, როგორც წესი, ეს შემთხვევით ხასიათს ატარებდა, უმეტესად მხოლოდ შერეული საქონლის სავაჭროებში თუ შეიძლებოდა მათი ნახვა. წიგნის სპეციალური სავაჭროები არ იყო წესად შემოღებული. ამას მტკიცე საფუძველი რომში ჩაეყარა ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში და მას მერე მთელ მსოფლიოში გავრცედა.

საქართველოში მხოლოდ XIX საუკუნეში იციდებოდა ფეხს წიგნებით აქტიური ვაჭრობა. როგორც ყველგან, ამას ჯერ საესეებით ქაოსური სწეჲ ჰქონდა, თანდათან კი ორგანიზებულ ხასიათს ღებულობდა წიგნსავაჭროების შემოღების შედეგად. მანამდე და მას შემდეგაც თბილისის ბაზრებში წიგნებს წონითაც კი ჰყიდდნენ, რითაც ძირითადად ყასბები და ბაყლები სარგებლობდნენ თავიანთი საქონლის შესახვევად. რა თქმა უნდა, წიგნიერი ხალხი შორს იყო ამისაგან და ძალიანაც რომ სდომებოდა წიგნების გადარჩენა, ბევრს ამის სახსრებიც არ ექნებოდა. ვინ იცის, რამდენი იშვიათი წიგნი დაიღუპა, რამდენი ნაწარმოები საერთოდ გაქრა. ბაზარი წიგნების არამზნობრივად გასაღებას უწყობდა ხელს და მის უტილზირებას იწვევდა. ამ მდგომარეობიდან გამოსვლის ერთადერთი საშუალება წიგნების მაღაზიების მეშვეობით ორგანიზებული ვაჭრობა იყო.

წიგნავაჭრობა საქართველოსთვის ადრინდელე არ იყო უცხო, მაგრამ ორგანიზებული მაღაზიები – ეს უკვე ახალ მოვლენას წარმოადგენდა, რაც უდავოდ პროგრესი იყო.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში, უპირატესად თბილისში, ევროპული ყიდის პატარ-პატარა წიგნსავაჭროები ჩნდება. გარდა ამისა, ინერგება ტრადიცია, წიგნიერების საქმე სხვა კულტურულ საქმიანობას დაუკავშირონ. ცხადია, ეს უფრო ეფექტურია, რადგანაც ის ხელს უწყობს მომხმარებლის დაახლოებას წიგნთან, მაგრამ პირუკუთაც შეიძლება ითქვას – წიგნების არსებობა ხელს უწყობს მომხმარებელთა მოზიდვას. ამ თვალსა-

ზრისით, მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1819 წელს ფრანგ ვან პოლის სასტუმროსთან („ტრაქტირონ“) კლუბის ანუ კაზინოს გახსნა, სადაც პატარა ბიბლიოთეკაც არსებობდა. მკითხველთა გადმოცემით, აქ საუკეთესო წიგნები იყო თავმოყრილი და ფრანგულ-გერმანული პერიოდიკაც ყოფილა გამოწერილი. ადგილზე წიგნების გამოსაყენებლად სპეციალური კაბინეტი არსებობდა. კლუბით ხშირად სარგებლობდნენ შემდგომში ცნობილი დეკაბრისტები. აგრებოდოვი სიმპათიურად იხსენებდა ამ დაწესებულებას.

40-იან წლებში საქართველოს მოწინავე ნაწილი უკვე ნაზიარებია საბიბლიოთეკო საქმეს, იცის ჟურნალ-გაზეთების ფასი, მაგრამ ეს ფენა მეტად ვიწრო წრეს წარმოადგენს. საზოგადოება კი უფრო გაშლილ მოქმედებას ითხოვს. ამიტომაც წიგნიერი გარემოს შექმნისათვის ყოველგვარ წამოწყებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამდენად არის სწორედ საინტერესო ფრანგი პელტიეს მალაზია (1846 წ.), რომელშიც სამკითხველო ოთახიც იყო გამართული. ამავე დროს დააარსა თავისი სახალხო ბიბლიოთეკა ენფანჯინცმა (1850), რომელსაც აქვე პატარა წიგნსავაჭრო ჰქონდა. საუარაულოა, რომ ენფანჯინცმა იგი ცოტათი უფრო ადრე გახსნა, ვიდრე ბიბლიოთეკა.


თუ უწინ წიგნებს მხოლოდ სავაჭრო ქარავსლებსა და ბაზრებში ჰყიდდნენ სხვადასხვაგვარ საქონელთან ერთად, უკვე იწყება წიგნებით ევროპულ ყიდაზე ვაჭრობა. ეს ხელსაყრელი იყო მით უფრო, რომ ასეთ სავაჭროებს უმეტეს შემთხვევაში საკითხავი კაბინეტები ახლდა. ასეთი იყო, მაგალითად, ალადატოვის წიგნის მაღაზია, რომელიც 1865 წლიდან მოქმედებდა; 60-იან წლებში წიგნებით ვაჭრობდა ტერ-მიქაელიანი, რომელსაც აგრეთვე საკითხავი კაბინეტი ჰქონდა გახსნილი. მომდევნო წლებში კიდევ უფრო ფართოვდება ანალოგიური დაწესებულებები. ცნობილი იყო ფონვახმანის წიგნის მაღაზია საკითხავი კაბინეტით (1872 წლიდან). საუკუნის ბოლო მეოთხედში მოქმედებდნენ გრიჭუროვის, ვართანოვის, კალანდაძისა და ამხანაგოების და სხვა წიგნის მაღაზიები. მართალია, ზოგ მათგანს საკითხავი კაბინეტი არ გააჩნდა, მაგრამ წიგნიერების გაძლიერების საქმეში მაინც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ქართული წიგნები ნაკლებად ჰქონდათ.

ამ ფონზე უადრესად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა 1878 წელს პირველი ქართული წიგნის მაღაზიის გაჩენა, რომელიც გრიგოლ ჩარკვიანს ეკუთვნოდა. მის გახსნას აქტიურად უჭმრდნენ მხარს ილია ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილი.

ეს მაღაზია ქალაქის ცენტრში იდგა – ქაშვეთის ეკლესიასთან და საკმაოდ კარგად იყო მოწყობილი. მისი შრომით ორგანიზაციასა და მომსახურების კულტურაზე ნათლად მეტყველებს ის, რომ სხვადასხვა დროს გრიგოლ ჩარკვიანმა მაღაზიის ორი კატალოგი გამოცსვა. ეს მაღაზია იმდენად მომძლავრდა, რომ მას 900-იან წლებში ფელაილიც ჰქონდა ნამალადევში – მუშათა უბანში.

ჩარკვიანის მთავარ მაღაზიაში სისტემატურად იყრიდნენ თავს ქართველი ინტელიგენტები, ეწყობოდა სჯა-ბაასი პოლიტიკურ თუ ლიტერატურულ საკითხებზე; მოწყობილი იყო საკითხავი კაბინეტი ახალ-ახალი ჟურნალ-გაზეთებით. როგორც ჩანს, ფაქტობრივად ის ქართული წიგნის კლუბს წარმოადგენდა.

ამგვარი იყო ქუთაისში ა.ჭყონიას წიგნის მაღაზიაც საკითხავი კაბინეტით. 1883 წელს ა.ჭყონიას შეუქმნია ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკა და თავისი სავაჭროსთვის შეუერთებია. მუშაობა



საკმოდ ხელსაყრელ ვითარებაში მიმდინარეობდა, მაგრამ მას ძირითადად კომერციული ხასიათი ჰქონდა და ადრინდელი მნიშვნელობა დაუკარგავს.

წიგნმწოდებლებს წიგნგამომცემლებიც არ ჩამორჩებოდნენ; ბევრ გამომცემლობას თავისი მალაზიაც ჰქონდა; თბილისში 70-იან წლებში რამდენიმე გამომცემლობა არსებობდა ასეთი. 90-იანი წლებში კიდევ უფრო ფართოდება მათი ქსელი. საერთოდ, ბევრი კარგად ორგანიზებული გამომცემლობა და სტამბა არსებობდა თბილისში, როგორც იყო, მაგალითად, კალანდაძისა და ამხანაგობის გამომცემლობა, რომელსაც მალაზიაც ჰქონდა, მელიქიშვილისა და ამხანაგობის სტამბა, ექვთიმე ხელაძის სტამბა, რომელიც 1905 წელს პოლიციამ დაარბია, ხოლო ექვთიმე მოვლეს; დიდი პოპულარობით სარგებლობდა „ქართველთა ამხანაგობის გამომცემლობის“ წიგნის მალაზია და სხვა.

საუკუნის დასასრულისათვის თბილისში კიდევ უფრო მეტად იზრდება წიგნის მალაზიების რაოდენობა. უძრავლეს შემთხვევაში ისინი საკითხავ კაბინეტებთან ერთად ფუნქციონირებენ, მაგრამ ის მალაზიებიც კი, რომლებსაც არ ჰქონდათ განსნილი საკითხავი კაბინეტი, მაინც კეთილშობილურ საქმეს აკეთებდნენ წიგნიერების გავრცელების თვალსაზრისით; რაც შეეხება მალაზიათა საკითხავ კაბინეტებს, ზოგან ისინი, სადაც ბიბლიოთეკა არ არსებობდა, ფაქტობრივად ბიბლიოთეკების როლს ასრულებდნენ. მაგალითად, 900-იანი წლების დასაწყისში გორში ბიბლიოთეკა არ იყო, მაგრამ ორი წიგნსაჯარო არსებობდა. მათი ნოქრები კალაბუხეთსაც კი ატარებდნენ წიგნებს რელიგიური დღესასწაულების თავშეყრის ადგილებში.

1895 წელს თბილისის ცენტრში იოსებ იმედაშვილის ბუკინისტური წიგნის მალაზია გაიხსნა. მისი მფლობელი – განთქმული საზოგადო მოღვაწე და ბიბლიოფილი – ნაკლებად იყო დანტერესებული კომერციით. აქ ზოგჯერ სპეციალურად იყრიებოდნენ ქართველი ინტელიგენტები საბაასოდ და აზრთა გაცვლა-გამოცვლისათვის.

დიდად იყო ამკვარი მოღვაწეობით გატაცებული ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ბიბლიოფილი ზაქარია ჭიჭინაძე. იგი საესეებით გულწრფელად ცდილობდა ხელი შეეწყო ხელმოკლე ინტელიგენტებისათვის და თავისი მალაზიიდან სახლშიც კი ატანდა მათ წიგნებს, ხოლო ადგილზე მოხმარებისათვის უარს არავის ეუბნებოდა.

90-იან წლებისათვის თბილისის გარდა სავაჭროები არსებობდა სამხრო ქალაქებსა და დაბებში. 1889 წელს ოზურგეთში იხსნება ლაბაშიძის მალაზია და კთავართილაძის სტამბა, რომელთაც 1891 წელს ბიბლიოთეკა გაიხსნა. იგი უფასოდ ემსახურებოდა მიუხედავად, ხოლო როდესაც 1897 წელს ოზურგეთში სახალხო ბიბლიოთეკა დაარსდა, კთავართილაძემ მთელი წიგნსაცავი უსასყიდლოდ გადასცა მას. ამ პერიოდში ქუთაისში პოპულარობით სარგებლობდა ილ. ჭყონიას წიგნების მალაზია, ბათუმში ორი წიგნის მალაზია ფუნქციონირებს, მაგრამ აქ უმეტესად რუსული და სხვა უცხოური ლიტერატურაა ძირითადად; მალაზია იხსნება ფოთშიც მშენებლების მიერ, რომლებმაც აქ 1891 წელს სამკითხველო დაარსეს, რომლის მუშაობის შესახებ ანგარიშებსაც კი აქვეყნებდნენ; 1894 წელს ნოდიების სამკითხველო ლ. ტულუშის სტამბაში არსებულ სამკითხველოს შეუერთდა. 1893 წელს ლანჩხუთში შ. ცინცაძეს გაუხსნია წიგნების მალაზია. აქ კარგ წამოწყებას ჩაეყარა საფუძველი – მალაზიასთან კი არ იხსნება საკითხავი კაბინეტი, არამედ თვით მალაზია იქცევა ბიბლიოთეკად. 1893 წელს სიღნაღში ალ. მაჭუკარიანსა და ამხანაგობასაც დაუარსებიათ წიგნსაჯარო სამკითხველო კაბინეტი. ამ ხანებში ასეთივე სავაჭრო აუქციონებები კლორთიკი ფანიძეს ახალ-სენაკში, ამით აღნიშნა აგრეთვე თავისი მოღვაწეობა ზუგდიდში ტ. თოხაძემ, ხოლო 1896 წელს ალ. ბარამიძემ ყვირილში თავისი წიგნის მალაზიასთან სახალხო ბიბლიოთეკა გახსნა, რომელიც ერთადერთი იყო ამ მხარეში.

აქ ჩამოთვლილი მაგალითები ვერ ამოწურავს იმ შემთხვევებს, რომლებსაც XIX საუკუნის მიწურულსა და ახალი საუკუნის დასაწყისში ჰქონდა ადგილი. ისტორიულად ცნობილია, რომ ეს ხანა პოლიტიკურად ყველაზე მძაფრი და ეკონომიურად ყველაზე მძიმე იყო. რევოლუციურმა აღმავლობამ ერთბაშად გაზარდა მოთხოვნილება წიგნზე, მაგრამ მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობები ძალიან დაბალი იყო. ამიტომ გამომცემლობებთან და წიგნების მალაზიებთან საკითხავი კაბინეტების მოწყობა ორივე მხრივ სასარგებლო იყო.

უკვე შემდგომ წლებში, როდესაც ერთიანად იმრავლა ბიბლიოთეკების რიცხვმა, როდესაც საბჭოთა კავშირის პერიოდში ერთი პატარა სოფელი ადარ დარჩენილა საბიბლიოთეკო მომსახურების გარეშე და წიგნის ფასიც არ იყო მაღალი, დაკარგა აზრი წიგნის მალაზიებთან და გამომცემლობებთან სამკითხველოების არსებობაში. უცხოეთის ქვეყნებში კი დღემდე შემორჩენილა ეს ტრადიცია – ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს გამომცემლობებთან და წიგნსაჯაროებში იმკვარი პირობების შექმნა, როცა მომხმარებელს საშუალება ეძლევა ადგილზე იყიოს წიგნები. გვხვდება აგრეთვე სამკითხველო-კაფეები, სადაც გამოყოფილია ადგილები ახალი ჟურნალ-გაზეთების გადასაკითხად, რომ არაფერი ვთქვათ წიგნის მალაზიებზე საკითხავი კაბინეტებით. ყველას აქვს უფლება ისარგებლოს გასაყიდი წიგნებით, ადგილზე გადაიკითხოს ისინი, გადახედოს, გადასინჯოს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია იყიდოს, მისცეს დაკვეთები, ჩაატაროს საჭირო წიგნის გამოვლენა და ძიება. ზოგან ეს უმნიშვნელო ფასით ხდება, ზოგან საკვებით უფასოდ.

ჩვენმა მკითხველმა თვითონ განსაჯოს, რამდენად მოხერხებულია ასეთი რამ დღეს ჩვენი საზოგადოებისათვის. ქუჩებში უწყვეტ რიგად ჩაყოლებული წიგნები თვალს იტაცებს, გზობავეს, აგამდეღვარებს კიდევ, მაგრამ მოუხერხებელია სათითბო გარეთ დგომა და საჭირო წიგნის ძიება, არც მათი გადასინჯვაა მაინცდამაინც მოხერხებული. რამდენად უძვირბრუნა იქნებოდა, ამ წიგნებს ერთ დიდ მალაზიაში მოეყარა თავი სათანადოდ განლაგებულთ, იქვე პატარა მაგიდები მდგარიყო, სადაც მომხმარებელს საშუალება მიეცემოდა, დამჯდარიყო და გულდაგულ გაცნობოდა ან გადაეკითხა წიგნი. რატომ არ შეიძლება ინდივიდუალურ მოვაჭრეთა კორპორაციად გაერთიანება? ხომ არ გვეფიქრა, ზოგი ქვეყნის მსგავსად, ჩვენშიც გახსნილიყო წიგნის ბაზარი? რამდენი რამ გაკეთდა სხვა საქონლის ბაზრების მოსაწყობად, და რატომ არ შეიძლება ანალოგიური რამ შევქმნათ წიგნებისა და სხვა სახეობათა გამომცემებისათვის? ასეთი რამ ბიბლიოთეკების დაკომპლექტებისათვისაც ხელსაყრელი იქნებოდა. ასეთ შემთხვევაში გაიზარდებოდა შენობისა და გამყიდველის დაქირავებაც, ადრიცხვის წარმოება, საჭირო წიგნის ძიება, მით უმეტეს, თუკი მოხერხდებოდა შეერთებული ელექტრონული კატალოგის შექმნა, კომერციის შერწყმა ინტელექტუალურობასთან ცენტრალიზებული წესით, ცივილიზებულად. კომერციული სისტემაც ერთიორად გაიფრთხილდა, რაც მომხმარებელთა დიდი რაოდენობით მოზიდვას გამოიწვევდა. დღეს ადარ არის ეფექტური დაქუცმაცებულად მოქმედება, საქმემ მაღალკულტურული მარკეტინგის სახე უნდა მიიღოს.

იგივე ითქმის გამომცემლობებზეც. ყოველ გამომცემლობას თავისი ბიბლიოთეკა უნდა ჰქონდეს საკითხავი კაბინეტი. ეს არა მარტოდ დამატებითი შემოსავლის წყარო იქნება, არამედ საგრძნობლად გაზრდის მოთხოვნებს მათ მიერ გამომცემულ პროდუქციასზე, რამდენადაც ეს თავისთავად მოქმედებს რეკლამის როლსაც შესაძლებლად. გარდა ამისა, ეს იქნება საუკეთესო საშუალება საჭირო წიგნის ძიებისა, მით უმეტეს, რომ ასეთ პირობებში ადვილი იქნება ელექტრონული შეერთებული კატალოგის გამოყენება.

ეს საქმე ჩვენი მეზვერების, მარკეტინგული საქმის სპეციალისტთა და მენარბეთა სერიოზულ ყურადღებას ელის.





ევროპის საბჭო - კულტურული თანამშრომლობის საბჭო - კულტურის კომიტეტი

მე-19 შეხვედრა სტრასბურგი, 1999 წლის 12 - 14 ოქტომბერი
საბიბლიოთეკო კანონმდებლობა და პოლიტიკა ევროპაში: რეკომენდაციები

პრეამბულა

ევროპის საბჭოს დებულების (წესდების) 15 მუხლის შესაბამისად, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტი ითვალისწინებს, რომ:

• ევროსაბჭოს მიზანია მის წევრებს შორის უფრო მჭიდრო კავშირების ჩამოყალიბება. ხოლო ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია ერთობლივი ღონისძიებებით კულტურის დარგში;

• ინფორმაციის მისაწვდომობის თანაბარი უფლება ქვეყანაში მყარი დემოკრატიული გარემოს ჩამოყალიბების საწინდარია;

• ბიბლიოთეკები წარმოადგენენ ცოდნის შეუფერხებელი გავრცელების კერებს;

• ბიბლიოთეკა ინფორმაციის თავისუფალი მიღების პრინციპის კონკრეტულ გამოხატულებას წარმოადგენს და ამიტომ შესაძლებელია საზოგადოების მიერ იქნეს გამოყენებული როგორც აზრთა თავისუფალი გამოთქმის საშუალება;

• "კონვენციის მოვლენა" გაელენას ახდენს წიგნისა და ელექტრონული გამოცემის ვაჭვის ყველა მონაწილეს;

• ბიბლიოთეკა წარმოადგენს საინფორმაციო რგოლის და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უმნიშვნელოვანეს და განუყოფელ ელემენტსა და აქტიურ მოქმედ პირს;

• ევროპის ქვეყნების მთავრობების ხელმძღვანელების ევროსაბჭოს მეორე სამიტის (სტრასბურგი, 1997 წლის 10-11 ოქტომბერი) დეკლარაციის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს საინფორმაციო ტექნოლოგიებისათვის პრიორიტეტის მინიჭება პოლიტიკური და კულტურული ღონისძიებების თვალსაზრისით, რათა გამოყენებულ იქნეს "ევროპული პოლიტიკა ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის დარგში, ადამიანის უფლებათა და კულტურული მრავალფეროვნების დაცვის, აზრის თავისუფალი გამოთქმის და ინფორმაციის თავისუფლების ხელშეწყობის, ამ ტექნოლოგიების საგანმანათლებლო და კულტურული პოტენციალის მაქსიმალური ფექტის მიღწევისათვის";

• ბიბლიოთეკები მოქმედებენ გლობალიზებულ გარემოში და სთავაზობენ თავიანთ მომსახურებას და პროდუქციას მთელ მსოფლიოს;

• გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს უწყვეტი სწავლების პრინციპზე დამყარებული გრძელვადიანი საგანმანათლებლო პოლიტიკის ჩამოყალიბება;

ვერდნობა:

• ადამიანის უფლებების და ძირითად თავისუფლებების დაცვის კონვენციის მე-10 მუხლს;

• გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 217 A რეზოლუციას, დეკლარაციას ადამიანის უფლებათა შესახებ, მე-19 მუხლს;

• გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პაქტს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, 16.12.1966, მუხლი 19;

• გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციას ბავშვთა უფლებების შესახებ, 20.11.89, მუხლი 13;

• ევროსაბჭოს კონვენციას ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ, 01.02.1995;

• ევროსაბჭოს 1992 წლის 19 ნოემბრის 92/EEC დირექტივას იჯარის და დაქირავების უფლებებზე და გარკვეულ საკითხებზე საავტორო უფლებების და ინტელექტუალური საკუთრების დარგში;

• კომისიის წინადადებას ევროპის პარლამენტისადმი და საბჭოს დირექტივას საინფორმაციო საზოგადოებაში საავტორო და მომიჯნავე უფლებების ზოგიერთი საკითხების პარამონაციის თაობაზე, COM (97) 628 final - 97/0539 COD;

• იმ ჭეშმარიტებას, რომ საბიბლიოთეკო მემკვიდრეობა ევროპის ქვეყნების კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელ შემადგენელ ნაწილს და მათი თავისთავადობის ძირითად კომპონენტს წარმოადგენს;

• იფლა-იუნესკოს მანიფესტს საჯარო ბიბლიოთეკების შესახებ (1994);

• UNIDROIT კონვენციას მოპარული ან არალეგალურად ექსპორტირებული კულტურული ობიექტების შესახებ (1995);

• იფლა-იუნესკოს რეკომენდაციებს საავალდებულო ევგემპლარების გადაცემის კანონის შესახებ (1981);

• ელექტრონული დოკუმენტების დეპოზიტარული ფონდების შესახებ მოხსენებაში მოცემულ რეკომენდაციებს (გამოიცა ევროკომისიის მიერ, 1996);

ითვალისწინებს, რომ ამ საკითხების სირთულის გამო, საჭიროა დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული ევროპის საბიბლიოთეკო კანონმდებლობის პოლიტიკის მოღება.

იძლევა შემდეგ რეკომენდაციებს:

1. განხორციელდეს საკანონმდებლო და სხვა ღონისძიებები, რომლებიც ამ რეკომენდაციების დანართში განსაზღვრულ პრინციპებს შეესაბამება და მოქმედი კანონმდებლობა ამ პრინციპებთან იქნეს შეთანხმებული,

2. რეკომენდაციები გავრცელდეს რაც შეიძლება ფართოდ შესაბამის ორგანოებსა და პირებს შორის.

I. აზრის თავისუფალი გამოთქმა და ინფორმაციის თავისუფლება.

1. ბიბლიოთეკა შექმნილია თავის მომხმარებელთა საზოგადოების სასარგებლოდ, მისი ინტერესებისათვის, იმისათვის, რომ დაიცავს მისი უფლება, ხელი მიუწვდებოდეს ინფორმაციასზე და იდეებზე.

I. საბიბლიოთეკო მომსახურება მოქალაქეთათვის უნდა გუნხორციელდეს მათი რასის, ეროვნების, რელიგიის, კულტურის, პოლიტიკური შეხედულებების, ასაკის, ფიზიკური და გონებრივი მონაცემების, სქესის და სექსუალური ორიენტაციის მიუხედავად.

II. ძირითადი ინფორმაციული მასალები, საშუალებები და მომსახურება, დაფინანსებული საზოგადოებრივი ფონდებიდან უნდა

იქნეს გადაცემული მოქალაქეთა განკარგულებაში უფასოდ და მისაწვდომი უნდა იყოს თანაბარ პირობებში საზოგადოების ყველა წევრისათვის გადანდისუნარიანობის მიუხედავად.

III. მასალებთან ან ქსელთან დაშვების აკრძალვა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მიზეზებით.

IV. ბიბლიოთეკებმა უნდა შეიძინონ მასალა და უზრუნველყონ რესურსების მისაწვდომობა თანასწორობის და სამომხმარებლო საზოგადოების საჭიროების ბაზაზე.

V. ფონდებმა და რესურსებმა უნდა ასახონ საზოგადოების სხვადასხვაკატეგორია, რომელთაც ემსახურებიან, იმ შინაარსის, ენების და ფორმატების დიპაზონში, რომელსაც მათ სთავაზობენ.

VI. ბიბლიოთეკებმა უნდა ექმნონ საუკეთესო დონით და ხარისხით მასალებთან და რესურსებთან მომხმარებელთა ინტელექტუალური და ფიზიკური დაშვების გზები.

VII. ბიბლიოთეკების სერვისი მოთხოვნილი უნდა იყოს ყველასთვის მისაწვდომი ხელსაყრელ ადგილებში, აღჭურვილი მატერიალური იმ ადამიანების მოთხოვნილებათა გათვალისწინებით, რომლებსაც აქვთ მხედველობის, სმენის და სხვა დარღვევები.

2. საბიბლიოთეკო ფონდების განვითარების ძირითადი პრინციპები

I. ბიბლიოთეკის ფონდის განვითარება უნდა იქნეს დამყარებული ბიბლიოთეკარის დამოუკიდებელ პროფესიულ შეფასებაზე, პოლიტიკური, კომერციული გავლენის გარეშე, რელიგიური, ასევე მომხმარებელთა და საზოგადოებრივი ჯგუფების წარმომადგენლებთან, საგანმანათლებლო, ინფორმაციულ და კულტურულ დაწესებულებებთან კონსულტაციების საშუალებით.

II. ფონდის განვითარების ძირითადი დებულებები მუდმივად უნდა გადამუშავდეს, რათა ასახოს ცვალებადი მოთხოვნილებები და პირობები. ფონდის განვითარების პროცესი უნდა იყოს გამჭვირვალე და პრინციპი, რომელსაც იგი ემყარება, უნდა იყოს საჯარო.

III. უმცირესობები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ თავიანთი საზოგადოების კულტურის ამსახველი მასალებით მშობლიურ ენაზე. გარდა ამისა, საბიბლიოთეკო ფონდებმა უნდა წარუდგინონ უმცირესობათა კულტურა მთელ საზოგადოებას.

IV. ბიბლიოთეკებმა უნდა წარმოქმნან ერთი სისტემა ან სისტემების ნაწილი, რომლებიც ითანამშრომლებენ ქვეყნის შიგნით მასალების შექმნისა და მათი ექსპორტის დროს, წარმოქმნიან მჭიდრო სამუშაო ურთიერთობებს სხვა კულტურულ, საგანმანათლებლო და ინფორმაციულ დაწესებულებებთან.

V. ბიბლიოთეკებმა უნდა უზრუნველყონ იმ მასალების მისაწვდომობა, რომლებიც არ წარმოადგენს ბიბლიოთეკის ფონდის ნაწილს, ისეთი გზით, როგორცაა გრძელვადიანი ეროვნული და საერთაშორისო ბიბლიოთეკათმორისი გაცვლა და მიწოდების სამსახური, ელექტრონული ინფორმაციული სამსახურისა და ქსელური ინფორმაციის ჩათვლით.

3. ელექტრონულ ქსელთან დაშვების ძირითად დებულებებთან დაკავშირებით ბიბლიოთეკები ვალდებული არიან:

I. მთლიანად გამოიყენონ ქსელური ინფორმაციის პოტენციალი, კერძოდ, ინტერნეტი, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის ისეთ ფართო ხელმისაწვდომობას, რაც შეუძლებელია ბეჭდვითი მასალების ფონდით.

II. ეცადონ მიაღწიონ მომხმარებლებისათვის ინფორმაციულ წყაროებთან ელექტრონულ შეღწევას, აგრეთვე განკარგულე-

ბაში გადასცენ ქსელური მიღწევის საჯარო სამსახური, რომელიც შეივსება ისეთი მოცულობით დახმარებისა და თანხმდგომის სამსახურიდან, რომელიც იძლევა ქსელური ინფორმაციის დამოუკიდებელ გამოყენების საშუალებას.

III. ბიბლიოთეკებმა შეგნებულად არ უნდა მისცენ მომხმარებელს დაშვების ნებართვა ინტერნეტის იმ მასალებთან, რომლებიც კანონსაწინააღმდეგოა იურისდიქციის იმ საზღვრებში, სადაც ხდება ეს დაშვება. რაც შეეხება სხვა მასალას, მომხმარებელს აქვს უფლება, გადაწყვიტოს, როგორი ინფორმაციის მიღება სურს.

IV. ჩამოაყალიბონ ძირითადი დებულებები ინტერნეტის გამოყენებისათვის, მათი ამოცანების და მიზნების გამოსახატავად ქსელურ ინფორმაციაზე საჯარო დაშვებისას.

V. პატივი სცენ მომხმარებლის უფლებებს კონფიდენციალურობისა და საკუთრების უფლებების ჩათვლით, ბიბლიოთეკების უფლებების ჩათვლით, ბიბლიოთეკების პოლიტიკის სფეროში ელექტრონულ რესურსებთან და საბიბლიოთეკო მომსახურებასთან დაკავშირებით.

VI. მუდმივად ახდენდნენ საჯარო ხელმისაწვდომობის საკითხებში საკუთარი პოლიტიკისა და მისი პრაქტიკულად გამოყენების გადახედვას, სამოქალაქო საზოგადოების ასოციაციებთან და ორგანიზაციებთან კონსულტაციებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მომსახურების მიზნების მიღწევა.

II. ბიბლიოთეკები წინისა და ინფორმაციის სახელმწიფო პოლიტიკასთან მიმართებაში

4. საბიბლიოთეკო კანონმდებლობამ და პოლიტიკურმა კურსმა უნდა:

1. უზრუნველყოს ყველა ტიპის ბიბლიოთეკებისათვის სათანადო საკანონმდებლო ბაზა და პროფესიული პლატფორმა სახელმწიფო საინფორმაციო პოლიტიკის ჩარჩოებში;

2. დაარეგულიროს მათი საქმიანობა ძირეული პრინციპებისა და უფრო დეტალური სტანდარტების ფარგლებში;

3. წარმოადგინოს პლატფორმა, რომელიც დაარეგულირებს ურთიერთობებს ბიბლიოთეკებსა და "წინის სამყაროს" ან შემეცნების უფრო ფართო სამყაროს სუბიექტებს შორის;

4. მოიცავს ყველა სახის საინფორმაციო საშუალებები, ინტერნეტში არსებული ციფრული ინფორმაციის ჩათვლით, რათა ყოველი მოქალაქისათვის უზრუნველყოფილი იქნეს ინფორმაციის თავისუფალი მიღება;

5. გაამაზავლოს ყურადღება ბიბლიოთეკის მომსახურებაზე, როგორც დემოკრატიის განვითარებისა და განმტკიცების მნიშვნელოვან ძალაზე. ამ ფუნქციის განხორციელებისა და სახელმწიფო საინფორმაციო პოლიტიკაში საბიბლიოთეკო მომსახურებისათვის სათანადო ადგილის მოპოვების მიზნით, ცენტრალურმა და ადგილობრივმა ხელისუფლებებმა უნდა უზრუნველყონ აუცილებელი საორგანიზაციო, ეკონომიკური და მართვის მექანიზმების შექმნა;

6. ჩამოაყალიბოს სახელმძღვანელო პრინციპები სხვადასხვა ტიპის ბიბლიოთეკების საქმიანობის ხარისხობრივი შეფასებისათვის.

5. ხელისუფლებამ და ორგანიზაციებმა უნდა:

1. წარმოადგინონ ნათელი სტრუქტურები საბიბლიოთეკო საქმის ყველა დონეზე. განსაზღვრონ ფუნქციები, მოვალეობები და პასუხისმგებლობა იმ პირთათვის, რომლებიც მონაწილეობენ ბიბლიოთეკების მართვაში;

2. ხელი შეუწყონ საჭირო ინფრასტრუქტურის განვი-

თარებას სხვადასხვა ტიპის ბიბლიოთეკებს შორის თანამშრომლობის მიზნით. მათი განსაკუთრებული დანიშნულებისა და ამოცანების აღიარებით სახელმწიფო საინფორმაციო პოლიტიკაში.

6. საბიბლიოთეკო მომსახურება.

ბიბლიოთეკების ტიპები, მომსახურების დონეები, საქმიანობის ინდიკატორები

1. ტექნოლოგიური, სატელეკომუნიკაციო, ქსელური და ტექნიკური აღჭურვილობის სტანდარტები, რამდენადაც შესაძლებელია, გამოყენებული უნდა იქნეს ქვეყნის შიდა და საერთაშორისო ინფორმაციის გაცვლის გამარტივების მიზნით;

2. ელექტრონული ინფორმაციის მზარდი წარმოება და გავრცელება ცვლის ბიბლიოთეკების კატეგორიებად დაყოფის ტრადიციულ სქემებს. ბიბლიოთეკებმა და საბიბლიოთეკო ქსელებმა, მიუხედავად მათი დამფინანსებელი ორგანიზაციისა, უნდა აიღონ მეტი პასუხისმგებლობა და უფრო ფართოდ მოემსახურონ მთელ საზოგადოებას;

3. უნდა ხორციელდებოდეს მოსწავლეთა და სტუდენტთა სწავლება ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების მეთოდების დარგში, რათა მათ შეეძლოთ განათლების სისტემაში და მთლიანად საზოგადოებაში არსებული საინფორმაციო საშუალებების უკეთ გამოყენება, რაც შეტანილი უნდა იქნეს ყველა დონის სასწავლო სახელმძღვანელოებსა და პროგრამებში;

4. საბიბლიოთეკო მომსახურება მომხმარებელთა სპეციალური ჯგუფებისათვის უნდა იქნეს აღნიშნული კანონმდებლობაში ან ინსტრუქციებში და განხორციელდეს ნაწილობრივ ჩვეულებრივი ბიბლიოთეკების, ნაწილობრივ სპეციალური ბიბლიოთეკების და ნაწილობრივ ცენტრალიზებული მომსახურების საშუალებით;

5. უნდა სრულდებოდეს სამეცნიერო მუშაობა, რომ შესწავლილ იქნეს, თუ როგორ შეიძლება საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში საინფორმაციო ტექნოლოგიების ახალი მიღწევების გამოყენება, მაგალითად, საბიბლიოთეკო მომსახურების დახვეწისათვის „გონიერი ბარათით“ მომსახურება;

6. ბიბლიოთეკების მმართველმა ორგანოებმა სახელმწიფო დონეზე უნდა განიხილონ საბიბლიოთეკო მომსახურების განვითარება შიდა და საერთაშორისო საინფორმაციო პოლიტიკასთან მიმართებაში, რომელიც მიზნად დაისახავს არქივების, მუზეუმების და ბიბლიოთეკების სექტორების შერწყმას.

7. ბიბლიოთეკის დაფინანსება. ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობა

1. თანაფარდობა მომსახურების მოსალოდნელ დონესა და შესაბამისი სახსრების არსებობას შორის უნდა იყოს ნათელი, ბიბლიოთეკის ტიპისა და ბიბლიოთეკის მართვის ორგანოს დონის მიუხედავად;

2. ბიბლიოთეკების დაფინანსება, ჩვეულებრივ, საზოგადოებრივი (გადამხდელთა) სახსრებიდან უნდა ხდებოდეს. ის მომსახურება, რომელიც ნაწილობრივ სხვა წყაროებიდან არის დაფინანსებული, არ უნდა მოდიოდეს წინააღმდეგობაში ბიბლიოთეკის თანამშრომელთა პროფესიულ ერთიანობასა და საბიბლიოთეკო მასალების შერჩევის პროცესთან. ხელი არ უნდა შეეშალოს ძირეული პრინციპის განხორციელებას – ბიბლიოთეკის შეუზღუდავი სარგებლობისა და მისი ძირითადი სახის მომსახურების უფასოდ მიღების შესაძლებლობას;

3. ბიბლიოთეკის მმართველობამ და ბიბლიოთეკებმა ერთობლივად უნდა შეიმუშაონ ორგანიზაციული სტრუქტურები, სამეთვალყურეო და მაკონტროლებელი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ საბიბლიოთეკო მომსახურებაზე დახარჯული საზოგ-

ადოებრივი (გადამხდელთა) სახსრების მიზნობრივად მოხმარებას, სხვადასხვა ტიპის ბიბლიოთეკებში საქმიანობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი კონტროლის მექანიზმების დანერგვის გზით;

4. ბიუჯეტში უნდა აისახებოდეს ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და უნდა იქნეს გამოყოფილი თანხები თანამშრომლებისა და მომხმარებლების სათანადო მოზადებისათვის, ახალი ტექნიკისა და მომსახურების სწორად გამოყენებისათვის.

8. განათლება და პრაქტიკული სწავლება

1. საბიბლიოთეკო განათლება უნდა იქნეს ასახული სახელმწიფო კანონმდებლობაში და საბიბლიოთეკო პოლიტიკაში, რათა უზრუნველყოფილი იქნეს საკმარისი რაოდენობის პროფესიონალ ბიბლიოთეკართა და სხვა საბიბლიოთეკო პერსონალის მომზადება;

2. ბიბლიოთეკების ხელმძღვანელობამ ხელი უნდა შეუწყოს ბიბლიოთეკის თანამშრომელთა მონაწილეობას ევროპულ თანამშრომლების გაცვლით პროგრამებში”.

III. ბიბლიოთეკები და ცოდნის ინდუსტრიები.

9. კანონებში, რომლებიც ეხება საავტორო და მომიჯნავე უფლებებს, ბიბლიოთეკები უნდა იქნეს აღიარებული საზოგადოებრივი ფუნქციის დაწესებულებებად, რომლებიც ფინანსდებიან საზოგადოებრივი ფონდებიდან ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გამოყენების გასაიოლებლად.

I. მთავრობებმა უნდა შექმნან უფლებრივი პოზიციები ბიბლიოთეკებისათვის საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში.

II. ბიბლიოთეკებს უფლება უნდა მიეცეთ, შეასრულონ თავიანთი საზოგადოებრივი ფუნქცია იმ მასალის ტიპის მიუხედავად, რომელსაც ისინი ფლობენ, იქნება ეს ბეჭდვითი, აუდიოვიზუალური თუ ციფრული ინფორმაცია. შესაბამისად იგივე ითქმის საავტორო უფლების შეღავათებზე, რომლებიც გამოიყენება ნაბეჭდი თუ ციფრული მასალების მიმართ. ბიბლიოთეკებში უნდა იქნეს ნებადართული მათი გადახედავა.

III. სამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ უფლებრივი და ფინანსური პირობები, რათა ბიბლიოთეკების მეშვეობით გარანტირებული იქნეს მოქალაქეთა შეუფერხებელი და შევება კულტურულ, სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ ინფორმაციებთან, მიუხედავად იმისა, თუ რა ფორმით ინახება, გადაიცემა, გადანაწილდება ისინი.

10. იმ მასალების შესახებ, რომლებსაც არ ეხება სახელმწიფო გაქირავებისა და დაქირავების წესები, მათი მფლობელები მომხმარებლებთან ატარებენ კონსულტაციებს ინფორმაციით, რომელიც დაცულია საავტორო უფლებით; უნდა დადგინდეს, თუ რა ინფორმაცია იქნება ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის თავისუფალი, უფასო გამოყენებისათვის. შესაბამისი თანხა უნდა იქნეს შეთანხმებული როგორც კომპენსაცია ინფორმაციის გამოყენებისათვის.

I. მთავრობას აქვს მის მიერ გამოცემული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის განსაკუთრებული ვალდებულებები.

11. ბიბლიოთეკებმა უნდა გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა იმისათვის, რომ უზრუნველყონ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა კოლექტიური ხელშეკრულებების, ლიცენზირების, ხელშეკრულებების და სხვა შეთანხმებების საშუალებით, ამ ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ფარგლებში.

II. კოლექტიური მოსალაპარაკებელი კომისიები უნდა იქმნ-

ბოდეს უფლებამოსილ პირებთან ან მათ ორგანიზაციებთან შეთანხმებით.

III. ბიბლიოთეკაში იმ მასალის გამოყენება, რომელიც ხელმისაწვდომია ელექტრონული ქსელიდან, მომხმარებლისათვის უნდა იყოს უფასო.

12. ბიბლიოთეკებმა საავტორო უფლების შესახებ ეროვნული კანონის თანახმად, ნება უნდა დართონ მომხმარებლებს ბიბლიოთეკებში ასლის გადაღებისა და გამრავლებისა.

IV. საბიბლიოთეკო მეკვიდრების დაცვა

13. სავალდებულო ეგზემპლარი წარმოადგენს მთავარ ინსტრუმენტს ეროვნული ფონდის ჩამოყალიბების საქმეში. ეროვნული ფონდი კი თავის მხრივ ეროვნული მეკვიდრებობაა. ამ საქმიანობის მიზნები შემდეგში გამოიხატება:

- 1. ეროვნული ფონდის შეგროვება მათი დაცვის მიზნით. ეროვნული კულტურის განვითარება და მომავალი თაობებისათვის გადაცემა.
- 2. ეროვნული ბიბლიოგრაფიის შედგენა და გამოცემა.
- 3. დაცული გამოცემების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

14. სავალდებულო ეგზემპლარების მორგებების საქმე არ უნდა ცვლიდეს წიგნმცოდნეობის დარგში არსებულ სახელმწიფო პოლიტიკას ინფორმატიკაში. ამ მიზნით:

1. მიღებულ უნდა იქნეს უნიფიცირებული ფორმულირება, რომელიც დაავალდებულებს გამოცემელს (მწარმოებელს) ჩაბაროს შესაბამისად ეროვნულ ფონდს სავალდებულო ეგზემპლარის ასლი.

ეგზემპლართა ნებაყოფლობით გადაცემის სისტემას არ შეიძლება შეექმნას წინააღმდეგობა, თუ იგი იგივე მიზანს ისახავს, რასაც სავალდებულო ეგზემპლარის გადაცემის პროცესი.

2. უნდა მოიცვას პუბლიკაციების ყველა კატეგორია. თითოეული მათგანისათვის კი დადგინდეს შესაბამისი ძირითადი კანონი.

სავალდებულო ეგზემპლარის შესახებ კანონმდებლობის გაფართოების შემდგომ, ყველა ტიპის ინფორმაციის მატარებელზე ელექტრონული მასალის (მედის) ჩათვლით, აუცილებელი იქნება შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი კანონმდებლობა სავალდებულო ეგზემპლარებისა და საავტორო უფლების შესახებ.

ასეთმა კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს მოცემულ ელექტრონულ მასალაში შედგენის შესაძლებლობა და შესთავაზოს საავტორო უფლების მფლობელს შესაბამისი კომპენსაცია.

სავალდებულო ეგზემპლარების დაწესების ეფექტურობის ასამაღლებლად და უზრუნველსაყოფად, რაც თავის მოქმედებაში შესვლის შემდგომ არ დააზარალებს წიგნმცოდნეობისა და საგამომცემლო საქმიანობის დანარჩენ წარმომადგენლებს, აუცილებელია მივეყვით შემდეგ წესებს:

- დეპონირება ორგანიზაციებს მოეთხოვებათ უზრუნველყონ ეფექტური ბიბლიოგრაფიული მომსახურება, ადეკვატური მიდგომა დაცული პუბლიკაციების მიმართ, ეფექტურობის ამაღლება უპირატესად ელექტრონული ქსელის გამოყენებით.
- ეროვნული ბიბლიოთეკები ან სხვა ეროვნული ბიბლიოგრაფიული სააგენტოები აქტიურად უნდა მუშაობდნენ თანამშრომლობის გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა სამთავრობო და

არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ყველა საბიბლიოთეკო ერთიანებასა თუ მიუღწეველ საზოგადოებრიობასთან.

ბეჭდური მასალის აუცილებელი გადაცემა უნდა მოხდეს შეთანხმებით, მისაღებ ნორმებში 3-დან 5 ეგზემპლარამდე. პროდუქციის შენახვისა და დაცვის დიდ ხარჯებთან დაკავშირებით, საჭიროა თავიდან ავიცილოთ ხმოვანი, აუდიოვიზუალური და ელექტრონული მასალებთან დაკავშირებული გადაფარვა საკალდებულო ცალების დებულებებში.

მეორადლირებული ეგზემპლარები ან ფასიანი პუბლიკაციები შეზღუდული რაოდენობით უნდა იყოს გადაცემული დასაცავად.

სავალდებულო ცალების კანონმდებლობის დარღვევა ფინანსური და სხვა სანქციებით დაისჯება. მათი გადაცემის კომპენსაციას უნდა წარმოადგენდეს თანადროული მასშტაბური ხასიათის ეროვნული ბიბლიოგრაფიული სამსახური.

ზოგიერთ შემთხვევაში სავალდებულო ეგზემპლარი შეიძლება იქცეს მწარმოებელთა არქივების ჩამოყალიბების ინსტრუმენტად.

ერთობლივი მუშაობის მოდელები დეპონირებულ ორგანიზაციებს შორის დაწვრილებით უნდა იქნეს გაანალიზებული და ხელშეწყობილი.

შემდგომი გამოკვლევები და ცდები აუცილებელია იმისათვის, რათა გამოკვლევულ იქნეს ელექტრონული პუბლიკაციების სავალდებულო ეგზემპლარების გადაცემის იურიდიული, ტექნიკური და ფინანსური ასპექტები.

რაც შეეხება წერილობითი მეკვიდრების საზღვარგარეთ გატანა-შემოტანის საკითხებს, რეკომენდირებულია, რომ:

წერილობითი მეკვიდრების დოკუმენტები საბიბლიოთეკო თუ სხვა ფონდებიდან, უნდა იქნეს ჩართული იმ კულტურული მეკვიდრების ნიმუშთა რეესტრში, რომელიც საექსპორტო კონტროლს ექვემდებარება.

განსაკუთრებულ შემთხვევებში ბიბლიოთეკების ფონდებში დაცული კულტურული მეკვიდრების დოკუმენტებისათვის უნდა იქნეს დაშვებული მხოლოდ დროებითი და არა მუდმივი გატანა. (პერმანენტული ექსპორტირება).

1995 წლის "UNIDROIT"-ის კონვენციის თანახმად: "კულტურული მეკვიდრების ნიმუშების უკანონოდ მითვისების ან არალეგალურად ექსპორტირებული ობიექტის შესახებ", საჭიროა შემუშავდეს რეფერენტული დოკუმენტი უკანონოდ მითვისების ან არალეგალურად ექსპორტირების ობიექტის შესახებ, 1997 წლის ევროპარლამენტის საბჭოს მიერ დადგენილი 1372-ე რეკომენდაციის გაფართოებული ფორმის თანახმად.

უნდა შეიქმნას:

ეროვნული კანონმდებლობა ეროვნულ სიმდიდრეთა საზღვარგარეთ გადაადგილების კონტროლთან დაკავშირებით, რომელიც შეესაბამება ევროსაბჭოს დირექტივას (1992 წლის 9/ XII). წერილობითი მეკვიდრებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული და საკანონმდებლო ორგანოების ერთობლივ მუშაობას ხელი უნდა შეეწყოს მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო. აგრეთვე ხელი უნდა შეეწყოს პროგრამებს, რომელთა მიზანია მეორე მსოფლიო ომის დროს გადაადგილებული წერილობითი კულტურული მეკვიდრების შესახებ ინფორმაციათა მოპოვება და მათი შეგროვება.



რედაქციისაგან: ქართულად დოკუმენტი ქვეყნდება პირველად. თარგმნილი და დასაბეჭდად მომზადებულია საქართველოს წიგნის პალატის თანამშრომელთა ჯგუფის მიერ (ნ.ალბიგვაშვილი, ი.ღარიბაშვილი, ნ.სუციშვილი).

მკიც სულიერი წაგალი

გურამ თაყაიშვილი
საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკის
ბიბლიოთეკათმცოდნეობის ცენტრის უფროსი

წერილი პირველი

„ჭბოთკლით არ ხსინათ ვინოთ“
ნ. ბაზალაძე

ერის ერთი სულიერი წამალთაგანი წიგნია, ქართული წიგნი, საქართველოს სულიერი მამების მიერ საუკუნეთა განმავლობაში შექმნილი. ქართული წიგნი ნიდავ კურნავდა ქართველი ერის სულიერ ჭრილობებს, სულიერად აძლიანებდა ერს, რის გარეშეც მხელი იყო ერის ფიზიკური გადარჩენა. წიგნის ყადრი კარგად უწყობდა ქართველმა კაცმა; ამიტომ ქმნიდა მას შინ, ნდა ლაშქრობებში, უვლიდა, გატაცებულს აბრუნებდა. ქართულმა წიგნმა ბინა დაიდო ჯერ სამონასტრო, ხოლო უფრო მოგვიანებით, საერო ბიბლიოთეკებში.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, საქართველოს ტერიტორია დაიფარა მრავალმხრივ განმტოებული საბიბლიოთეკო ქსელით. ბიბლიოთეკები გაჩნდა თითქმის ყველა დასახლებულ პუნქტში.

საბჭოთა წყობილების ბოლო პერიოდისათვის საქართველოში ითვლიდნენ სხვადასხვა ტიპისა და უწყების 8 000-ზე მეტ ბიბლიოთეკას, 11 000 თანამშრომლით. იმ დროისათვის საბიბლიოთეკო საქმე ერთი ცენტრიდან იმართებოდა. ბიბლიოთეკების მუშაობა ივემებოდა; მათ წინასწარ იცოდნენ, თუ რამდენ მკითხველს უნდა მომსახურებოდნენ, რამდენი წიგნი უნდა გაეცათ, რამდენი და რა სახის ღონისძიება უნდა ჩატარებინათ. საბიბლიოთეკო სტატისტიკაში გამეფებული იყო ციფრების პარადი, რომელიც ამ საქმის ფასადს თუ აღამაზებდა, ღრმად ჰქონდა გამდგარი ფესვები საბიბლიოთეკო-საქმის უბიროტეს მტერს – ფორმალისმს; ყველაფერი ემორჩილებოდა პარტიულობის უზენაეს პრინციპს.

ბოლო ათწლეულის მანძილზე, საქართველოს დამოუკიდებლობის პირობებში, ბიბლიოთეკები განთავისუფლდნენ ყოველგვარი პარტიული და პოლიტიკური დიქტატისაგან, ბოლო მოეღო ფორმალისმს საბიბლიოთეკო საქმეში. ამ მხრივ ბიბლიოთეკებმა შეებით ამოისუნთქეს. სამაგვიროდ 1991-1992 წწ საქართველოში დატრიალებული ამბებისა და ქვეყანაში განვითარებული სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენების შედეგად მნიშვნელოვნად დაზარალდა საბიბლიოთეკო ქსელი, განადგურდა ათასობით საბიბლიოთეკო დოკუმენტი, ხელყოფილ იქნა ბიბლიოთეკების ქონება, წიგნის კოცონები ავიზიზდა თბილისსა და საომარი მოქმედების კერებში. ისეოდა ქართული წიგნი და ამ კოცონზე ხელს ითბობდნენ პოლიტიკური ვენებათაღელვით გულანთებული ადამიანები. წიგნის კოცონებმა კიდევ ერთი განუკურნებელი ჭრილობა მიაყენა ერის სულიერ სხეულს.

დღეს, როდესაც ქვეყნის საბიბლიოთეკო ქსელის მოწყობისა და განვითარების სცენარი აქ, ჩვენში ისურება, საეციალიტებს, ბიბლიოთეკების დამფუნქციონებასა და ხელისუფლების ორგანოებს მოუხდათ ორგანიზაციული, ოურიდიული და მეთოდოლოგიური საკითხების დამოუკიდებლად შესწავლა და გადაწყვეტა. ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის განვითარებამ მკაცრი რეალობის წინაშე დააყენა საბიბლიოთეკო საქმე. ბიბლიოთეკების მართვისა და დაფინანსების ბერეკტების გადატანამ რეგიონალურ დონეზე მკვეთრად შეცვალა საბიბლიოთეკო პოლიტიკა. რეგიონალური მმართველობით ორგანოები, გამგეობები და საეროებლოები ბევრ შემთხვევაში უმართებულო გადა-


წყვეტილებებს დებულობენ ბიბლიოთეკების მიმართ, იკავებენ ბიბლიოთეკების შენობებს, ბიბლიოთეკებს აუქმებენ და ბედის ანაბარა სტოვებენ წიგნობრივ ფონდებს და, რაც მთავარია, მოსახლეობას – უწყობდ. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა და საქართველოს კულტურის სამინისტრო ამჟამად აანალიზებენ შექმნილ სიტუაციას, სწავლობენ რეგიონებში საბიბლიოთეკო ქსელის მოწყობის რეალურ მდგომარეობას; ანალიზის შედეგები მუშავდება კომპიუტერული საშუალებებით; წინასწარი მონაცემებით მარტო კულტურის სამინისტროს ბიბლიოთეკების რაოდენობა უკანასკნელი ათი წლის მანძილზე შემცირდა 4200-დან 2200-მდე. განათლების სამინისტროს სისტემის ბიბლიოთეკებს ამავე პერიოდში დააკლდა 1000-ზე მეტი სასკოლო ბიბლიოთეკა. ბევრი სოფელი უსკოლოდ, უბიბლიოთეკოდ და უწყინოდ დარჩა.

ახლა, როდესაც მიღებულია კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ, ბიბლიოთეკების ინტერესების დაცვა პირველ რიგში ევალებათ მათ დამფუნქციონებს, ხელისუფლების იმ ორგანოებს, რომელთა გამგებლობაშიც იმყოფება ბიბლიოთეკა. უსახსრობისა და ეკონომიკური სტიმულირების უქონლობის პირობებში ბიბლიოთეკების აბსოლუტურმა უმრავლესობამ შეინარჩუნა წიგნობრივი ფონდი. ბიბლიოთეკარები შესაძური ერთგულებით, მოთმობით, რულუხებითა და ენთუზიანზით ინარჩუნებენ ბიბლიოთეკებში ორგანიზებულ ერის სულიერ სიმდიდრეს. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ბიბლიოთეკების აბსოლუტური უმრავლესობა უსახსრობის გამო მოკლებულია ახალ ლიტერატურას. ბიბლიოთეკა, როგორც სოციალური ინსტიტუტი, როგორც საზოგადოების ინფორმირების, განათლებისა და კულტურის სახელმწიფო დაწესებულება, სისტემატურად უნდა იკავებოდეს ახალი დოკუმენტური მასალებით. ბიბლიოთეკები ერთადერთი დაწესებულებებია, რომლებიც ფლობენ სისტემატური წესით ორგანიზებულ მთელი კაცობრიობის ცოდნას. ისინი დაუფლებულნი არიან საჭირო ცოდნას, მეცნიერულად შესწავლილ და აპრობირებულ ფორმებსა და მეთოდებს. თუ ასე გაგრძელდა ბიბლიოთეკების შევების მდგომარეობა, განსაკუთრებით რეგიონებში, მაშინ ბიბლიოთეკები დრო და დრო, ნელი ტემპით, მაგრამ მაინც შეწყვეტენ ფუნქციონირებას. თანამედროვე ეტაპზე ამ ბიბლიოთეკებს უმეტესად მხატვრულ და საცნობარო ლიტერატურა შერჩათ. დარგობრივი ლიტერატურის დიდი ნაწილი ჩამოიწერა.

რაიონული ცენტრალური, მსხვილი სამეცნიერო, უმაღლესი სასწავლებლებისა და საქალაქო ბიბლიოთეკები თავიანთ ფონდებს აკვებენ შემოწირულობებით, ავტორთა მიერ ნაწუქარი გამოცემებით და ა.შ. აქ მკითხველს უნდა შევასწავლოთ. რომ მეცნიერული ცოდნა XXI საუკუნის დასაწყისში ათჯერ უფრო სწრაფად ძველდება, ვიდრე XX საუკუნის დასაწყისში იყო. თანამედროვე მკითხველს უახლეს ცოდნასა და ინფორმაციას საჭიროებს. ანბანური ჭეშმარიტებაა ისიც, რომ თანამედროვე პირობებში არც ერთი უწყების, დიდი თუ მცირე მოცულობის ბიბლიოთეკას არ შეუძლია მაქსიმალურად დააკმაყოფილოს მკითხველთა ცალკეული სოციალური ჯგუფების პროფესიული და ზოგადსაგანმანათლებლო – საინფორმაციო მოთხოვნები.



ჩეგონანელი მმართველობის მხგანოები, გამგებები და საჩიებულოები ბუხი შემთხვევაში უმართებულო გადაწყვეტილებებს ლებულობენ ბიბლიოთეკების მიმართ, იკავებენ ბიბლიოთეკების შენობებს, ბიბლიოთეკებს აუქმებენ და ბედის ანბარა სტოვებენ წიგნობრივ ფონდებს და, რაც მთავარია, მოსახლეობას – უწყობდ



პროფესიული პასივისგაბალობა და გკითხველთა მადლიერება



გულიკო კვიციანიძე ქობილისის №19 ბიბლიოთეკა-ფილიალის გამგე

უპირველესად მინდა მიველოცო და მადლობა ვუთხრა ჩვენი ჟურნალის - „საქართველოს ბიბლიოთეკის“ დამფუძნებლებს, მის სარედაქციო კოლექტივს. ქართულ ენაზე ამგვარი ჟურნალის დაარსება ჩვენი ოცნება იყო. ძალიან გვიხარია. მინდა ჩემი და ჩემი კოლეგების სახელით ნათელი გზა და დღევანდელი ვუსურვო.

ფალიაშვილის ქ.№41-ში მდებარე №19 ბიბლიოთეკა-ფილიალს დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი დაფუძნდა 1946 წელს, ყოფილი ვერის ბაზრის ტერიტორიაზე, ერთ პატარა ოთახში, როგორც სამკითხველო, რომელსაც იმ ტერიტორიაზე მომუშავე ადამიანების მომსახურება ევალებოდა.

ბოლოდ შრომოდ ჟურნალ-გაზეთებით. მისი გამგე და ბიბლიოთეკარი იყო აწ გარდაცვლილი ბატონი კლიმენტი ბრეგვაძე.

მუშაობის პერიოდში სამკითხველოს თანდათან ემატებოდა მკითხველი. ამიტომაც მას მიეცა უფლება, შეეძინა წიგნებიც, და ამრიგად ის წიგნით მომსახურებაზეც გადავიდა. რამდენიმე წლის შემდეგ გაიზარდა ფონდი, რამაც უფრო დიდი ფართობი მოითხოვა. 1948 წელს სამკითხველოს იმავე ტერიტორიაზე ახალი ფართი გამოუყვეს, მაგრამ ბაზარი მაინც ცუდ შთაბეჭდილებას ახდენდა როგორც მკითხველზე, ასევე სამკითხველოზე, რომელიც თავისი მუშაობის შინაარსით უკვე ბიბლიოთეკად ყალიბდებოდა.

1956 წლამდე გრძელდებოდა ბიბლიოთეკისათვის შესაფერისი ტერიტორიისათვის ბრძოლა, რისი შედეგიც იყო ალბათ ის, რომ ფალიაშვილის ქ.№41-ში 30 კვ.მ. ფართობის ოთახი გამოიხაზა. ასე დაიწყო ბიბლიოთეკამ მუშაობა ორი თანამშრომლითა და №27 მასობრივი ბიბლიოთეკის სახელწოდებით.

მოგეხსენებათ, ვაკე თბილისში მჭიდროდ დასახლებული და პრესტიჟული უბანია. ამ უბანში ბევრი სკოლა, უნივერსიტეტი, ინსტიტუტები, სამეცნიერო დაწესებულებებია. ბიბლიოთეკას მკითხველი ძალე გაუზნდა და დაიწყო სრულფასოვანი მუშაობა. იზრდებოდა ფონდი, გაიზარდა მკითხველი და სამოციან წლებში, როდესაც იმავე შენობაში განთავსდებოდა 170 კვ.მ. ფართობი (ძალაზია გაუქმდა), ადგილობრივი მოსახლეობის დიდი მხარდაჭერით და გამგის მცდელობით, ეს ფართობიც ბიბლიოთეკას გადაეცა.

ახლა უკვე ბიბლიოთეკას ჰქონდა ნათელი, სუფთა დარბაზი, რომელსაც შეეძლო ერთდროულად 25 - 30 მკითხველს მომსახურებოდა. იქვე გამოყოფილი იყო აბონემენტი და წიგნსაცავი ახალი თაროებით. იქვე გამოვლმხრივ მოწესრიგებული ბიბლიოთეკა მკითხველს მუშაობის პირობებს უქმნიდა, როგორც დარბაზში, ასევე აბონემენტზე; გამგის გარდა მკითხველებს ემსახურებოდნენ მალაქკალიფიციური ბიბლიოთეკარები ნინელი ქებაძე და ნათელა ჩაჩუა.

მოყოლებული 1973 წლიდან დღემდე, ამ ბიბლიოთეკაში ვმუშაობ, თავდაპირველად დარბაზის გამგის, შემდეგ კი - ბიბლიოთეკის გამგის

თანამდებობაზე. ამჟამად ბიბლიოთეკარებთან - ნინო ბურჯანაძესა, ქეთინო დაბრუნდაშვილსა და ნანა ბესტავაშვილთან ერთად მონაწილეობით ვმოღვაწეობთ ჩვენი უბნის მკითხველთა დასაცავი მიზნით. დღეისათვის 780-ზე მეტი მკითხველი გვყავს, წიგნალი ფონდი 25000 ეგზემპლარს აღემატება. მას შემდეგ, რაც თაროდან ჩამოვიღეთ 6000 ეგზემპლარი შინაარსობრივად მოძველებული და ხმარებისაგან გაცვეთილი წიგნი, ფონდი საკულდაკულოდ გავქმინდეთ და რეინვენტარიზაციაც დავასრულეთ. 9 - 10 ათასამდე წიგნის გაცემა გვიწევს წელიწადში. მკითხველთა დასრებისა და გაცემის მაჩვენებლები თბილ თვეებზე გაცილებით მაღალია, თორემ ზამთარში, იმ სიცივესა და უსინათლობის დროს, მკითხველი გაცილებით ნაკლები გვყავს, რასაც ადრე ვერ ვიტყვოდით. პირიქით, ზამთარში მუდამ სასვე იყო ჩვენი თბილი და ნათელი დარბაზი, რაც იმითაც იყო გამოწვეული, რომ გამოუჩენები, ყოველდღიური ჟურნალ - გაზეთები და ის საუკეთესო, უახლესი წიგნები გვქონდა, რომლითაც მაშინ კომპლექტდებოდა ჩვენი ბიბლიოთეკა.

ნამდვილი ბიბლიოთეკარის ბედნიერებაა, როდესაც მკითხველი მომსახურებით კმაყოფილია და ინფორმაციებით უზრუნველყოფილი. სიამაყით შემოძლია ვთქვა, რომ ასეთი მკითხველები არასოდეს არ გვაკლდა და ისინი ზოგჯერ ყვაილებით, ზოგჯერ თავიანთი დისერტაციების დაცვაზე მოსაწვევებით, ზოგჯერ საუკუთარი შრომებისა და წიგნების ჩექმებით გამოხატავდნენ ჩვენდამი პატივისცემასა და სიყვარულს.

რამდენიმე წელს ჩვენს ბიბლიოთეკაში აბონემენტის გამგედ მუშაობდა ამ ჟურნალის ერთ-ერთი განყოფილების ხელმძღვანელი ქალბატონი გულნარა სტურუა. ჩვენ ერთად ძალიან ბევრი ღონისძიება ჩავეტარებთ: შეხვედრა აკავი ბაქრაძესთან, პოეტ ნაზი კილასონისთან, ბატონ ირაკლი ციციშვილთან, უნივერსიტეტის ლიტერატურის წრის წარმომადგენლებთან, მოქანდაკე ლამარა ქველიძესთან, შერალ ლეილა მესხთან და სხვა მოღვაწეებთან.

მიუხედავად დღევანდელი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა, ბიბლიოთეკა დღესაც სრული დატვირთვით მუშაობს (თუ ზამთრის დღეებს არ მივიღებთ სხედველობაში, როდესაც სიცივის გამო დარბაზში მკითხველი ვერ ჯდება). დღესაც ვახერხებთ ლიტერატურული საღამოების მოწოდებას, შეხვედრებს გამოჩენილ ადამიანებთან. სულ ახლახან შეხვედრით შესანიშნავ პიროვნებას, ჩვენი ბიბლიოთეკის საყვარელ მკითხველს, ხელოვნებათმცოდნეს, პროფესორს, ქალბატონ ნადია შალუტაშვილს.

ასე რომ, ვმუშაობთ, ვმრომობთ, მომავლის იმედი არ დაგვიკარგავს. თუმცა იმედი დაკარგვის საბაბი ბევრჯერ გვქონდა. ერთ ხანს ვიღაცებმა ჩვენი შეფარებობაც კი მოინდომეს (ფართის სხვა მხნით გამოიყენება სურდათ!), მაგრამ ამ პრობლემის გადაწყვეტის დროს ისეთი სანტერესო რამ აღმოვაჩინეთ, რამაც დიდი სიხარული მოგვანიჭა, სიცივე და უშუქობა კი არა, უხელოფასობაც კი დაგვაიწყდა. ეს იყო მკითხველთა თანადგომა, მათი კატეგორიული განაცხადი ზემდგომ ორგანოებში, რომ ბიბლიოთეკა ჭირდებოდათ მათ ოჯახებს როგორც პაერი, როგორც წყალი, რომ ბიბლიოთეკა არის მათი შვილების ცოდნის წყარო!

ეს მართლაც ასეა, მაგრამ მკითხველიც რომ ამას ადასტურებს, ამაზე დიდი ჯილდო რა უნდა იყოს ჩვენთვის? მჯერა, რომ მოსახლეობას კიდევ უფრო დავჭირდებით, თუკი ჩვენი ბიბლიოთეკა თანამედროვე ტექნიკით, უახლესი წიგნებით, უახლესი ინფორმაციებით, ჟურნალ-გაზეთებით აღიჭურვება. ეს აუცილებელია!



ბიბლიოთეკა აქტიურად ფუნქციონირებს



ლეილა კიკნაველიძე
ქ.თბილისის გ. ლეონიძის
სახ. № 31-ე
ბიბლიოთეკა-ფილიალის
გამგე

გიორგი ლეონიძის სახ. №31-ე ბიბლიოთეკა 1957 წელს გაიხსნა ალ.ვახტანგის (მაშინდელი პავლევის) გამზირის №30-ში. ბიბლიოთეკის სამოქმედო რაიონში ტერიტორიის დიდი მონაკვეთი შედის, რომლის მოსახლეობა დაახლოებით 40 000 კაცს შეადგენს. აქ თავმოყრილია მნიშვნელოვანი დაწესებულებები:

თბილპიდროპროექტი, შინაგანი ჯარების სამმართველო, მხატვართა კავშირის სამხატვრო ფონდი, საშუალო სკოლები, უძაღლესი სასწავლებლები.

ბიბლიოთეკის ფონდი 27 700 ერთეულს შეადგენს. აქვს სამი განყოფილება: აბონემენტი, სამკითხველო დარბაზი და საბავშვო განყოფილება - ოთხი მუშაკით. ბიბლიოთეკის თანამშრომლები საკუთარი ენთუზიაზმისა და საქმისადმი განსაკუთრებული ერთგულებით ახერხებენ ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საინფორმაციო - კულტურულ - საგანმანათლებლო ცენტრის შენარჩუნებას.

ლიტერატურის პროპაგანდის მიზნით ბიბლიოთეკა იყენებს საბიბლიოთეკო მუშაობის მრავალგვარ ფორმასა და მეთოდებს, როგორცაა ლექცია - მოხსენებები, ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები, შეხვედრები, წიგნის გარჩევები, პოეზიის საღამოები, გამოფენები და სხვა.

ბიბლიოთეკა ოთხ ათეულ წელზე მეტია გიორგი ლეონიძის სახელს ატარებს; მწერლის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით აქ გაიმართა მშვენიერი ლიტერატურული საღამო. შემოდგომის მზით განათებულ მეჯდრო სამკითხველო დარბაზში შეიკრიბნენ ქართული მწერლობის წარმომადგენლები, მეცნიერები, გ.ლეონიძის ნათესავები და ოჯახის ახლობლები, ბიბლიოთეკის მკითხველები, რომელთაც უყვართ ლიტერატურა და აფასებენ დიდი მწერლის შემოქმედებას. მოგონებით გამოვიდნენ მწერლები: თამაზ ჩხენკელი, რომელმაც ისაუბრა არა მხოლოდ გ.ლეონიძის შემოქმედებაზე, არამედ გააცოცხლა მრავალი ეპიზოდი მწერლის ცხოვრებიდან; ბესიკ ხარანაულმა, რეზო ჩხარტიშვილმა, ნიკოლოზ კენჭოშვილმა, ისტორიკოსმა გელა სეითიძემ აუდიტორიას გააცნეს საინტერესო მასალები 20-იანი წლების ქართული პრესის ფურცლებიდან. მსახიობმა ვიზო სიხარულიძემ წაიკითხა გიორგი ლეონიძის ლექსი „ვიჟნალის პაემანი“, ხოლო მისმა შვილიშვილმა თამუნა ქუთათელაძემ ტოლი არ დაუდო თავის ბაბუსა და მსმენელები მოხიბლა გიორგი ლეონიძის შემოქმედების ცოდნით.



მიმდინარე წლის 20 ივნისს ბიბლიოთეკამ ჩაატარა მკითხველთა კონფერენცია თემაზე: „ცივილიზაციათა დიალოგი“. სამკითხველო და-

რბაზში თავი მოიყარეს სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანებმა. მეტად საინტერესო ვრცელი შესავლით ზოგადად ცივილიზაცი-აზე და ქართული კულტურის ირგვლივ მოხსენება გააკეთა ივ.ჯავახიშვილის სახელობის თსუ კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრის დოცენტმა, ისტორიკოსმა გიორგი მჭედლიშვილმა, რომელმაც განიხილა მსოფლიოში ცნობილი ნაშრომები ცივილიზაციაზე და ეს ყველაფერი მეტად საინტერესოდ მიესადაგა ქართულ კულტურას. დამსწრეთათვის იმდენად დინამიური და დაღვებით ემოციების გამომწვევი აღმოჩნდა ბატონ გიორგის საუბარი, რომ რამდენჯერმე ჩართუნენ რეპლიკებითა და მოკლე შენიშვნებით.

შემდეგი გამომსვლელი იყო ცნობილი ლიტერატორი, მაჩაბლის პრემიის პირველი ლაურეატი ბატონი თამაზ ჩხენკელი, რომელმაც მისთვის დამახასიათებელი ხატოვანი და ცოცხალი გამოსვლით მსმენელთა დიდი მოწონება დაიმსახურა. მან ისაუბრა იმაზე, თუ რას და როგორ ამბობენ ცივილიზაციის შესახებ ცნობილი მეცნიერები, ფილოლოგები, მწერლები. მსმენელებს გაუხიარა საკუთარი მოსაზრებები იმაზე, თუ რომელი ცივილიზაციის კუთვნილებდა ქართული კულტურა.

ასევე საინტერესო იყო ბატონ ნიკო კენჭოშვილის გამოსვლა. იგი სანსკრიტის სპეციალისტი, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის წამყვანი სპეციალისტია, რომელსაც წლების მანძილზე ურთიერთობა აკავშირებს ინდოეთთან. მან ისაუბრა საქართველოსა და ინდოეთის ურთიერთობის შესახებ, მის კულტურაზე, რელიგიურ მიმდინარეობაზე, ინდურ ფილოსოფიაზე. რამაც დიდი დაინტერესება გამოიწვია მსმენელებში.

ბევრი, ძალიან ბევრი საინტერესო რამ ითქვა. გამოსვლები სამათზე მეტნანს გაგრძელდა. მიუხედავად ამისა, არავინ ჩქარობდა წასვლას და შეკითხვები გრძელდებოდა. გამოითქვა სურვილი ასეთი ღონისძიების მრავალგვარ მოწყობისა.


აღსანიშნავია, რომ ბიბლიოთეკის გ.ლეონიძის შვილიშვილმა გიორგი ქვითარაძემ საჩუქრად გადასცა ლექსების კრებული „საქართველოს ცრემლები“, რომელიც შედგენილია პოეტის ქალიშვილის ნესტან ლეონიძის მიერ. მკითხველმა გიორგი მელითაურმა ბიბლიოთეკას აჩუქა გრ.ლორთქიფანიძის წიგნი „ფიქრები საქართველოზე“, მწერალმა რევაზ ჩხარტიშვილმა თავისი კოლექციიდან უსასყიდლოდ გადსცა ბიბლიოთეკას მხატვრული და კრიტიკული ლიტერატურა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, საქართველოს პუბლიცისტურ ეკონომიკური ინსტიტუტის დამფუძნებელმა და რექტორმა პროფესორმა ალექსანდრე კუჭუხიძემ, რომელთანაც საქმიანი ურთიერთობა გვაქვს ვმირებს, ბიბლიოთეკას თავისი წიგნები და ჟურნალები უბოძა.

არ შემიძლია არ აღვნიშნოთ ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველის ქალბატონ ეთერ თაბუკაშვილის დეაწლი. მისი შუამდგომლობით დამარდა კავშირი პარტიასთან „მრეწველობა გადარჩენს საქართველოს“. ამის შედეგად ბიბლიოთეკას გამოუწერეს ჟურნალ-გაზეთები. დღესაც ბატონი ვოგი თოფაძე სპონსორობას გვიწვევს.

დიდი მადლობა ქალბატონ ეთერს და ბატონ ვოგის, რომელიც გვაპირდება, რომ თავისი და სხვა ავტორების წიგნებს საჩუქრად გადასცემს ბიბლიოთეკას. იმედს გამოეთქვამთ, ჩვენი ამგვარი მხარდაჭერა შემდეგშიც გაგრძელდება.

ინვალიდთა საბიბლიოთეკო მომსახურება საქართველოში



მარინა ჩიქავა
ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ცენტრის მეთოდისტი

უსინათლოები და სხვა ფიზიკურად შეზღუდული ქმედების ადამიანები: დიდი სამამულო ომის და შრომის ინვალიდები, მათთან გათანაბრებული ინვალიდები, მოხუცები, დაბადებიდან ინვალიდები, „ავიანეთის“ მემკვიდრეები, ჩერნობილისა და მის მსგავს კატასტროფებში დაინვალიდებულნი... ისინი საზოგადოების ის ნაწილია, რომელსაც განსაკუთრებული დახმარება და მხარში ამოღება სჭირდება.

ამ საკითხის სამართლებრივი მდგომარეობის საფუძვლების მიხედვით, ბიბლიოთეკებმა ინვალიდი მკითხველების მომსახურებისას პირველ რიგში უნდა იხელმძღვანელონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით“, ასევე 1975 წლის დეკემბრის დეკლარაციით „ინვალიდთა უფლებების შესახებ“, მის მიერვე 1993 წლის 20 დეკემბერს მიღებული „ინვალიდთათვის თანაბარი შესაძლებლობათა უზრუნველყოფის ტანდარტული წესები“, ამ დოკუმენტის ერთ-ერთი წესი განსაზღვრავს ინვალიდების ხელმისაწვდომი და თანაბარი უფლებებით ინფორმაციით უზრუნველყოფას. ამასთან, ბიბლიოთეკის სპეციალისტებმა უნდა შეისწავლონ და გამოიყენონ IFLA-ს დოკუმენტები, უსინათლოთა ბიბლიოთეკების სექციის სახელმძღვანელო, ბრაილის მომხმარებელთა საბიბლიოთეკო მომსახურება და სხვა.

საქართველოს კონსტიტუციით და მის საფუძველზე დამუშავებული მოქმედი კანონებით ინვალიდებს გარანტირებული აქვთ უფლებები სხვა მოქალაქეების თანაბრად. კანონში „ინვალიდთა სოციალური დაცვის შესახებ“ (მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 1995 წლის 17 ივლისს) ჩაწერილია, რომ „სახელმწიფო ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები ინვალიდებს უქმნიან პირობებს ინფორმაციის საშუალებებით სარგებლობისათვის“ (მუხლი 7).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პრეზიდენტმა თავისი 1996 წლის 14 ოქტომბრისა და 1998 წლის 1 სექტემბრის ბრძანებულებებით დაამტკიცა საქართველოში მცხოვრებ „ინვალიდთა სოციალური დაცვის სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის 1997-2000 წლების სახელმწიფო პროგრამა“.

არიან ადამიანები, რომელთაც არ შეუძლიათ გამოიყენონ ჩვეულებრივი საბიბლიოთეკო მომსახურება. ამ კატეგორიის მკითხველებს მიეკუთვნებიან

1996 წლის 11 ივნისის მიღებული კანონის „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ საქართველოში“ მე-2 მუხლი მოითხოვს „მოხუცთა და ინვალიდთა სპეციალიზირებულ საბიბლიოთეკო მომსახურებას“, ხოლო კანონი „საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ“ – (მიღებულია 1997 წლის 28 ოქტომბერს) განსაზღვრავს, რომ ეროვნული ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება ყველასათვის ხელმისაწვდომი და შეუზღუდავია“ (მუხლი 7).

ბოლო წლებში საბიბლიოთეკო საქმეში მიღებული კანონები წინ გადადგმული ნაბიჯია საკანონმდებლო ბაზის შექმნისათვის, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, საჭიროა უფრო დაიხვეწოს მიღებული კანონების ის სტატები, სადაც ინვალიდების და მოხუცების საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურება ასახულია, და მყარი საფუძვლების შექმნა, რისთვისაც დროულად უნდა იქნეს მიღებული ისეთი დოკუმენტი, როგორცაა კანონი „სავალდებულო ცალკების შესახებ“.

ამ კანონებისა და ნორმატიული აქტების ცხოვრებაში გატარებისათვის საჭიროა გეგანაღმონო სპეციალისტული და საზოგადოებრივი ბიბლიოთეკების დღევანდელი მდგომარეობა, შესაბამისად, დაესახონ მოქმედების გზები: პირველ რიგში შევიზომოთ სპეციალისტული საბიბლიოთეკო მომსახურების განვითარების პროგრამა. ამ პროგრამის მთავარი მიზანია გარკვეული წვლილის შეტანა საბიბლიოთეკო საქმის განვითარებაში, სპეციალისტულ ბიბლიოთეკების თანამედროვე ინფორმაციულ, საგანმანათლებლო და კულტურულ ცენტრად გადაქცევაში დახმარება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და საბიბლიოთეკო პროცესების ავტომატიზაცია, სპეციალური რესურსების გამოცემა, კადრების მომზადება.

მართალია, დღევანდელ რთულ პირობებში ძნელია ქვემოთ გულმოწყალებას და სათნოებას შეინ თანამომხის მიმართ, მით უმეტეს, თუ ეს თანამომხე ფიზიკურად შეზღუდული ქმედების ადამიანი – ინვალიდია. მაგრამ – მიუხედავად ამისა, ისინი საზოგადოებაში უნდა დავაბრუნოთ, საჭიროა მათთვის ხელშემწყობი პირობების შექმნა კონსტიტუციური უფლებების გამოყენებით, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

როცა ფიზიკურად ნაკლებად შეზღუდულია სხვა კულტურულ ფასეულობებთან კავშირს, წიგნის კითხვა ინვალიდის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. წიგნი ინვალიდს საზოგადოებაში სწრაფი ადაპტაციის საშუალებას აძლევს, ხელს უწყობს მისი შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარებას, რწმენას უნერგავს თავის ძალებში. აქედან გამომდინარე, ინვალიდებისათვის ეფექტურ საბიბლიოთეკო მომსახურებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ, აუცილებელია საბიბლიოთეკო მომსახურების სისტემის პოლიტიკის შეცვლა ახალი მიმართულებით, მდგრადით და ფორმით, რათა მოხდეს ინვალიდების სოციალურ-კულტურულ ცხოვრებაში ფართო დასაქმება. იზოლაციიდან აქტიური ცხოვრებისაკენ შემობრუნება. ამისათვის კი საჭიროა სწორი, მოეფერებელი, სახელმწიფო პოლიტიკა.

საკლებად უზრუნველყოფილ ფენათა საზოგადოებაში ინტეგრირებისა და ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს ამ კატეგორიის პირთა დასაქმებისა და პროფესიული მომზადების პრობლემის გადაწყვეტა. ამ შემთხვევაში უფრო ხერხდება სულიერად, გონებრივად, თუ ფიზიკურად შეჭირვებული ადა-

საქართველოს
ბიბლიოთეკის
გვერდები

მინის ცნობიერებაში „არასრულფასოვნების“ კომპლექსისა და „სხვაზე დამოკიდებულების“ ფსიქოლოგიის დაძლევა, რის შედეგად ამგვარი პიროვნება თავს საზოგადოების სრულფასოვან წევრად გრძნობს.

დღეს, გარდამავალ პერიოდში, ბევრი უსინათლო და სხვა კატეგორიის ინვალიდი უმუშევარი დარჩა, რადგან დაიხურა ის ორგანიზაციები და საწარმოები, სადაც მათ კონტაქტი უხდებოდათ. გარდა ამისა, საბიბლიოთეკო მომსახურების დონეც დაეცა. ამგვარად, ინვალიდი კარგავს არა მარტო არსებობის მატერიალურ წყაროს, არამედ რწმენას თავის თავში. ეს კი მოითხოვს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებთან, კერძოდ ინვალიდებთან სარეაბილიტაციო სფეროში მუშაობის გაძლიერებას.

ამ შემთხვევაში თავისუფალი და თანაბარი საბიბლიოთეკო-საინფორმაციო მომსახურება ინვალიდების სოციალური რეაბილიტაციის და ინტეგრაციის, წარმატებული სწავლებისა და პროფესიული საქმიანობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ბიბლიოთეკა წარმოადგენს პრაქტიკულად ერთ-ერთ კულტურულ ცენტრს. სადაც ინვალიდს შეუძლია დაძლიოს განდეგობა.

ინვალიდთა დაცვის სამმართველოს 2001 წლის I იანვრის მონაცემებით, საქართველოში ცხოვრობს სხვადასხვა ასაკისა და კატეგორიის 139.200 ინვალიდი. აქედან I ჯგუფის 35 ათასი; II ჯგუფის 134 ათასი; III ჯგუფის 22 ათასი. ინვალიდ ბავშვთა რაოდენობა 7800. მათ შორის ყრუ-მუნჯთა რაოდენობა 3000, ომის ინვალიდების – 17 645, უსინათლო ინვალიდების – 4595, აქედან I ჯგუფი – 2640, II ჯგუფი – 1955, უსინათლო ინვალიდების ოჯახი – 406.

უსინათლო ინვალიდებს შექმნილი აქვთ უსინათლოთა საზოგადოება, რომელიც 1946 წელს გადაკეთდა უსინათლოთა კავშირის გამგეობად. მისი შექმნის მოკლე ისტორია ასეთია: 1923 წელს თბილისში დაარსდა უსინათლოთა ბიურო, რომლის მიზანი იყო ინვალიდების საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმა. 1924 წელს უსინათლო ავთანდილ ციხიშვილმა, საინციატივო ჯგუფთან ერთად, გადაწყვიტა დამოუკიდებელი შრომით მატერიალური დოვლათის შექმნის გზით გაუმჯობესებინა უსინათლოთა ცხოვრების პირობები, ეზიარებინა ისინი შრომისათვის, წიგნისათვის, ჩაება საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რისთვისაც საჭირო იყო მათი ინციატივისა და თვითმოქმედების განვითარება. ამიტომ საქართველოს თითქმის ყველა მსხვილ ქალაქში შეიქმნა უსინათლოთა წარმოებანი და ამასთან ერთად სპეციალიზებული ბიბლიოთეკები, სადაც მათი სასწავლო-შრომითი რეაბილიტაცია და სოციალური დაცვის მექანიზმების რეალიზაცია ხდებოდა.

დღეისათვის საქართველოს სხვადასხვა რეგიონსა და მსხვილ ქალაქში ფუნქციონირებს შემდეგი უსინათლოთა სპეციალიზებული ბიბლიოთეკები: თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, საგარეჯოს, ოზურგეთის, ბათუმის, ზუგდიდის. ხოლო სოხუმის, ცხინვალის, წყალტუბოს, თელავის სპეციალიზირებული ბიბლიოთეკების ფუნქციონირება შეჩერებულია ჩვენთვის ცნობილი მიზეზების გამო.

უსინათლობა ინვალიდობის უძიმესი ფორმაა. მათთვის პრაქტიკულად მიუწვდომელია ბეჭდური დოკუმენტები, ისინი ინფორმაციას გარემო სამყაროდან სასმენი და შეხებითი ანალიზატორების საშუალებით იღებენ. ამიტომ უსინათლოებს, აგრეთვე მეტყველების მძიმე დარღვევის მქონე ადამიანებს ესაჭიროებათ სპეციალური ფორმატიანი გამოცემები („ხმოვანი“, წერტილოვან-რელიეფური „ბრაილის“, მსხვილშრიტხანი წიგნები) და სპეციალური საბიბლიოთეკო-საინფორმაციო მომსახურება, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების (ტიფლოტექნიკის) გამოყენება.

საქართველოს უსინათლოთა კავშირის რესპუბლიკური ბიბლიოთეკა ქაელის მთავარი ბიბლიოთეკაა. ის მდებარეობს ქ.თბილისში, ფინიჭალის დასახლებაში. დაარსდა 1946 წელს ქ.თბილისში უსინათლოთა განათლების სახლთან. 1958 წელს ფინიჭალაში აშენდა კულტურის სახლი, სადაც ეს ბიბლიოთეკა გადავიდა და უსინათლოთა საზოგადოების კულტურის სახლთან არსებული ბიბლიოთეკა ეწოდა. ბოლო 1987 წელს ბიბლიოთეკა კულტურის სახლს გამოეყო და შეიქმნა უსინათლოთა საზოგადოების რესპუბლიკური ცენტრ-

ლური ბიბლიოთეკა.

დღეს მისი უნიკალური ფონდი 996.116 სპეციალურ ფორმატში წიგნად ეგზემპლარს აღემატება. ამ ფონდის მნიშვნელოვან ნაწილს როგორც სამამულო, ისე უცხოეთში გამოცემული კლასიკური და თანამედროვე მხატვრული, დარგობრივი სახელმძღვანელოები, მუსიკალური ჟანრის გამოცემები შეადგენს. ესენია: წერტილოვან-რელიეფური – „ბრაილის“ შრიფტზე შექმნილი წიგნები, „ხმოვანი“ – კასეტებზე ჩაწერილი წიგნები 78.627 ეგზემპლარი; მსხვილშრიტხანი და ჩვეულებრივ ნაბეჭდი წიგნები, გრამფირფიტები, ნოტები, ქართულ და უცხოურ ენებზე.

2000 წელს საქართველოს უსინათლოთა კავშირის რესპუბლიკურმა ბიბლიოთეკამ სოროსის ფონდიდან მოიპოვა გრანტები 8 600 დოლარის რაოდენობით. პროექტი შედგენილი იყო საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ცენტრში. ამ პროექტით უსინათლოთა რესპუბლიკური ბიბლიოთეკისათვის შექმნილი იყო ქსეროქსი, მაგნიტოფონი, დაიდგა ტელეფონი, შექმნილ იქნა მაგნიტოფონები, მუსიკალური ცენტრი, ყურსასმენი აპარატურა, შეტანილია ხმოვანი წიგნების ერთი ნაწილი. ხოლო უსინათლოთათვის ეროვნული ბიბლიოთეკის მუსიკალურ ცენტრში მოეწყო ორი ადგილი. დაიდგა ორი მაგნიტოფონი ყურსასმენი აპარატებით, შემოტანილია ხმოვანი წიგნები. ეს ფონდი მომავალში უფრო გაიზრდება. ეროვნულ ბიბლიოთეკას უკვე აქვს საშუალება მოემსახუროს ამ კატეგორიის მკითხველებს.

გრანტით გათვალისწინებული თანხის ნაწილი გადაერიცხა ყრუ-მუნჯთა და სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატს.

თითონ ბიბლიოთეკას 500 კვ.მ. ფართობი უჭირავს. აქედან 80 კვ.მ. სამკითხველო დარბაზს, სადაც ყოველდღიურად 40-50 მკითხველის მომსახურება შეუძლიათ. ამჟამად სამკითხველო დარბაზის განკარგულებაშია 8 მაგნიტოფონი, 15 ყურსასმენი, „ბრაილის“ შრიფტზე გლობუსი (დიამეტრი 45 სმ.) და პერიოდული გამოცემები, ქსეროქსის აპარატი, რომლის საშუალებით ინვალიდ-მკითხველებს შეუძლიათ გადაიღონ მათთვის საჭირო დოკუმენტები. აქ ტარდება ლიტერატურულ-მუსიკალური საღამოები, საინტერესო ადამიანებთან შეხვედრები. ბიბლიოთეკის თანამშრომლები აწარმოებენ „ბრაილის“ შრიფტსა და მსხვილ შრიფტზე თემატურ კართოტეკებს და კატალოგებს.

ბიბლიოთეკა მომხმარებლებს ემსახურება როგორც სტაციონარულად, ისე არასტაციონარულად – გასვლითი ფორმით – წიგნის სახლში მიტანით. მისი ფონდი სარგებლობს ათასობით უსინათლო. მაგალითად 1998 წელს ბიბლიოთეკა მოემსახურა 3725 მკითხველს, ხოლო 1999 წელს 3738, 2000 წელს – 3730. მომსახურების ყველა ფორმა უფასოა.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არადაამკაცყოფილებულია, რის გამოც მომსახურების ხარისხი დაბალია.

ბიბლიოთეკა დაკომპლექტებულია 7 სამუშაო ერთეულით. აქედან 4 უმაღლესი განათლებით და 3 საშუალო განათლებით. ბიბლიოთეკურებს ბოლო ათი წლის მანძილზე კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები არ გაუვლიათ.

ამჟამად სხვადასხვა რეგიონში უსინათლოთა სასწავლო-საწარმოოთან არსებული სპეციალიზებული ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის მოცულობა ასეთია: ქუთაისის – 659 ეგზ., ბათუმის – 712 ეგზ., რუსთავის – 903 ეგზ., ზუგდიდის – 665 ეგზ., საგარეჯოს – 46 ეგზ., ოზურგეთის – 317 ეგზ.

საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების რესპუბლიკური სპეციალური ბიბლიოთეკა ქმნიდა რესპუბლიკურ სპეციალური რესურსების სარეზერვო გაცვლით ფონდს, ახორციელებდა წიგნების ურთიერთგადაწილებას, წიგნაცვლას საბჭოთა კავშირის და საზღვარგარეთის ქვეყნების სპეციალიზებულ ბიბლიოთეკებსა და სხვა დაწესებულებებთან.

დღეს ეს ურთიერთობები მოშლილია. როცა ჩვენ ინვალიდების სპეციალიზებულ საბიბლიოთეკო მომსახურებაზე ვლაპარაკობთ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ინვალიდ-ბავშვთა საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურებას. საქართველო 1994 წლის

ხოცა ფიზიკური ნაეი
მათ უხლდავს სხვა ეეცეიე
ფასეეეობებთან ეავმიხს, ნიგნის ეითხვა
ინვაციდის ცხოვებებში მნიშვნელოვან
ხილს თამამობს.

21 აპრილს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასსამბლეის მიერ 1989 წლის 20 ნოემბერს მიღებულ „ბავშვთა უფლებათა კონვენციას“ შეუერთდა, რომლის მე-17 მუხლი განსაზღვრავს: „სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ბავშვისათვის ეროვნული და საერთაშორისო წყაროებით გაერცვლებული ინფორმაციისა და მასალების მისაწვდომობა“.

დღეს ქობილისში ფუნქციონირებს უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატი, სუსტი მხედველობის ბავშვთა ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა და ბაღი, რომელთა შეფუბას უსინათლოთა საზოგადოება ეწევა.

როგორც ცნობილია, თბილისში, ავლაბარში 1900 წელს დაარსდა თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატი, ხოლო 1946 წელს ცნობილი ქველმოქმედის ანაიდა ბელეგინას შემოწინაულობის საქველმოქმედო სახსრებზე აბაშიძის ქალმა სკოლა-ინტერნატში ბიბლიოთეკა გახსნა, რომელიც მდიდარი იყო სპეციალიზებული წიგნებით. ამჟამად ბიბლიოთეკის ფონდი 10.610 ვიზუალურ სპეციალიზებულ ფორმატის გამოცემებს შეიცავს.

უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატში სწავლობს და ცხოვრობს 60 უსინათლო მოსწავლე, 6-დან 20 წლის ასაკის. სწავლა 12 წლიანია. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არადაკმაყოფილებელია. სიმეფლის გამო მწიფობრიდან გამოვიდა „ხმოვანი“ წიგნები, ყურსამსმენი აპარატები, მაგნიტოფონები.

ამჟამად უსინათლოთა ბიბლიოთეკების დაკომპლექტება ძირითადად სპეციალიზებული გამოცემლობების – „ბრაილის“ შრიფტზე მომუშავე სტამბისა და ხმის ჩამწერი სტუდია „ფოლიანტის“ შემეფობით ხდება.

საქართველოში 1962 წელს შეიქმნა სასტამბო საამქრო, სადაც 1966 წელს გამოიცა „ვეფხისტყაოსანი“. ეს იყო „ბრაილის“ შრიფტზე პირველი ნაბეჭდი გამოცემა, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებში გაიგზავნა. გამოცემლობა „განათლებლისათ“ უსინათლოთა რედაქციის შექმნაში

დიდი წვლილი მიუძღვის პოეტ ვახტანგ ძნელაძეს. 1966 წელსვე დაარსდა ჟურნალი „სინათლე“. სულ მალე საამქრო 250-300 სააორიცხო-საგამომცემლო თაბახის პროდუქციას უშვებდა.

ჩვენი რესპუბლიკის უსინათლოთათვის დიდ და სამედიცინო შინაგან წარმოადგენს „ხმოვანი“ წიგნების გამოცემა, რომელიც „ბრაილის“ შრიფტით დაბეჭდილ წიგნებთან ერთად მათთვის სულიერ სამყაროს მანათლებლად ლამაზად იქცა. ასრულდა ქართველ უსინათლოთა დიდი ხნის ნატვრა, ფრთა შეისხა მათმა სანუკვარმა ოცნებამ: დაარსდა „ხმოვანი“ წიგნების გამომცემლობა „სხვი“. იგი მსმენელ აწვდის მაგნიტოფონის ფირზე ჩაწერილ ქართველ და საზღვარგარეთელ მწერალთა ნაწარმოებებს. საშუალო და უმაღლესი სკოლების ძირითად სახელმძღვანელოებს, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ლიტერატურას და სხვ. გამოცემლობის დაარსების საქმეს სათავეში ჩაუდგა საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების ერთ-ერთი ვეტერანი, ამოცდილი სამყურნეო მუშაკი ი.გოგიბერიძე. ახლად გახსნილ გამომცემლობას მხარში ამოუდგნენ ფონიჭალის სასწავლო-საწარმოის წამოწყების რადიოკვანძის თანამშრომლები გ.ჭუმბურიძის ხელმძღვანელობით. 1974 წლის ნოემბერ-დეკემბერში ფონიჭალის სასწავლო-საწარმოო წამოწყების რადიოკვანძში განხორციელდა პირველი ექსპერიმენტული ჩაწერა. პირველმა წიგნებმა მ.ჯავახიშვილის „ყბაჩამ და ივანიანი“, გ.ფანჯგიძის „თვალი პატიოსანი“ ვეფლას დიდი სიხარული მოჰგვარა.

ბოლო წლებში არსებული ეკონომიკური კრიზისის გამო მცირე რაოდენობით გამოიცემა სპეციალური წიგნები და ჟურნალები, არსებული პრობლემა გავლენას ახდენს უსინათლო და მხედველობადაქვეითებული ბავშვების და მოზარდების განვითარებაზე. უკანასკნელი 10 წლის მანძილზე საგამომცემლო სტამბა „ფოლიანტმა“ უსინათლოთა სკოლისათვის გამოსცა მხოლოდ ი.გოგიბერიძის „დედა ენა“, ხოლო მწიფონად „სინათლის“ ტირაჟი შემცირდა 300-დან 20 ვიზ.-მდე. მას არ გააჩნია სახსრები, რომ ჟურნალები და წიგნები დაბეჭდოს.

დღეს სტამბას მხოლოდ 70-იან წლებში შექმნილი საამქრობო

მანქანები გააჩნია და, ფაქტობრივად ტექნიკური აღჭურვილობის გარეშეა დარჩენილი.

საქართველოში გამოცემლობა „ფოლიანტი“ ერთადერთი „ხმოვანი წიგნების“ გამომცემელია. ამიტომ აუცილებელია მისი აღჭურვა თანამედროვე ხმის ჩამწერი აპარატურით.

ყრუ და სმენადაქვეითებულ ბავშვთა რესპუბლიკური სკოლა-ინტერნატი თავისი ერთსაუკუნოვანი არსებობის განმავლობაში მეტად საპასუხისმგებლო და კეთილშობილურ საქმეს ემსახურება. განუკითარო სმენადაქვეითებულ ბავშვს მეტყველება ისე, რომ მშობლიური ენის დაუფლებათან ერთად შეძლოს ზოგადსაგანმანათლებლო საგნების შესწავლა, დიდ სიმწიფეებთან არის დაკავშირებული. ეს, უბრალოდ არაა ყოვლისა, სასწავლებლის სპეციალური სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფას მოითხოვს. წიგნების განმავლობაში სკოლა-ინტერნატის რუსული სექტორი უზრუნველყოფილი იყო მოსკოვიდან გამოგზავნილი სპეციალური სახელმძღვანელოებით და მეთოდური ლიტერატურით. ქართული სექტორი მშობლიურ ენაზე არსებულ რამდენიმე სახის სპეციალიზებულ სახელმძღვანელოს ძირითადად მასობრივი სკოლის სახელმძღვანელოებით ავსებდა. 1945 წლიდან დაარსებული სკოლის ბიბლიოთეკა მდიდარი იყო მეთოდური წიგნებით, სასწავლო სახელმძღვანელოებით და საბავშვო მხატვრული ლიტერატურით. ძირითადად სსრკ-ს და საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროები ამარაგებდნენ სკოლის ბიბლიოთეკას, ხოლო თვალსაჩინოების ცენტრს – თვალსაჩინო-დინამიკური მასალით და სხვა სასკოლო მოწყობილობით, ბოლო ათი წლის მანძილზე მოსკოვიდან ყოველგვარი სპეციალური და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის განკუთვნილი სასწავლო სახელმძღვანელოების გამოგზავნა შეწყდა. ასევე უფასოდ არ შემოდიხს საქართველოში ქართულ და რუსულ ენებზე არსებული სახელმძღვანელოები, ილუსტრირებული საბავშვო მხატვრული ლიტერატურა. რაც ასე აუცილებელია როგორც სასწავლო, ისე კლასგარეშე მუშაობის პროცესში. სურდო-პედაგოგებისა და მეცნიერების ერთობლივი შრომით შედგენილია სკოლა-ინტერნატის სამეცნიერო საბჭოს მიერ მოწოდებული და დასაბუქდად გამოადებული რამდენიმე სპეციალური სახელმძღვანელო, მაგრამ დაუფინანსებლობის გამო ვერ იბეჭდებოდა.

40-50-იან წლებში ქართულ ენაზე გამოშვებული სახელმძღვანელოები დღეს ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა და მასწავლებელთა სამაგიდო წიგნებადაა ქცეული. პროგრამულ მასალას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სახელმძღვანელოთა გამოყენებით, სპეციალისტების გათვალისწინებით ასწავლიან. უსახსრობის გამო სკოლა-ინტერნატის სახელმძღვანელოების შექმნის საშუალება არ აქვს არც სპონსორი გამოიწინა, რომელიც გაითავისებდა ბუნებისგან დაჩაგრული ბავშვების პრობლემას და შეუქმნდა საჭირო სახელმძღვანელოებს და საბავშვო მხატვრულ ლიტერატურას.

იმისათვის, რომ საქართველოს უსინათლოთა კავშირის ცენტრალური ბიბლიოთეკა გაძლიერდეს და განვითარდეს როგორც ინვალიდების მთავარი სპეციალიზებული საინფორმაციო ცენტრი, საჭიროა სათანადო დაფინანსება, რათა ფონდები შეიქმნოს სპეციალური ფორმატის ლიტერატურით, თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. ბიბლიოთეკამ თავისი მუშაობა უნდა ააწესოს თანამედროვე ვითარების გათვალისწინებით: დემოკრატიული ურთიერთობის განვითარება საბაზრო ეკონომიკაში; საზოგადოების სოციალური სტრუქტურების შეცვლა; ინფორმაციული ტექნოლოგიების რევოლუცია.

სპეციალიზებული კომპიუტერული ტექნიკა (ტიფლოტექნიკა) და პროგრამული საშუალება უსინათლო მომხმარებელს, კომპიუტერული კლასის ვალების შემდეგ, საშუალებას მისცემს თვითონ დამოუკიდებლად იმუშაოს ინტერნეტში. მოახდინოს ინფორმაციის მიღება, გაცვლა და გავრცელება. ხოლო ბიბლიოთეკის სპეციალისტს შეუძლია შექმნას საცნობარო – ბიბლიოგრაფიული, რეტროსპექტიული ელექტრონული კატალოგები, მონაცემთა ბაზა და სხვ. ასევე შესაძლებელი გახდება ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურის რეპროდუცირება, მისი გამოცემა, კოორდინირება და კოოპერირება.

ხოსა ჩვენ
ინვალიდების სპეციალიზებულ
საბიბლიოთეკო მომსახურებაზე ვცაპახაჯობთ,
განსაკუთრებული ყუხადლება ენდა მიეცეს ინვალიდ
ბავშვთა საბიბლიოთეკო და საინფორმაციო
მომსახურებას.

ბიბლიოთეკაში მცირე კომპიუტერული ქსელების ლოკალიზაცია საფუძველი უნდა ჩაუყაროს ბიბლიოთეკაში საინფორმაციო სივრცის მოდულირებას, რომელშიც გაერთიანებული იქნება რამდენიმე ავტომატიზირებული სამუშაო ადგილი „ბრაილის“ კომპიუტერის დისკლით, პრინტერით, მეტყველების სინთეზატორით და ელექტრონული კატალოგებით. თუ ერთ-ერთ კომპიუტერს აღვეჭურავთ სკანერით და პროგრამის გამოცმობით, მაშინ შესაძლებელი გახდება უსინათლო მკითხველი გაცნოს რეტროსპექტულ გამოცემებს. კომპიუტერი სკანერით და სინთეზატორით ეს უკვე „მოლაპარაკე“ მანქანაა. ამიტომ ბიბლიოთეკაში უნდა იყოს წამკითხველის შტატი, რომელიც უსინათლო მომხმარებელს გაცნობს ბიბლიოთეკაში შემოსული ბეჭდვით გამოცემებს, საშუალებას მისცემს გამოიყენოს „მოლაპარაკე“ მანქანა, რომლის საშუალებით უსინათლო მომხმარებელი ელექტრონულ გამოცემებს წაიკითხავს ინტერნეტით.

აქედან გამომდინარე, კომპიუტერულ ტექნიკურ საშუალებას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ჩვეულებრივი ბიბლიოთეკებისათვის, არამედ სპეციალიზებული ბიბლიოთეკებისათვისაც. მით უფრო, რომ ახალი მიღწევები ტექნიკაში ხელს შეუწყობს ისეთი პრობლემის გადაჭრას, როგორიცაა ინფორმაციის მოძიების გამარტივება, წიგნების და ჟურნალების რეპროდუცირება. ელექტრონული ტიფლოტექნიკა არა მარტო აფართოებს უსინათლო მკითხველების შესაძლებლობებს. არამედ შეუძლია დაეხმაროს უსინათლოებს – ბიბლიოთეკაში სპეციალისტებად იმუშაონ, შექმნან საცნობარო ბიბლიოგრაფიული ელექტრონული კატალოგები და სხვ.

შეიძლება აღინიშნოს, რომ დღეისათვის ვერც ერთი ბიბლიოთეკა მაქსიმალურად ვერ აკმაყოფილებს ინფორმაციულ ინვალიდ-მკითხველთა მოთხოვნილებებს. ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ სპეციალიზებული ბიბლიოთეკების მომსახურების სისტემა მოქულებულია. ამიტომ აუცილებელია სპეციალიზებული ბიბლიოთეკების ეროვნული ქსელის ინფორმაციაში ჩართვა. რომლის მიხედვით მოხდება სპეციალიზებული რესურსების გაერთიანება და მისი ერთობლივი გამოყენება. ამას კი შეუძლებთ იმ შემთხვევაში. თუ სპეციალიზებულ ბიბლიოთეკებში ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა მოხდება, რადგან ფინიურად შეზღუდული ადამიანების ადაპტაცია და რეაბილიტაციის თანამედროვე პროცესების განვითარება შეუძლებელია საინფორმაციო ინფრასტრუქტურის განვითარების გარეშე. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების წყალობით, ჩვენ შეგვიძლია გავაერთიანოთ სხვადასხვა ტიპის ბიბლიოთეკები და სპეციალიზებული ბიბლიოთეკები ერთიან ეროვნულ ქსელში, რომელიც თავის მხრივ საერთაშორისო სისტემაში შევა.

ტელეკომუნიკაციური საშუალებები, ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიები მეტ-ნაკლებად ინერგება ჩვეულებრივ ბიბლიოთეკებში, მაგრამ სპეციალიზებულ ბიბლიოთეკებში ჯერ არ დაწყებულია. მართალია, კომპიუტერის დანერგვა ყველგან შეუძლებელია, მაგრამ ისეთ ქალაქებში, როგორიცაა ქუთაისი, ბათუმი, ზუგდიდი, თელავი აუცილებელია.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოში საბიბლიოთეკო მომსახურების განვითარებისათვის განსაკუთრებით აქტუალურია მოხუცებისა და ინვალიდების ინფორმაციით უზრუნველყოფა საზოგადოებრივ (საჯარო) ბიბლიოთეკებში.

ინვალიდ-მკითხველებთან მომსახურების გამოცდილება ჩვენს მასობრივ ბიბლიოთეკებს თითქმის არა აქვთ, უსინათლოთა სპეციალიზებულ ბიბლიოთეკების მუშაობაც ნაკლებად არის მეთოდურად დამუშავებული, და ამდენად, მათი გამოცდილების გაზიარება თითქმის შეუძლებელია, განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც უსინათლოების სპეციალიზებული ბიბლიოთეკები არ არსებობს. ამიტომ აუცილებელია შემუშავდეს პროგრამა „საქართველოს ინვალიდთა ინფორმაციით უზრუნველყოფა“, რომლის მთავარი მიზანი უნდა იყოს საქართველოში ინვალიდების საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების ახალი სისტემის შექმნა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ინვალიდების ინფორმაციით უზრუნველყოფის საერთაშორისო გამოცდილება და მისი საქართველოს პირობებთან შეხამების ჯგუფის შემუშავება.

რა უნდა გავაკეთოთ? როგორ უნდა ვიმოქმედოთ?

ამ მიმართულებით მასობრივი ბიბლიოთეკების უპირველეს ამო-

ცანას წარმოადგენს, დაადგინოს: ბიბლიოთეკის სამომსახურე რაიონში ხანდაზმულთა და ინვალიდთა რიცხვი; შესწავლოთ მათი კითხვის ინტერესები, და ამის მიხედვით გააანალიზოს ფონდის მდგომარეობა. იმ შემთხვევაში, როცა ბიბლიოთეკაში არ მოიპოვება მათთვის საინტერესო ლიტერატურა, შესაძენად გამოიყენოს სარუნერო გაცვლითი ფონდი, და თუ ბიბლიოთეკას საშუალება აქვს, დამატებით გამოიწეროს ეს ლიტერატურა. ბიბლიოთეკა სხვადასხვა კატეგორიის ინვალიდებს რომ მოემსახუროს, საჭიროა მისი ფონდი სპეციალური ფორმატების მატარებელი რესურსებით შეივსოს, მაქსიმალურად იქნეს გამოიყენებული ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიები.

საზოგადოებრივი ბიბლიოთეკის მუშაობა ფინიურად შეზღუდულ ადამიანებთან წიგნის მიახლოების მიზნით, საჭიროა გამოიყენონ როგორც სტაციონარული, ისე არასტაციონარული საბიბლიოთეკო მომსახურება – წიგნდამტარებლობა და თუ ამის შესაძლებლობა აქვთ, ავგონ ავადმყოფი ხანდაზმული და ინვალიდების ოჯახებში მომსახურების გრაფივი, უზრუნველყონ ამ კატეგორიის მკითხველებს საკანონმდებლო დოკუმენტაციის სერვისებით, რომლებიც სოციალურწველყოფას, ჯანმრთელობას, საქენსიო უფლებებს ეხება; გამოიყენონ საბიბლიოთეკო მომსახურების სხვადასხვა ფორმები: ლიტერატურული საღამოები, ქალაქის ან რაიონის საინტერესო ადამიანებთან, სოცურწველყოფის განყოფილებისა და ჯანმრთელობის საინისტროს თანამშრომლებთან შეხვედრები და ა.შ. ბიბლიოთეკარებმა, რომლებიც ამ კატეგორიის მკითხველებს მოემსახურებიან, უნდა გაიარონ კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, მოისმინონ სემინარები სპეციალიზებულ საბიბლიოთეკო მომსახურებაზე, ისინი უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ შესაბამისი მეთოდური მასალებით. ბიბლიოთეკარებმა მუშაობის პროცესში უნდა ითანამშრომლონ სოცურწველყოფის, ვეტერანთა საბჭოს, უსინათლოთა საზოგადოების და ინვალიდთა როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

ჩვენ კარგად გვესმის, თუ რას ნიშნავს მარტოხელა ავადმყოფის, ხანდაზმულის ან ინვალიდის ოჯახში ბიბლიოთეკარის მისვლა: საუბარი მათთვის საინტერესო თემებზე, აზრთა გაცვლა – გაზიარება, საინტერესო სტატიის ხმაძალი წაკითხვა და სხვ. მათ ცოტა რამ ჰყოფნით სიხარულსათვის. ხოლო იმათ, ვისაც დაქვეითებული მხედველობა აქვთ და შეუძლიათ ბიბლიოთეკაში მისვლა, ბიბლიოთეკარი მათ დაეხმარება ლიტერატურის შერჩევაში.

ამჟამად, სამწუხაროდ, მასობრივ ბიბლიოთეკებს მატერიალურ ტექნიკური ბაზა არ გააჩნიათ, რომ ინვალიდ მკითხველებს მოემსახუროთ, მაგრამ მაინც უნდა დაიწყონ ეს პროცესი, თუნდაც საუბრებით, თემატური კითხვა-პასუხით, ხმაძალი კითხვით, ლექციებით, მოხსენებებით. ხოლო როცა ბიბლიოთეკის კომპიუტერისაზვია მოხდება, კარგია, თუ გათვალისწინებული იქნება ინვალიდის ინტერესები – ტიფლოტექნიკის დადგმა.

ამ პროგრამაში ასევე დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს საბავშვო ბიბლიოთეკებს, რომელნიც თავის მუშაობის მიზნად უნდა ისახავდნენ ინვალიდი ბავშვების საბიბლიოთეკო მომსახურების ორგანიზაციას. კერძოდ, უნდა განვითარდეს არასტაციონარული (გამსვლელი) ფორმა მომსახურებისა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. საჭიროა ბიბლიოთეკებთან გაფართოვდეს სარეაბილიტაციო-მასობრივი. მუშაობები; შეიქმნას ამ ბიბლიოთეკებში აუცილებელი პირობები, კაბინეტები, წრეები, სპეციალური ხელსაწყოები. პრიორიტეტულად უნდა მივიჩნიოთ, დაინერგოს იმ მასწავლებლების, აღმზრდელების, მშობლების მომსახურება, რომლებიც ამ კატეგორიის მკითხველებს ემსახურებიან.

საბიბლიოთეკო საქმის განვითარებისათვის საჭიროა საზოგადოებრივი და სპეციალიზებული ბიბლიოთეკების ურთიერთ თანამშრომლობა. ეს იქნება ახალი მიდგომა, ახალი პროგრამა აქტუალური მიმართულებით.

მართალია, ბიბლიოთეკები ადამიანების ყველა საჭირობორტო საკითხს ვერ მოხსნიან. მაგრამ მათ ნაწილობრივ შეუძლიათ შეუმსუბუქონ, მორალურად მხარში ამოუდგნენ ისედაც გაჭირვებულ ადამიანებს. ეს კი კეთილშობილური საქმეა და თანამედროვე მოთხოვნებს ეხმაურება.

პალეობრაფიულ-ფიბნომცოდნეობითი ტერმინები ქართულში:

კალამი, ჩალა, ჩალამაკალამი, კალამბირი, ყალამი, ფრთა, ლერწამი; (ლინგვისტურ-ეტიმოლოგიური ანალიზი).

წერილი პირველი



კალამი, როგორც წინთმცოდნეობით-პალეობრაფიული ტერმინი, წარმოშობით ბერძნულ სიტყვადაა მიჩნეული სამეცნიერო ლიტერატურაში; პროფ. ზ. ჭუმბურიძის თქმით, „კალამოს ბერძნულად ლერწამს ნიშნავს. მაშასადამე, ბერძნებს საწერი იარაღისათვის იმ მცენარის სახელი დაურქმევიათ, რომლისგანაც მას ამზადებდნენ. აშკარაა, ეს სიტყვა საწერი იარაღის სახელად ქართულში ბერძნულიდან არის შემოსული“ [1,32] აკად. ი. ჯავახიშვილი ფრთხილად შენიშნავს: კალამი ბერძნულსა და ლათინურში გვაქვსო. იგი ხელაღებით არაფერს ამბობს ამ სიტყვის არაქართული წარმოშობის შესახებ [2] აკადემიკოს ნ. მარის აზრით, კალამი ინდოევროპულ ენებში განკერძოებით მდგომარეობს, ქართულში კი მას ბევრი მონათესავე სიტყვა მოეპოვება... (ვიმოწმებთ ივ. ჯავახიშვილისა და ზ. ჭუმბურიძის წიგნებიდან). ნ. მარის ზემო მოსაზრებას ემყარება ზ. ჭუმბურიძის ვარაუდი, როცა წერს: „კალამი ქართულად ერთგვარ ლერწმისნაირ მცენარეს ჰქვია. მცენარის სახელად ეს სიტყვა ქართულში ბერძნულიდან ნასესხები კი არ უნდა იყოს, პირიქით, ადვილი შესაძლებელია თვითონ ბერძნულს ჰქონდეს ქართულიდან შეთვისებული“ [1,32].

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (რეპროდუქციული) კალამი ბერძნულ სიტყვადაა მიჩნეული [3], პროფ ი. ვიფშიძე კი კალამს არაბული ენისაგან მომდინარედ სახავს [4,455]. ამრიგად, კალამ პალეობრაფიულ-გინთმცოდნეობითი ტერმინის წარმომავლობის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში ერთი აზრი არ არსებობს. ისმის კითხვა: ქართულია თუ უცხოური წარმოშობისაა ეს სიტყვა?

უპირველეს ყოვლისა, გავარკვიოთ, რომელ უცხო ენაში იხმარება კალამი და რა მნიშვნელობით. ძველ ბერძნულში კალამი (καλαμη) ლერწამს ნიშნავს καλαμη ο, Moher, Schiffer, von. καλ'αμη, α) der hohle Stengel des Gedreides, Getreidehalm. b) Stoppel: καλαμη-φίβος 2. ein Rohr traged καλαμίνη - Minze [5,398].

კალამი ლათინურ ენაშიც დასტურდება: calamavius, a, um [calamus] относящийся к перу; theka calamaria Su пенал. calamentum, I n. засохшие ветви виноградника. Col. calamus I m (греч. лат., Arundo I. камыш, простики, прием.

Стебель (длинный и тонкий).

calami palustvees α болотный тростик; 2. Изделие из камыша; перо (писчее): calamus sumere братья за перо // дука свирель (Calami dispares=?); стрела; 3. стебель. трахея (6). ცხადია, ორივე ენაში კალამ ერთი საერთო წყაროდან მომდინარეობს.

შესულია სომხურ ენაშიც calam “гусинная писчая перья”, ხოლო ოსურში ?? აქაც წვეტიან დაბოლოებას – წვერს, ტოტს ნიშნავს. Конечность, ветка, отросток, *рука, *лапа (46).

ზ. ჭუმბურიძის ახსნით, ძველად „თუ ქვაზე, ხესა და თიხაზე ასოებს „წერაქვით“ საჭრეთელით ანდა სტილით (სპეციალური ჯოხით) კვეთდნენ, პაპირუსსა და პერგამენტზე საწერად იხმარებოდა ჯერ ლერწმის, შემდეგ ფრთისა და ბოლოს ფოლადის კალამი [1,32] ეს მოსაზრება ზოგადია, ქართულ სინამდვილეში კი ჩვენ პირიქით გვგონია: საფიქრებელია, ძველად ქვაზე ან კოდზე ამოკვეთა ერთგვარი ქვითვე resp. კაყით ხდებოდა, რომელიც შემდეგ რკინით (უფრო მაგარი იარაღით) შეიცვალა. თვით ტერმინი წერაქვი იმაზე მიუთითებს, რომ ქვაზე კვეთა ასოებისა თუ ფიგურებისა წვეტიანი ქვით ხდებოდა, შემდეგ კაყი – ქვა რკინამ შეცვალა. ამ მხრივ საინტერესო ჩვენებას იძლევა ქართული ენის აღმოსავლური დიალექტები ქართლური და კახური-ქიზიყური, ქართლური დიალექტის ლექსიკონში ვკითხულობთ: კალამი – ქვის საჭრეთელია ერთგვარი. „კალამი არი იარაღი რკინისა, თხელი პირი აქ, წმინდათ თლიან იმითი ქვასა; კალმებით უნდა აიჭრას ქვა“ (ხაზი ჩვენია, ბ. ცხ.) [7,239].

ქიზიყურშიც კალამის პირველ მნიშვნელობას სტ. მენტეშაშვილი ასე წარმოგვიდგენს: კალამი. 1. ქვისმთლელის იარაღია, მოგრძო, ბრტყელპირიანი, რკინისა, ხმარობენ ასოების ამოსაჭრელად ქვაზე“ [8].

ზემორე განმარტებებში საინტერესო ისაა, რომ კალამი რკინისაა, გარეგნულად მოგრძო, ბრტყელტუნა, თხელიპირა, რომლითაც ქვა კიდევ ითლება, კიდევ აიჭრება და ასოებსაც ამოკვეთენ.

ქვის თუ კლდის კვეთა-ჭრა ისტორიულად უძველესი ხალხებისათვის (ურარტელები, ასურები, ეგვიპტელები, იბერები...) ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ბასრი ქვის ან შემდგომ რკინის იარაღის გარეშე ვერ გამოკვეთდნენ ქართველთა წინაპრები წარმართობის დროინდელ საკულტო-საცხოვრებელ ხუროთმოძღვრულ ძეგლს – უფლისციხეს. კლდეში ქალაქის გამოკვეთა ხუროთმოძღვრულ-არქიტექტურულად ოდენ წათებით, წერაქვებით და ცულებით არ მოხდებოდა. მათ გვერდით უთუოდ უნდა დავასახელოთ ბასრი კალამიც, რომელიც ქვის სათლელად, საჭრელად, ასო-ფიგურების ჩამოსაქნელად გამოიყენებოდა.

შემდგომ ეტაპად მიგვაჩნია ის პერიოდი, როცა ძველმა მწიგნობარ-ოსტატებმა კლდე-ქვიდან პაპირუსსა და პერგამენტზე გადაინაცვლეს. აქ კი აუცილებელი გახდა კალამის ლერწმის წერილი ლეროსაგან დამზადება. როგორც ცნობილია,

ლერწმის წვრილ ღეროს მოკლედ გადაჭრიდნენ, თავს წაუმახადნენ (აქედანაა მღებული წარმოშობით ნაზმნარი, შემდგომ გარსებითებული სახელი მახვილი, რომელშიც - ილ მიმღეობის საწარმოებელი ბოლოსათია), ანუ წაუწვევებდნენ და შუაზე გაუბობდნენ ისე, რომ მელნის საღებად წვრილი ღერი მიეღოთ. თუ მწერალს სურდა უფრო მსხვილად ეწერა, კალმის წვერს დააჭერდა, ღარი გაფართოვებოდა და მელანი სქლად იწყებდა დენას. [1,32] [2].

ამრიგად, არ შეეცდებით ალბათ, თუ ვიტყვით, რომ კალამის თავდაპირველი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო ჭრამკეველობა, წერა-ჭრა [9], კალამი იგივე მაღია // - კალია. (მ-კ-ალ-ი, შდრ. მეს-მა, მომკელი//მომალი, „თივის, ბალახის მჭერი“ მაღ // კალია), ში მ საწარმოებელი თავსართია, სუბიექტის, მოქმედებების აღმნიშვნელი პრეფიქსი).

ამრიგად, მეორე მსჯელობიდან გამომდინარე, კალამი ქართული სიტყვა ჩანს. იგი ჭრას, კვეთას უკავშირდება, საყურადღებოა ქართული ენაში დღემდე არსებული გამოთქმა „კალამი უჭრის“, რომელიც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (რეატომეული) შეტანილი არაა. თ. სახოკიას განმარტებით კალამი უჭრის ეს ფიგურული გამოთქმა ნიშნავს: „კალამი ემორჩილება, წერა ემარჯვება, კარგი მწერალია [10,306]. ცხადია, კალმით რაიმე საგნის - ქვის, კლდის, ეტრატ-პაპირუსის, ქაღალდის ჭრა შეიძლებოდა (შდრ. სიტყვა უჭრის).

კალამი ქართული ენის დიალექტებში, კერძოდ, იმერულ კილოში ერთგვარი სარეველა ბალახია [11]. ა. მაყაშვილის მონაცემებით, გარდა იმერულისა, კალამი იხმარება ლეჩხუმურში, რაჭულში, მეგრულ ენაში, რომელიც იგივეა, რაც შალაფა sorgo дикое, гумаи, джансонова трава Surghum halepense [12,79] ქიზიურში მას შეესაბამება ალაფა, ინგილოურში ქალიშ, მეგრულში ბანჯარი // ბაჯარი. აღსანიშნავია, რომ იმერეთის ზოგ რეგიონში კალამის გვერდით გვაქვს ჩალამკალამი (ამაზე ქვემოთ...), იმერულშივე ფანჯარა [19]. ეს უკანასკნელი უფიქრობთ, იგივეა, რაც მეგრ. ბანჯარი // ბაჯარი, ფანჯარა, სხოვანეცილი და გამჟღერებული ვარიანტი: ფანჯარა - ფანჯარი, ბანჯარ // ბაჯარ...

ქ. ძოწენიძის მიხედვით, კალამი სარეველა მცენარეა, რომელიც სიმინდის ყანაში იცის, იგივე შალაფა [13]. აქედანაა მიღებული ისეთი გამოთქმები, როგორცაა: გამოკალამა - გამოქნა, კალამის ნახაზით, წვრილად გამოკალამა - კალმისაგან გაწმენის [13].

ო. ქავთარაძის იმერულში კალამის გვერდით დამოწმებული აქვს კალამფხალი, მისივე განარტებით, „კანაფო მხალი, კევერა მხალი, ლახანა [19,137]. ჩვენს მიერ შეკრებილ სალექსიკონო მასალებში კანაფხალ ფორმა აღმოჩნდა, თუ კალამფხალ // კანაფხალ კანაფო მხალიდან მიღებული არაა, მაშინ კანაფხალ // კალამფხალ კომპოზიტის პირველი სიტყვა კალამ ფხალი უნდა იყოს.

აღსანიშნავია, რომ კალამი ლერწმის, საწერი კალმის მნიშვნელობით დღემდე შემოუნახავს მეგრულს [15], გ. ელიავას განმარტებით, კალამია (კაამია) - ჩალისღერო, კალამია (კაამია) ლერწამი. ნახე ალამ-კალამიო, მიუთითებს ავტორი, მაგრამ ეს სიტყვა ლექსიკონის შემდგენელს გამორჩენია [16]. კალამთან დაკავშირებით საინტერესო ცნობა-განმარტებებს გავწვდის ი. ყიფშიძე.

კალამი - (არაბ.) ან ჩალამკალამი ან წალამი тростник, тростниковая трава, ხოლო კალამია нижние части кукурузных стеблей, остающиеся на ниве после жатвы ჩელამ-კალამი 1) круглая деревянная чашка для питья вина 2) კალამი, перо для письма. [4,455]. ამრიგად, კანაფხალ // კალამფხალი კომპოსტონსიარი მცენარეა, მისი მოჭრის შემდეგ ერთადერთი მსხვილი ძირი რჩება მიწაში, როგორც ჩალას.

მეგრულშიც კალამი საწერი იარაღის გარდა, აღნიშნავს ჩალისღერს, წალამს, ჩალამკალამს, აგრეთვე ხისგან დამზადებულ

ბულ ღვინის სასმელ კაობას. ეს უკანასკნელი ცნობა-განმარტება უცნოა სხვა ქართულ-ქართველური ენებისა და დიალექტებისათვის. როგორც ჩანს, ღვინის სასმის ძველად სამეგრელოში ბამბუკ-ლერწმისგან ამზადებდნენ.

კალამი მილის მნიშვნელობით გურულ კილოში დაუდასტურებია ს. ჟღენტს: კალამი-მილი; ფუხრის კალამი; ჩალამ-კალამი [17,366].

ქიზიურში კალამი ხის ახალამონაყარ შტოს ჰქვია, რომელიც სანამყენედ გამოდგება. როგორც იქაურნი იტყვიან, კალამი მაისმებაო - ნიშნავს კარგად ად სუფთად გაკეთებულ საქმეს წმინდა ქსოვილზე და მისთ. ხოლო კალამით მენობა, იგივე კინწრით მენობა, სტ. მენტეშაშვილს ასე აქვს განმარტებული: „საძირეს გადასჭრიან, ქერქსა და მერქანს შორის წვერწათილი შტოს, კალამს ჩაურჭობენ, მერმე ზემოდან და გარშემო მონაჭვრს აყალო ლაფს წაუსვამენ სქლად, ჩვარს შემოახვევენ, ბაწარს შემოუჭერენ, რომ წვიმის წყალი არ ჩაიფდეს, ან მზემ არ შეაწუხოს. კინწერი გარეთ ჩანს, როცა გაიფებს (გაიხარებს) შემოხსნიან ჩვარსაც და ლაფსაც“ [4].

საინტერესოა, რომ სულხან-საბა ორბელიანი კალამს დასაწერ ლერწამს, დასაწერ ჩალას უწოდებს: „კალამი დასაწერი ლერწამი ZA. დასაწერი ჩალა BC, DE განუმარტავია“. იქვე კალამი, როგორც ბალახი, სუნნელ ლერწამადა მოხსენიებული: კალამი (ბალ.) (30, 23 გამოსლ.) სუნნელი ლერწამი ZA. სუნნელი ლერწამია B. სულნელი ლერწამი C [18], ეგვევ განმარტებისაა კალამორი-ც: იგივე სუნნელი ლერწამი ZA. სუნნელი ლერწამივე B მირონის სულნელია ლერწამი CD. მირონის სუნნელი E [18].

როგორც ირეკვეა, კალამი არა მარტო დასაწერი ჩალა ყოფილა, არამედ ძვირფასი სუნის მქონე, სურნელოვანი ლერწამ-ბალახი, რომელიც ძველ საქართველოში მირონის დასამზადებელ მასალას წარმოადგენდა. მირონის დამზადება კი, როგორც ცნობილია, ძველად, 12 საუკუნის წინათ, საქართველოში გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწის, წმინდა მამა გრიგოლ ხანტყელის შეილობილის, აწყურის ეპისკოპოსის ფერემის სახელს უკავშირდება [21].

როგორ და რისგან ამზადებდა ფერემ ეპისკოპოსი მირონს? მ. ჯანაშვილს თავისი წიგნის დამატებაში მირონის დამზადება-კურთხევის შესახებ აღნიშნული აქვს: „წენს მირონის კურთხევისანი დაადგინა სრულიად საქართველოს მეფემ არჩილ პირველმა, 446-450 წლებში. მირონი იხარშებოდა მცხეთის სამთავრო ტაძარში. ამ დროს ესწრებოდნენ: მეფე, ერისთავნი, ყველა ხელთუფალნი და არქიელნი, როდესაც დიდ ხუთმასათსა ყველანი წესისამებრ შეიკრიბებოდნენ, მაშინ სამთავროს მიტროპოლიტი უნდა მდგარიყო მირონის მოსახარმავ მასალე ბთან. ქვაბებს საკურთხევიდან გამოიტანდა ხოლმე სამთავროს მიტროპოლიტი; მირონის მოხარშვის შემდეგ ბეჭდეს ასომდა ქადაგი, ამ დროს ყველა ეპისკოპოსთა უნდა სჭეროდთ თითო ჭურჭელი მირონი“ [24, 146]. სამწუხაროდ, აქ არაფერია ნათქვამი, მირონს უშუალოდ რა მასალისგან ხარშავდნენ, ადგილობრივ თავად მოქმედებდათ, თუ ბიზანტიიდან ჩამოჰქონდათ.

თუ სულხან-საბა ორბელიანი კალამს „დასაწერ ჩალად“ განმარტავს, დავით და ნიკო ჩუბინაშვილები მას „საწერ ლერწამად“ მოიხსენიებენ [22,590].

გარდა ზემოგანხილული კალამ ლექსემისა, კალამი იმერეთსა და გურიაში რთული აღნაგობის სიტყვის (კომპოზიტის) ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, ესაა ჩალამკალამი, რომელიც იგივეა, რაც შალაფა. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (რეატომეული) საილუსტრაციოდ დამოწმებულია მხოლოდ ერთი მაგალითი ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებიდან [სახურავს] ზევიდან ხის ქერქი და კიდევ ზევიდან ჩალამკალამისა და ისლის კონები დააკრეს [3,159].

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ჩალამკალამი მეგრულსაც შე



მოუნახავს ჩელამკალამის სახით, რომელშიც სიტყვის დასაწყისის ა ხმოვანი სბახეცვლილა. (დისიმილაცია): ჩელამკალამი - ჩალამკალამი. ამ სიტყვაში კიდევ ერთი ფონეტიკური პროცესი შეიძლება გვექონდეს: ჩალამკალამ // ჩელამკალამ-ში კ-ს წინარე მ სონორი კალამის ზეგავლენით გაჩენილ ბგერად (ბგერათვანეთარება) გვესახება, თუ რა თქმა უნდა, ჩალამკალამში ჩალამის ამ მარცვალი მეგრულის სიტყვაწარმოებული - ამ ბოლოსათი არაა; ჩალამკალამი - ჩალამკალამი - მეგრ. ჩელამკალამი. თუ მეგრულ სიტყვად დავსახავთ, ისტორიულად ჩალამკალამი ჩალიან კალამს უდრის (მეგრ. -ამ - ქართ.-იან სუფიქსს). შდრ. ქართ. თვალი, მეგრ. თოლი, თოლამი, თვალიანი). ჩვენ უფრო პირველი ახსნა გვეგონია სარწმუნო; ჩალამკალამში ჩალამის მანი განვითარებული ბგერაა. სხვათა შორის, მეგრულშივე გვაქვს გამოთქმა „ალიანი დო ჩალიანი“, რაც ნიშნავს дурное, скверное [4], ითქმის ყველანაირი შეგნებისა და ჭკუის ადამიანზე. ამრიგად, ჩალამკალამის არქეტიპი ჩალამკალამი უნდა ყოფილიყო. შდრ. ჩალა-ბულა - ჩალა ბულახ; ჩალა - ბალახ-ი, შდრ. ჩალა-ჩულა. როგორც ჩანს, კალამი და ჩალა ძველად სინონიმები, ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩალის ნაირსახეობა უნდა ყოფილიყო. ისმის კითხვა: სადაური და როგორი აღნაგობის სიტყვაა ჩალა?

ჩალა-ში - ა საწარმოებელი ბოლოსართია: ჭანური ჩალა-сухой стембель кукурузы მეგრული ნა-ჩალ-ი სიმინდის ყანა ჩალის მოჭრის შემდეგ. ამრიგად, ქართულსა და მეგრულ-ჭანურში ჩალა საერთოა, თუმცა მეგრულში, როგორც არნ. ჩიქობაე აღნიშნავს, ახლა ჭა იხმარება [25,145]. ჩვენის აზრით, მეგრ. ჭა წალ-ჩალ-ისაგანა მიღებული, რომელშიც ბოლოვი-დური ლ სონანტი დაკარგულია. ქართული ენის მოხეურ კილოში ჩალაი-ჩალია, ბოტან. ღეროვანი მცენარე, რომელსაც ხის ხახამასავით ნაყოფი აქვს [26,363] აქედან: ჩალის თივა, „ჩალის ბულულა“ [26,363].

ამრიგად, ჩალა ქართულ-ზანური ერთიანობის დროინდელი სიტყვაა, რომელიც ლერწმის სინონიმია.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონის მე-8 ტომში ჩალა სიტყვისგან შემდგარი არა ერთი კომპოზიტია შეტანილი, მათ შორისაა: ჩალა-ბზე, ჩალა-ბულა (ბალახ-ბულახის, ჩალის, თივის და მისთ. ნარჩენი. შდრ. ალა-ბულა, იმერ. ალაბლა), ჩალა-ბუჩი იგივეა, რაც ჩალა-ბულა. ამ სიტყვის მეორე ნაწილის ბუჩის ფუძე იგივეა, რაც ბუჩქი და ბუჩო.

ჩალა-ვაშლა (ვაშლის ერთ-ერთი ჯიშია აჭარაში), ჩალა-თივა (ჩალა და თივა ერთდროულად), ჩალა-ლელიანი (იგივეა, რაც ლელიანი), ჩალა-ლერწამი (ჩალა და ლერწამი).

საფორებელია, ისტორიულად ქართულ ენაში ან მის რომელიმე დიალექტში გვექონდა ჩალის ვარიანტი ჩალამი, ეს უკანასკნელი მეგრულში ახლაცაა შემონახული და ნიშნავს „ჩალიანს, ლერწმინს“, ჩალამური კი ლერწმისგან დამზადებული. ამ სიტყვისგან უნდა წარმოშობილიყო მუსიკალური ინსტრუმენტის სალამურის სახელწოდება: სალამური // * შალამური // - ჩალამური. ეს საყრავი ქართულ-ქართველურია წარმოშობით, თუმცა ძველ ქართულში იგი არ დასტურდება, რასაც ივ. ჯავახიშვილის გაცხადება გამოუწვევია. ჩვენი აზრით, სალამური ჩალამური-ისგან მომდინარე ფორმაა და ქართულ ენაში ახლად გაჩენილი სიტყვაა.

ამრიგად, კალამი, ჩალა/ჩალამი, როგორც სემანტიკურად, ისე ფორმობრივად ერთმანეთთან ახლოსაა, რასაც ერთგვარად მხარს უჭერს წალამ ლექსემატ. წალამი კი იგივეა, რაც ვაზის განასხლავი ლერწი რქა („გასხვლის დროს წაიჭრება ერთი წლის გახვეებული რქა, რომელსაც, როგორც წესი, კონებად კრავენ და ღობეზე შემოსდებენ ხოლმე ღობისათვის სიმაღლის მისაცემად ან იყენებენ თონის ჩასანთებად და სხვ. ასეთ წაჭრილ რქებს წალამი ეწოდება“). წალამის ვარიანტებია იმერული წილამი და წალარი [27,32] ცხადია, ორივე ფონეტიკურად სახეცვლილი წალამია.

ჩანს, წალამი (წილამი/წალარი) გამომდინარე რქა-ლერწი, ჩალა-კალამია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, თუ ჩალა ჩალამ-ის ვარიანტია, მაშინ უნდა გაირკვეს, რომელია ძველი და რომელი ახალი? ჩვენი აზრით, არქეტიპებად გვესახება ჩალამ//კალამ//სალამ (სალამურის შემცველი), წალამ, რომელთაგან ბოლო წარმომდგარიყო ჩალა, წალა/წალო, სალა, კალ/კალო. ამ სიტყვათა ბოლოსართები ა, ო სიტყვაწარმოებული, ამჟამად ფუნქციადაკარგულ (resp. დეტერმინანტი) აფიქსებია. კალამის კალ ძირი უნდა გვექონდეს მ-კალ//კალ//კალია და კალოში. მკალია ის, ვინც ან რაც ჭრის, მკის, კალო კი ის ადგილი, სადაც ბალახი, თივა, ჩალა მოიჭრა. შდრ. იმერ. მოკალოება („ძროხა-ზროხისაგან ბალახიანი მინდვრის მოხობრაკება“, მიწის პირამდე მოძოვა). ამრიგად, კალო სოფლის მეურნეობის, მოსავლის აღებასთან თუ ვაზის კულტურასთან დაკავშირებული ტერმინია [27,165]. მკალ-კალიაში (ლაზური ნეოლი) მ/ნ განვითარებულია მიანითაჲ ვ. ფენრისხა და ზ.სარჯველაძეს [28,1686]. გ. კლიმოვი კი პირიქით, მკალ-ს არქეტიპად მიიჩვენებს [29].


აღსანიშნავია, რომ კალამ-ი ქართულ ენაში საფუძვლად დასდებია ისეთ საბავშვო თამაშობებს, როგორიცაა: კალამა (საბავშვო თამაშის - დანაობის ერთ-ერთი ხერხი [7,239], კალამობა, კალმავე//კალმობა (იმერეთში მე-20 ს. 60-70-იან წლებში საბავშვო თამაშობა იყო კალმებით. გამარჯვებული საწერ კალამს იგებდა). (ჩვენი მასალ.), კალმობიე (კალმებით თამაში გურიამი) [30,33]. ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში შეტანილია კალმის კაცი, რაც ავტორის მიერ განმარტებულია მწერლის სინონიმად [23,106].

ამრიგად, კალმის კაცი (შდრ. საქმის კაცი, სიტყვის კაცი) მწერლის სინონიმია. ღირსსაცნობია, რომ ცუდი მწერლის მნიშვნელობით ქართულ ენაში არსებობს სიტყვა კალამგირი, რომელიც ვერ აისახა სულხან-საბა ორბელიანის და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში. ი. ჭყონიას განმარტებით, კალამგირი „კალმის ბოროტად მხმარებელი მწერალია“ ე. ი. კალამგირი ცუდად, ულაამზოდ დამწერია. ისმის კითხვა:

რა საერთო აქვს კალამგირს კალამ სიტყვასთან და რა აგებულებისაა იგი?

კალამგირი რთული აღნაგობის ლექსემაა, ორი სიტყვისაგან შემდგარი კომპოზიტი. ამ სიტყვის შესახებ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მეოთხე ტომში დამოწმებულია ფრთიანი გამოთქმა „კალმის ავაზაკი“ (ბანდიტი), რომელიც პირდაპირი თარგმანია რუსული გამონათქვამისа разбойник пера. იგი ეწოდება უპირაციზო, მოსყვადულ ბურჟუაზიულ მწერალს, ჟურნალისტს, რომელიც ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით ებრძობას ყოველგვარ რევოლუციურ თუ სხვა პროპაგანდულ მოძრაობას, ანუ კალამგირია [3]. ამრიგად, კალამგირი გადატანითი მნიშვნელობითაც იხმარება. იგი როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობითაც ცუდი (ცუდად) მწერალია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კალამგირი კომპოზიტია, რომლის მეორე შემადგენელი ნაწილი გირი გმირი სიტყვისგან მომდინარეობს: კალამგირი - კალამგმირი, სადაც მოხდა ფონეტიკური პროცესი მ ბგერის დაკარგვა (ზედმიწვენით მანის დისიმილაციური დაკარგვა), გმირი კი გუმერ ძველი ქართულიდან მომდინარე ლექსემაა, გუმერა // გურემა ნაზმნარი სახელისგან წარმოდგა გუმირ; უგუმერს - უგუმირა - გუმირი - გმირი [[32,195]]. ამრიგად, კალმით გუმერა კალმით ჩხვლელტაა, ხოლო კალამგირი კალამგმირი ანუ კალმის მჩხვლელტელი, კალმის მწერალი.

ბაღრი ცხაბაძე,
თბილისის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის
ასპირანტურისა და მაგისტრატურის, სამეცნიერო
განყოფილებათა გამგე, ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
გაგრძელება შემდეგ ნომერში.



წიგნის კომუნიკაციური ბუნება

წერილი მეორე

რევაზ სურგულაძე
თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი

წიგნის ინფორმაციულ –
კომუნიკაციური მოდელი

წიგნის, როგორც კომუნიკაციური ფაქტის, ბუნება ზოგადად ინფორმაციის გავრცელების, მისი ფუნქციონირების კანონებს ემორჩილება. ამასთანავე ამ ზოგად კანონებს ერწყმის, თვით წიგნის, როგორც საგნის ანუ საკომუნიკაციო არხის სპეციფიკა. ეს ნიშნავს, რომ წიგნის შინაარსის კომუნიკაციური ბუნება მისი ნივთიერი ფორმის თავისებურებაც არის განსაზღვრული. ერთი და მეორეც უშუალოდ მონაწილეობს ურთიერთობის პროცესში და ამ თუ იმ სახის კომუნიკაციური ზემოქმედების საშუალებად იქცევა.

საერთოდ, კომუნიკაციის პროცესს მეცნიერება სხვადასხვა კუთხით იკვლევს. მასობრივი ინფორმაციული პროცესების შესწავლისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ორგვარი მიდგომა: ერთია მათი განხილვა ინფორმაციის თეორიის პოზიციიდან, მეორე – სემიოტიკური თვალთახედვით.

ინფორმაციის თეორია კომუნიკაციის პროცესს რამდენიმე ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებულ ელემენტად ყოფს, რომელთაგან თითოეული განსაკუთრებულ ფუნქციას ასრულებს ურთიერთობაში. ამ ელემენტთა მთლიანობა კომუნიკაციურ მოდელს ქმნის.

კომუნიკაციის პირველი მოდელი ამერიკელმა ინჟინრებმა შერონმა და უიერმა 1949 წელს შექმნეს. ისინი სატელეფონო კომპანიის მუშაობდნენ და მათი მიზანი იყო შექმნათ ინფორმაციულად მაღალი გამტარუნარიანობის სატელეფონო და რადიოქსელი. ამ პრობლემებზე მათი მუშაობის შედეგი იმდენად გასცდა პირვანდელ მიზნებს, რომ მან გადატრიალება მოახდინა მე-20 საუკუნის მეცნიერებაში, პრაქტიკულად, ცხოვრების ყველა სფეროში. მათმა შრომებმა დიდი გავლენა მოახდინეს აგრეთვე ლინგვისტიკასა და კომუნიკაციის თეორიაზე.

შერონმა და უიერმა შეისწავლეს ინფორმაციის გავრცელების პროცესი და იგი ხუთ ერთმანეთთან დაკავშირებულ ელემენტად წარმოადგინეს. მათ მიერ შემოთავაზებული კომუნიკაციური სქემა ასეთია:

1. ინფორმაციის წყარო, რომლის მიხედვითაც იქმნება ინფორმაცია, ე.წ. შეტყობინება;
2. გამგზავნი, რომელიც ამ შეტყობინების კოდირებას ახდენს და მას მათემატიკურ ენაზე სიგნალებად გარდაქმნის;
3. არხი, რომელმაც ეს სიგნალები უნდა გაატაროს, გასცეს;
4. მიმღება, რომელმაც მიღებული სიგნალების დეკოდირება უნდა მოახდინოს და კვლავ პირვანდელ შეტყობინებად გარდაქმნას;
5. დანიშნულების ადგილი, სადაც შეტყობინებამ უნდა მიადგინოს.

ეს მოდელი წმინდა ტექნიკური, ფაქტობრივად, მექანიკური ხასიათისაა და მან შესანიშნავად შეასრულა ის დანიშნულება, რისთვისაც იგი შეიქმნა. მაგრამ მისი გამოყენება სოციალურ კომუნიკაციაში ზუსტად ამ სახითა და ამ შინაარსით არ შეიძლება ამგვარი მექანიკური ხასიათის გამო. მიუხედავად ამისა, ეს მოდელი იმდენად განზოგადებული ხასიათის მქონეც არის, რომ სოციალური კომუნიკაციის სპეციალისტებმაც, გარკვეული მოდიფიკაციის შემდეგ, მას გვერდი მაინც ვერ აუარეს.

კიდევ ერთი ამერიკელი მეცნიერი ჰაროლდ ლასუელი შეეცადა დაეძლია ხსენებული სქემის ნაკლოვანებები და, მასზე დაყრდნობით, კომუნიკაციის პროცესის ელემენტთა ახალი მოდელი შექმნა. მას სიტყვიერ, ვერბალურ მოდელს უწოდებენ, რადგანაც იგი ზეპირი მეტყველებით ინფორმაციის გადაცემის თავისებურებას ემყარება. მიუხედავად ამისა, იგიც იმდენად განზოგადებულია, რომ მისი მისადაგება ყველა სხვა ტიპის კომუნიკაციისათვის არის შესაძლებელი. ეს მოდელი ხუთი „W“ სახელით არის ცნობილი. („Who says, What, in Which channel, to Whom, With What effect?“) „ვინ საუბრობს, რას ამბობს, რა არხით, ვისთან, რა ეფექტით?“. ჩულებრივ, ლასუელის ეს მოდელი ამგვარი სახით გვხვდება: ინფორმაციის წყარო (რა გადაიცემა) @ გადამცემი (ვინ გადასცემს) @ არხი (რა არხით გადაიცემა) @ მიმღები (ვის გადაიცემა) @ შედეგი (რა ეფექტით გადაიცემა).

ამ სქემაში განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ მეხუთე ელემენტად კომუნიკაციის შედეგია გამოყოფილი, რაც მას სოციალურ მნიშვნელობას სძენს. მიხეუელია, რომ ისიც არ არის დაზღვეული მექანიკური მოდელისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანებებისაგან. არც გადასაცემი, არც მიღებული ინფორმაცია არ შეიძლება რაიმე ნივთივით ამოვიღოთ საიდანმე, იგი მუდამ ახალ-ახალი მნიშვნელობებით კონსტრუირდება ადამიანის ცნობიერებაში ყოველი კომუნიკაციური აქტის დროს. მაგალითად, განა ყოველ ახალ მეთხველს თავისებურად არ ესმის თუნდაც საყოველთაოდ ცნობილი რომელიმე ნაწარმოები? რაიმეს ხელახალი წაყთხვაც ხომ ახალი კომუნიკაციური აქტია? თანაც: კომუნიკაციური პროცესი ორმხრივია, თითოეული კომუნიკანტი აქტიურად მონაწილეობს მასში. სქემაში კი ბოლომდე ვერასოდეს ვერ ასახავენ მათი აქტივობის თავისებურებებს. მიიხსენია, რომ ელემენტებს შორის უადრესად მჭიდრო ორგანული კავშირია, რაც იმას ნიშნავს, რომ ვერც ერთი მათგანი დამოუკიდებლად ვერ იარსებებს. საკმარისია სისტემიდან რომელიმე მათგანის ამოვარდნა, რომ იგი თავისთავად, ბუნებრივად დაიშლება.

რა თავისებურებებს ამჟღავნებს ამ მოდელის შესაბამისად წიგნი? უწინარეს ყოვლისა, მიუხედავად იგი წიგნის ფუნქციონირებას. ბუნებრივია, რომ წიგნისთვის ინფორმაციის წყაროა რაიმე სახის სინამდვილე, რასაც იგი ასახავს. გადამცემია თვით ავტორი, რომელიც ინფორმაციის რაიმე წყაროს მიხედვით ქმნის ნაწარმოებს. არხის დანიშნულებას ასრულებს თვით წიგნი, როგორც საგანი, ხოლო ინფორმაციის მიმღებისას – მკითხველი. ცხადია, მკითხველზე წიგნის ამა თუ იმ სახის ზემოქმედება შედეგად უნდა მივიჩნიოთ. თითოეული მათგანის ერთმანეთთან მიმართება სპეციფიკური თვისებებით ხასიათდება. დავიწყეთ წიგნის სინამდვილესთან მიმართების დახასიათება.

სინამდვილე, რომელსაც წიგნის ავტორი ასახავს, ერთია. იგი ამ ერთი სინამდვილიდან ასახავს მის რომელიმე ფრაგმენტს ირჩევს. ამგვარად შერჩეული სინამდვილის ბაზაზე იგი ორი სახის ნაწარმოებს ქმნის: მეცნიერულს ან პუბლიცისტურს – ამ ცნებების

ფართო გაგებით. მათ შორის განსხვავება ის არის, რომ მეცნიერული ნაშრომი ბუნებასა და საზოგადოებას შეისწავლის, ადგენს მათი განვითარების კანონებს და ადამიანთა სამსახურში აყენებს მათ. პუბლიცისტური (ან დოკუმენტური) ნაშრომიც, მართალია, ადამიანთა ცხოვრებას წარმოაჩენს, მაგრამ მისი მიზანი მეცნიერული კანონების დადგენა არ არის. იგი შედარებით მცირერიცხოვანი ფაქტების ჩვენებასა და ანალიზით ემყარება.

სრულიად განსხვავებულია მხატვრული ასახვა. იგი, მეცნიერებისა და პუბლიცისტის დარად, არასოდეს არ ეყრდნობა სინამდვილეს. თვით რეალისტური ხელოვნებაც კი მხოლოდ გამოხატავს, შემოქმედის ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენს. იგი მხოლოდ სინამდვილის მსგავსია.

უაღრესად სპეციფიკურია რელიგიური შინაარსის წიგნიც. იგი არც სინამდვილეს ასახავს და არც გამოხატავს ეყრდნობა. მისი საგანი ადამიანთა რწმენაა ღმერთისა და სამყაროს წარმოშობის, ღვთის ძალმოსილებისა და ადამიანებთან მისი მიმართების შესახებ. განსაკუთრებული კომუნიკაციური თავისებურებით ხასიათდება აგრეთვე წიგნებში თავმოყრილი მითოლოგიური და ფოლკლორული ნაწარმოებებიც.

ამ თალსაზრისით, ჩვენ რამდენიმე ტიპის – მეცნიერულ, მხატვრულ, პუბლიცისტურ, სარწმუნოებრივ და მითოლოგიურ-ფოლკლორულ წიგნთან ვაკავს საქმე. მათში ასახული სინამდვილე ორგანოა: სინამდვილე, რომელიც ავტორისაგან დამოუკიდებლად არსებობს და სინამდვილე, რომელიც მისი საკუთარი რწმენიდან, წარმოდგენებისა და შეხედულებებიდან მომდინარეობს. ცხადია, ხშირია ერთ რომელიმე ნაწარმოებში ამ ორივე სინამდვილის შერწყმაც. თითოეული მათგანი მხოლოდ მისთვის დაბანასათიებელ მრავალ კომუნიკაციურ თავისებურებას ავლენს, ოღონდ კომუნიკაციის ზოგადი კანონების ფარგლებში. ამიტომ თითოეულში აღინიშნება ინტენციათა მრავალფეროვანი რთული სპექტრი. ერთმანეთს ეხაცვლებიან „ობიექტური“ და „სუბიექტური“ სინამდვილისაგან განპირობებული კომუნიკაციური მიზანდასახულებანი. ჩვენ დაკავშირებით მხოლოდ საკითხის ზოგადი წარმოჩენით.

როგორც უკვე ვთქვით, წიგნი მასობრივი კომუნიკაციის საშუალებაა. ინფორმაციის წყარო მისთვის სოციალური სინამდვილეა. ეს ასე იყო ყოველ ისტორიულ ეპოქაში, ოღონდ აუცილებლად გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ თვით ამ ისტორიულ ეპოქათა შინაარსი მუდამ განპირობებდა წიგნის კომუნიკაციურ მიზანდასახულებას და, ამდენად, მის ამა თუ იმ სახის თავისებურებასაც. მაგალითად, შუა საუკუნეებში ნებისმიერი სახის ბეჭდური პროდუქციის შინაარსი და მისი მიზანდასახულება უპირატესად უნდა განპირობებულიყო რელიგიური ფაქტორითა და მონარქისტული იდეოლოგიით, საბჭოთა სისტემაში კომუნისტური იდეოლოგიით და ა.შ. წიგნის შინაარსის ჩამოყალიბებაში ხშირად უხეზად ერეოდნენ სასულიერო პირები, პოლიციელები, ჟანდარმები თუ ათასი ჯურის ცენზორები. მათი „მონაწილეობა“ წიგნის გამოცემის პროცესში ზუსტად შეაფასა ჯერ კიდევ ჯონ მილტონმა 1644 წელს თავის ცნობილ „არეოპაეტიკაში“. მისი აზრით, წიგნი არ არის ჩვეულებრივი უსულო საგანი. იგი მისივე შემოქმედის სასიცოცხლო ძალითა და გონებით არის აღსავსე. ამიტომ წიგნის განადგურება ღვთის მიერ შექმნილი ადამიანის მკვლელობის ტოლფასია. მეტიც, ვინც წიგნს კლავს, გონებას – უფლის ჭეშმარიტ ხატს სპობს (3,11-12).

ზემოხსენებულ მიზეზთა გამო წიგნის შინაარსის კომუნიკაციური თავისებურება მუდამ მოიცავდა ისეთ მიზანდასახულებებსაც, რომლებიც, გარკვეული გაგებით, ეწინააღმდეგებოდნენ მის, როგორც საგნის კომუნიკაციურ ბუნებას, რომლის თაობაზეც წინა წერილში ვკვირდა საუბარი. შეგახსენებთ, რომ ეს არის წიგნის საყოველთაოობა, მისი დემოკრატიულობა, ინდივიდუალურობა, თანასწორობისა და თავისუფლების დამკვიდრების ის შინაგანი უნარი, რომელიც ბუნებრივად არის „ჩადებული“ მის ფორმაში. წიგნი მხოლოდ ხსენებული ზედმეტი კომუნიკაციური „შენარეუების“ გარეშე შეიძლება გახდეს ისეთი კომუნიკაციური ფაქტი, რომელიც

სულიერად ასაზრდოებს თავისუფალ საზოგადოებას, ხელს უწყობს ჭეშმარიტად სახალხო თვითმმართველობის დამკვიდრებას. მართლაც, ყოველი წიგნი, ვინაიდან კომუნიკაციურად იგი ინდივიდზეა გათვალისწინებული, თავის თავში უკვე შეიცავს პიროვნების თავისუფლების პოტენციურ შესაძლებლობას. მაგრამ, ცხადია, ადამიანთა ამგვარი ურთიერთობა საერთოდ, წიგნთან კაცობრიობის განვითარების არც ერთ ეტაპზე არ დამყარებულა. რასაკვირველია, არსებობენ დიდი წიგნები, რომელთაც უზარმაზარი გავლენა მოახდინეს ადამიანის კულტურულ ფორმირებაზე, მაგრამ ისინი ერთეულები არიან და წიგნური კომუნიკაციის ზეობა კაცობრიობას ჯერ კიდევ წინ აქვს. გველისხმობ, რომ მომავალში, რომელზედაც ვსაუბრობ, თუნდაც რომ არ გადარჩეს წიგნი ამ ცნების ზუსტად თანამედროვე გაგებით, ასეთ შემთხვევაში, მას აუცილებლად ჩანაცვლება ახალი ნივთი, საგანი, რომელიც კიდევ უფრო განავითარებს წიგნური კომუნიკაციის უნარ-თვისებებს და, ამდენად, მის საქმეს გააგრძელებს. ჩვენი აზრით, სწორედ მის მიერ გავრცელებული და დამკვიდრებული კომუნიკაციური ფორმა და შინაარსი განსაზღვრავენ მომავალში ადამიანთა მასობრივ ურთიერთობებს. ჯერჯერობით ასეთ კომუნიკაციურ შესაძლებლობას, ნაწილობრივ მაინც, ინტერნეტის მიერ შემოთავაზებული ელექტრონული წიგნი გვაძლევს.

ზემოთქმულით იმის საზგასმა გვინდა, რომ საზოგადოება, ხელისუფლება, მეცნიერების განვითარების დონე, ბაზრის მოთხოვნის ნივთები, ადამიანთა შორის დამკვიდრებული ფასეულობები და კიდევ ბევრი სხვა რამ განსაზღვრავენ წიგნის ავტორის კომუნიკაციურ მიზანდასახულებას მის მიერ სინამდვილის ასახვის დროს. ყველა ეს გარემოება გვეკლინება ისეთ ფაქტორად, რომელიც მუდამ თან სდევს იმ სინამდვილეს, რომელსაც ავტორი მეთხველის წინაშე წარმოაჩენს.

კომუნიკაციური მიზანდასახულობა ისტორიულად წიგნის თანამდევე მოვლენაა. იგი გარკვეული „სახელმწიფო დაკვეთის“ შედეგია. ხშირად ეს არის „გარედან“ შემოტანილი მიზანდასახულობა, ინტენცია, რომელიც ეწინააღმდეგება ავტორის, როგორც პიროვნების, შეხედულებებს, მის კომუნიკაციურ ინტერესებს, იმ შედეგების მიღწევას, რაც მას მიზნად აქვს დასახული. ისეთ ვითარებაში კი, როცა იქმნება კონფლიქტი სახელმწიფოებრივ-იდეოლოგიურ კომუნიკაციურ მიზნებსა და ავტორისეულ მიზნებს შორის, წიგნებს წყვეთ, ხოლო მათ ავტორებს სასტიკად სჯიან. მნიშვნელობა არ აქვს იმას, რა ხასიათის არის წიგნი: მეცნიერული, პოლიტიკური, მხატვრული თუ რელიგიური შინაარსის მქონე. საკმარისია გავისხენოთ ინკვიზიციის ეპოქა, ჯორჯიანო ბრუნოსა და გალილეო გალილეის ბედი, ფაშისტური გერმანიისა და საბჭოთა კავშირის დამოკიდებულება განსხვავებული კომუნიკაციური მიზანდასახულობის მქონე ავტორებისადმი. ცხადია, ორივე კომუნიკაციური ინტენცია – ხელისუფლებიდან მომდინარე და ავტორისეული – შესაძლებელია დამთხვევად კიდევაც ერთმანეთს, პარამონულად ეთანაარსებთ, მაგრამ მთავარია, რომ ერთიცა და მეორეც მუდამ ახასიათებდა წიგნის მასობრივი ფუნქციონირების პროცესს. პირველ მათგანს ზოგადად ინსტიტუციური ინტენცია შეიძლება ვუწოდოთ, მეორეს ავტორისეული და ვივლისხმობთ, რომ თითოეული მათგანი სხვადასხვა სახის სტრატეგიული და ტაქტიკური მიზნებისაგან შედგება.

აქვე ერთ საკითხსაც შევეხებით. თანამედროვე მასობრივი კომუნიკაციის თეორიაში მიჩნეულია, რომ წიგნისთვის „გამოცემის თავისუფლება“ არის დამახასიათებელი, ხოლო გაზეთისათვის „შეფარდებითი თავისუფლება“ (2,13-14). ეს კი, ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ ამ შეხედულებით უარყოფილია ინსტიტუციური ინტენცია. ვფიქრობთ, რომ ამგვარი განცხადება ნაადრევია თანამედროვე მსოფლიოსათვის, სადაც ჯერ კიდევ მრავალი ისეთი რეჟიმი არსებობს, რომელიც თავის სამსახურში აყენებს მრავალი წიგნის ავტორს.

ნებისმიერი ტიპის სინამდვილის ასახვა, მოხმობილი კომუნიკაციური სქემის მიხედვით, მუდამ ისახავს მიზნად წიგნის შემოქმედების შედეგს, ყოველგვარი კომუნიკაციური ინტენცია მასზეა ორი-

ენტირებული. მოსალოდნელი შედეგის მიღწევა უკვე ინტენციამი იღებს სათავეს და თავიდან ბოლომდე მსჭვალავს კომუნიკაციის აქტს. ამიტომ მისით იწყება როგორც ადამიანთა ცნობიერებით მანიპულაცია, ასევე მასზე პოზიტიური ზემოქმედებაც.

როგორ წარმოიხილება წიგნში „ობიექტური“ ან „სუბიექტური“ სინამდვილე? უწინარეს ყოვლისა, შეირჩევა მათი ფრაგმენტი, იქმნება გარკვეული მოდელი, რომელიც ამა თუ იმ კუთხით გვიჩვენებს ორივე სახის სინამდვილეს. ეს მოდელი სინამდვილის შერჩეული ფრაგმენტის თავისებური კომპოზიციაა, რომელიც, შესაძლებელია, სხვადასხვა შინაარსით შეავსო. მართლაც, ერთი და იგივე კომპოზიციური მოდელით არაერთხელ შექმნილა სხვადასხვა შინაარსის მეცნიერული, მხატვრული თუ სხვა სახის ნაწარმოები. თვალსაჩინო ნიმუშად შეიძლება მოვიხმოთ სახელმძღვანელოები, ლექსიკონები, სტატიათა კრებულები, თუნდაც სამეცნიერო მონოგრაფიები და მხატვრული ნაწარმოებები. კომუნიკაციური თვალსაზრისით, სინამდვილის კომპოზიციური მოდელი უაღრესად მნიშვნელოვანია წიგნის ობიექტალური ფუნქციონირებისათვის. საწყის ეტაპზე სწორედ მასში იკვეთება წიგნის მიზანდასახულება, მისი მიმართება მეთხველთან. როგორც ერთი რუსი ავტორი წერს: წიგნის „მიზანი – სტრუქტურის (კომპოზიციური მოდელის, რ.ს.) კანონი“ (5,52). კომპოზიციური მოდელის ცალკეული ელემენტები თანმიმდევრულად ან მონტაჟურად ლაგდება წიგნში და მის თავისებურ ჩონჩხს ქმნის. ამ გზით ასახავი სინამდვილისგან წარმოიქმნება სრულიად ახალი ორგანიზებული მთლიანობის კონტურები, რომელშიც უკვე დომინირებს ავტორისეული ან ინსტიტუციური ინტენცია.

წიგნის ხსენებულ კომპოზიციურ მოდელს ავსებს მისი კონკრეტული შინაარსი, ტექსტი, რომელშიც ამასთანავე ინსტიტუციური და ავტორისეული კომუნიკაციური მიზანდასახულობა მოქცეული. ტექსტის შექმნაში, ბუნებრივია, მხოლოდ ავტორი მონაწილეობს. იგი სინამდვილის გარდასაქმნელად ირჩევს ლექსიკას, ნაწარმოების ჟანრის შესაფერის ფუნქციურ სტილსა და გამომსახველობით საშუალებებს. ამიტომ კომუნიკაციის პროცესში უკვე ჟანრის, სტილისა და ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების კომუნიკაციური თავისებურებებიც იღებს მონაწილეობას. თითოეული მათგანი ორგანულად არის დაკავშირებული ერთმანეთთან და ფუნქციურ მთლიანობას – ტექსტს ქმნიან. როგორც ვთქვით, ამ მთლიანობის შემოქმედელ ავტორია. იგი კომუნიკაციური ინტენციის განხორციელების მიზნის შესაბამისად იყენებს ყველა ამ საშუალებას. მათი თავისებურებებისა და ერთმანეთთან რთული ურთიერთმიმართების შესწავლა დიდი ხანია რაც მეცნიერთა ყურადღების ცენტრშია. ჩვენ კი, აქ მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ფუნქციური სტილი არის უმთავრესი კომუნიკაციური მახასიათებელი, რომელიც მეთხველთან წიგნის ავტორის კავშირის რეალიზაციას განაპირობებს.

როგორც ვთქვით, წიგნი-საგანი თვით არის კომუნიკაციური არხი, მაგრამ იგი ასეთად არ გადაიქცევა, ვიდრე მის ფურცლებზე ნიშნთა გარკვეული სისტემით გამოხატული შინაარსი არ აღბეჭდება. სწორედ წიგნის მატერიალური სახე და ტექნოლოგიური შესაძლებლობები ქმნიან მასობრივი ინფორმაციის საშუალებად მისი გადაქცევის შესაძლებლობას.

კიდევ ერთი თავისებურება, რომელიც წიგნს, როგორც არხს, ახასიათებს, ეს არის დროსა და სივრცეში მისი ფუნქციონირება. ისტორიულად იგი არ შექმნილა ინფორმაციის გავრცელების ოპერატიულ საშუალებად. ამ თვალსაზრისით, მას ბევრი სხვა მასობრივი კომუნიკაციის საშუალება ჯობის. ჟურნალ-გაზეთებს დროსა და სივრცის მაქსიმალური დაძლევის ტენდენცია ახასიათებ, ხოლო რადიო – ტელევიზიამ ინფორმაციის მოპოვებისა და გადაცემის სინქრონულობასაც მიაღწია (4,206-211). წიგნის გამოცემა და გა-

ვრცელება კი პრინციპში მასზე ორიენტირებული არ არის. ყველა სერიოზული და მნიშვნელოვანი წიგნი დროის ხანგრძლივ მონაკვეთში იქმნება და, ფაქტობრივად, ვრცელდება კიდევ. მაგრამ, სამაგიეროდ, იგი მუდამ არის ორიენტირებული დროსა და სივრცეში ასევე ხანგრძლივ ფუნქციონირებაზე. ეს მისი საგრძობი უპირატესობაა ჟურნალ-გაზეთებისა და რადიო-სატელევიზიო გადაცემებთან შედარებით. დროსა და სივრცეში ხანგრძლივი ფუნქციონირების ტენდენციას, რომელიც წიგნს საზოგადოდ ახასიათებს, ზოგიერთი მათგანი საუკუნეების მანძილზე აელენს. მათი ავტორები არიან ბერძენი პომპროსი, ქართველი რუსთაველი, ინგლისელი შექსპირი, ესპანელი სერვანტესი ...

მეთხველთა მიმართების მიხედვით, ნებისმიერი წიგნი მრავალფუნქციურია. მის მთავარ დანიშნულებას მუდამ გამოხატავს ავტორისეული ან ინსტიტუციური ინტენცია, რომელიც მსჭვალავს მის ყოველ სტრიქონს და მეთხველამდე აღწევს. მაგრამ ამასთანავე ეს ინტენცია მეთხველის ცნობიერებაში შემაღვენილი ელემენტების სახითაც მკვიდრდება. საქმე ისაა, რომ წიგნის ყოველი ეპიზოდი თუ მონტაჟური მონაკვეთი თავისი შინაარსის შესაბამისად ახდენს ინტენციის მოდიფიკაციას, გაიბეზება ძაფი სხვა თემასა და პრობლემასთან. ამ დროს ინტენცია კონკრეტდება და მეთხველის ცნობიერებაში სხვადასხვა კუთხით წარმოიჩნდება. მაგალითად, წიგნში ეკონომიკის შესახებ მოსალოდნელია, რომ საკმაოდ ბევრი პოლიტიკური პრობლემა წამოიჭრას, ხოლო მხატვრულ ლიტერატურაში ზნეობრივი და ა.შ. ეს კი წიგნის კომუნიკაციური უნარის პოლიფუნქციურობის მაჩვენებელია.

ამით წიგნი არ ამთავრებს კომუნიკაციის პროცესს. მისი იდეები მკვიდრდება ადამიანთა ცნობიერებაში და წარმოშობენ ახალ აზრებსა და ფასეულობებს, ბადებენ შემოქმედებით იმპულსებს, რათა ისინი კვლავ აღძრან სამოქმედოდ. წიგნმა, როგორც კომუნიკაციურმა ფაქტმა, დასაბამი მისცა მარადიულ მასობრივ შემეცნებით-საგანმანათლებლო პროცესს, რაც ყველა ჩვენგანს თანაბარ შესაძლებლობებს აძლევს, აღიჭურვოს სამყაროს შესაცნობად. ამ თვალსაზრისით, მისი კომუნიკაციური უნარია ისეთი ახალი პრაგმატისტული სიტუაციის წარმოქმნა, რომელიც, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, კაცობრიობის სულიერ განვითარებაზე, მის სრულყოფასა და გარდაქმნაზე ორიენტირებული და ამით ახალ კომუნიკაციურ ინტენციასთან შემოქმედად იქცევა.


საბოლოოდ წიგნის ინფორმაციულ-კომუნიკაციურ მახასიათებელთა ერთობლიობა ამგვარად შეიძლება წარმოვიდგინოთ: ავტორისეული კომუნიკაციური ინტენცია, ინსტიტუციური კომუნიკაციური ინტენცია, ობიექტური და სუბიექტური სინამდვილის მოდელირება, ფუნქციური სტილი, კომუნიკაციურ ნიშნთა შერეული ენა, დროსა და სივრცეში მაქსიმალური ფუნქციონირების ტენდენცია, მრავალფუნქციურობა, პრაგმატულ-გარდაქმნილი ინტენცია.

ეს მახასიათებლები ქმნიან უზოგადეს ინფორმაციულ-კომუნიკაციურ მოდელს, რომელშიც ნებისმიერი წიგნის შინაარსი შეიძლება მოთავსდეს. ისინი უაღრესად მჭიდრო, ორგანულ კავშირში იმყოფებიან ერთმანეთთან. ამასთან, ისინი დამოუკიდებლად მრავალ კომუნიკაციურ თავისებურებასაც აელენენ და თითოეული მათგანის საფუძვლიანი კვლევა მეცნიერთა განსაკუთრებულ ძალისხმევას საჭიროებს. ადამიანი სულ უფრო და უფრო ხეყს და ამრავალფეროვნებს მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებს, ეძიებს და ქმნის ახალ შემოქმედებით ფორმებსა და ტექნოლოგიებს მათი სრულყოფისათვის. წიგნი, რომელიც ამ გზის სათავეში დგას, დღე-საც ადამიანურ ურთიერთობათა სრულქმნის ამ მარადიულ პროცესშია ჩართული.

ლიტერატურა:

1. Fred S. Siebert, Theodore Peterson, Wilbur Schramm Four Theories of the Press, Freeport – New York, 1973.
2. Denis McQuail. Mass Communication Theory: Sage Publications. – London, 1998.
3. John Milton. Areopagitika. – New York, 1900.
4. სურგულაძე რ. ქურხალის გიკამცოდნეობის საფუძვლები. – თბ., 1996.
5. Феллер М. Д. Структура произведения. – М., 1981.





წიგნი – მკურნალი

ალექსანდრე ლორია

შთაგონებით მკურნალობა უძველესი დროიდანაა ცნობილი. ამ შემთხვევაში მთავარი იარაღი სიტყვაა, რომლის მეშვეობითაც მკურნალი სასურველ შედეგებს აღწევს.

აღამიანზე სიტყვის ფსიქოლოგიური ზემოქმედების ძალა საყოველთაოდ ცნობილია და მას სრულყოფილი მეცნიერული დასაბუთება აქვს: ისიც არ არის სადავო, რომ წიგნი (საერთოდ წერილობითი ინფორმაცია) აღამიანზე ასეთსავე ზეგავლენის უნარს ფლობს, მაგრამ წიგნის ზეგავლენის მეთოდოლოგია და ტექნოლოგია დღეისთვის სრულყოფილად დამუშავებული და შესწავლილი არ არის. ცნობილია ცალკეული ცდები, მეთოდოლოგიური დამუშავებები, თეორიები და ექსპერიმენტები; ზოგან ექიმები პრაქტიკულადაც მუშაობენ ამ მიმართულებით, მაგრამ კერძო ინიციატივით. ჯერჯერობით რაიმე მყარი მეცნიერული სისტემა (ბიბლიოთერაპია) ან პრაქტიკული ცენტრი არ ჩამოყალიბებულა. ამას უდავოდ უშლის ხელს ის გარემოება, რომ წიგნით მკურნალობა არ წარმოადგენს რომელიმე ერთი დარგის კომპეტენციას. ასეთ დროს კი საქმე ყოველთვის ფერხდება, თუნდაც ის მნიშვნელოვანიც იყოს.

წიგნით მკურნალობისადმი დამოკიდებულება სხვადასხვა სპეციალისტთა მხრივ სხვადასხვაგვარია: ზოგი სკეპტიკურად უყურებს ამას და ეს საქმე ყურადღების ღირსადაც არ მიაჩნია, ზოგი სასარგებლოდ თვლის, მაგრამ არაპროდუქტიულად, ზოგი თვლის, რომ ეს პროცესი თვითდინებადია და საესებით უმართავი, ზოგი კი პირიქით – მოითხოვს მის მართვას სპეციალისტების მიერ და მეთოდოლოგიის დამუშავება მიაჩნია საჭიროდ. უკვე დიდი ხანია მედიცინაში ამ საკითხს ამუშავებენ ცალკეული სპეციალისტები, ვხვდებით სპეციალურ შრომებს, სტატიებს, შექმნილია კვლევითი განყოფილებები, მოქალაქეობრივი უფლებები შეიძინა ტერმინმა „ბიბლიოთერაპიამ“, მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც თეორიის, ისე პრაქტიკის თვალსაზრისით, ეს საქმე არ შეიძლება მოგვარებულად ჩაითვალოს. კიდევ ბევრია გასაკეთებელი, რომ იგი პრაქტიკაში საყოველთაოდ დაინერგოს.

წიგნით მკურნალობა ეს თანამედროვეობის პრობლემა და მხოლოდ მაშინ გადაწყდება, თუკი სპეციალურად მოხდება მასზე მუშაობა მისი თეორიისა და პრაქტიკის განვითარებისათვის.

ამ ბოლო ხანებში აშკარად შეიმჩნევა, რომ იქმნება კითხვის შესახებ მეცნიერული კვლევის სისტემის

ჩამოყალიბებისა და განვითარების ტენდენცია (ლექტოლოგია). ეს უნდა გახდეს საფუძველი ყველა მეცნიერებისათვის, რომელსაც კი წიგნთან სხვადასხვა ასპექტებით აღამიანის ურთიერთობის კვლევა უწევს. ასეთებია, მაგალითად, ფსიქოლოგია, პედაგოგია, სოციოლოგია, ბიბლიოთეკათმცოდნეობა და სხვადასხვა პრაქტიკული დარგები – პოლიგრაფიული მრეწველობა, წიგნის გაფორმების ხელოვნება, წიგნვაჭრობა და სხვა. თავისებური ასპექტით ზოგ შემთხვევაში მისი გამოყენება მედიცინაშიც ხდება. დაუფასებელია მედიცინის შესაძლებლობები იმ სფეროებში, რომლებიც აღამიანთა ფსიქოლოგიურ-მორალური და ეთიკური გაწონასწორებისათვის იღვწის. საერთოდ, აღამიანზე წიგნის ზემოქმედების უნარის გამოყენების მასშტაბები განუსაზღვრელია. მას დიდი როლი მიუძღვის აღამიანის პიროვნულად ჩამოყალიბებაში, მის აღზრდა-განვითარებაში; მისი მეშვეობით ხდება შეხედულებების, მრწამსის, გემოვნების, ეთიკური ნორმების შემუშავება, მოვლენათა შეფასება – გადაფასება და სხვა. აღამიანზე წიგნის ზემოქმედება ობიექტური კანონზომიერების მოვლენაა, გვინდა-არგვინდა, წიგნი აღამიანზე მისი ნების გარეშეც ზემოქმედებს, მაგრამ ზემოქმედების ხარისხი დიდადაა დამოკიდებული სუბიექტურ ფაქტორებზე. ამ ზეგავლენამ რომ სასურველ შედეგს მიადწიოს, მას გარკვეული მართვა ესაჭიროება, ხოლო როგორ უნდა ხდებოდეს ეს, უკვე სპეციალურ მეთოდებსა და ტექნოლოგიასა და დამოკიდებული, რომელთა შესწავლის შედეგადაა მხოლოდ შესაძლებელი სწორი რეკომენდაციების შემუშავება.

მეტ-ნაკლებად, აღამიანზე ყველა წიგნი ახდენს რაციონალურ ზეგავლენას, მაგრამ წინასწარ განსაზღვრული შედეგების მიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, როდესაც ის ძირითად ამოცანებსა და მიზნებს შეესატყვისება. საკითხავია, რამდენად შთამბეჭდავია წიგნი, აქვს თუ არა სუბეგსტივობის (დამარწმუნებლობის) უნარი, ზეგავლენის რა ძალას ფლობს, როგორია მისი მეცნიერული და მხატვრული ღირებულება, რა ღირსებებით გამოირჩევა და სხვა. მაგრამ ამავე დროს მხედველობაშია მისაღები პიროვნება (ჩვენს შემთხვევაში პაციენტი), მისი თავისებურებები, რამდენად შესატყვისებელია ლიტერატურული მასალა პიროვნების (მკითხველის) მოთხოვნილებებსა და ინტერესებს.

წიგნის სამყარო უსაზღვროა. ამიტომაც ძალიან ძნელია (ამავე დროს ადვილიც) გამოიყოს მხოლოდ ის, რაც კონკრეტულად უპასუხებს დასმულ ამოცანას.

სამკურნალოდ წიგნის გამოყენება, როგორც დამხმარე საშუალებებისა, სხვადასხვაგვარად ხდება. ჩვეულებრივ, ამ შემთხვევაში ლიტერატურა შეიძლება ოთხ ძირითად კატეგორიად დაიყოს:

1. წიგნები, რომლებშიც მოცემულია დაავადების აღწერილობა, მისი თავიდან აცილებისა და მკურნალობის საშუალებანი და მეთოდები; სამედიცინო პროფილაქტიკური ლიტერატურა, როგორც პოპულარული, ისე სპეციალური, მათი გაცნობა ადამიანს სრულყოფილ წარმოდგენას აძლევს თავის დაავადებაზე, უნერგვს რწმენასა და იმედს, უადვილებს თვალი გაუსწოროს სინამდვილეს, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, როდესაც მდგომარეობა შედარებით საიმედოა. წინააღმდეგ შემთხვევაში, გარდა რაიმე კერძო შემთხვევისა – როცა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ექიმი რაიმე მანერს მიმართავს – არ იქნება სასურველი, რადგან ამან შეიძლება უარყოფითი ემოციები გამოიწვიოს – შიში, დაბნეულობა, ნერვიულობა, უნდობლობა და სხვ. საერთოდ, მკურნალები დიდი სიფრთხილით უნდა ეკიდებოდნენ სამკურნალოდ წიგნის გამოყენების საქმეს, მით უმეტეს, ხსენებული ხასიათის ლიტერატურის შემთხვევაში. პირადად ისინი უნდა იცნობდნენ ამ ლიტერატურას და მის რეკომენდაციას თავად იძლეოდნენ. არაა გამორიცხული პაციენტთან სპეციფიკური საუბრები და დავა-კამათიც კი. ექიმის კომენტარები სასურველ გავლენას უნდა ახდენდეს ავადმყოფზე და დამაჯერებლობით გამოირჩეოდეს.

2. ლიტერატურა, რომელიც გამიზნულია პირდაპირ ავადმყოფთა შთაგონებაზე – უმთავრესად მეცნიერულ-პოპულარული, განსაკუთრებით მედიცინის მიღწევაზე, ქირურგიის არნახულ წარმატებებზე, უახლეს ძლიერ მედიკამენტიებზე, თვითმკურნალობაზე, სხეულის გაკაფებაზე, რეზექციის უშიშროებაზე, თავის მოვლა-პიგიენაზე და ა. შ. ამას გარდა, ამ ჯუფგში შედის ნარკვევები მედიცინის გამოჩენილ მოღვაწეებზე, მათ თავდადებულ შრომაზე, მიღებულ შედეგებზე, აგრეთვე ლიტერატურა ძლიერ, მამაც ადამიანებზე, რომლებმაც ურთულესი ფიზიკური და სულიერი სიმძიმელი გადაიტანეს, ასევე იმ ადამიანთა გამოხმაურებები, რომლებმაც მძიმე დაავადებები დაძლიეს მკურნალთა დახმარებით.

3. სამუშაო (პროფესიული) ლიტერატურა, ე. ი. იმ დარგის წიგნები და ჟურნალ-გაზეთები, რომლებიც ავადმყოფის პროფესიას ან მის საყვარელ დარგს შეეხება, თუკი ჯანმრთელობა იძლევა ამის საშუალებას, მთელ რიგ შემთხვევებში (გაანჩია, რა ხასიათისაა დაავადება), ავადმყოფს შეუძლია განაგრძოს თეორიულ-მეთოდოლოგიური საქმიანობა, მუშაობა წიგნზე, რაც ხელს შეუწყობს, მოწყდეს მავნე ფიქრებსა და ასოციაციებს, უსიამოვნო მოგონებებს, წუხილს მისი მკურნალობის შესახებ, შეუმჩნევლად გაატაროს დრო და სულიერი კმაყოფილება მიიღოს.

4. გასართობი ლიტერატურა, რომელიც მხიარულ, ხალისიან განწყობილებას შეუქმნის ავადმყოფს, ჟურნალ-გაზეთები, კომიქსები, მხატვრული ალბომები. არაა გამორიცხული ავადმყოფის გემოვნებისა და ინტერესების შესაბამისი ყოველგვარი წიგნის გამოყენებაც, რაც ავადმყოფს მიანიჭებს ესთეტიკურ სიამოვნე-


ბას, ხელს შეუწყობს დროის „სწრაფად“, შეუმჩნევლად გასვლას, გუნება-განწყობილების გამორწმუნებას.

ამ სახის წიგნები, რომლებიც აქ დავაჯგუფეთ, შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც დამოუკიდებლად, ისე ერთად, კომპლექსურად. მათი გამოყენება ხდება როგორც ავადმყოფის შესამზადებლად სამკურნალოდ, ისე მის მკურნალობის პერიოდში და შემდეგაც, გამოჯანსაღების დროს კითხვას შეიძლება მიმართავდეს როგორც თვით პაციენტი, ისე სხვა პირი ხმამაღლა ავადმყოფის ჯანმრთელობის გათვალისწინებით.

წიგნით მკურნალობა მკურნალისაგან ბიბლიოფილობასაც მოითხოვს. ამ შემთხვევაში ექიმს მოეთხოვება, კარგად იცნობდეს შესაბამის ლიტერატურას, დაუფლებული იყოს კითხვის ფსიქოლოგიის საფუძვლებს, ერკვეოდეს მის თავისებურებებში, ამავე დროს საფუძვლიანად ჰქონდეს შესწავლილი თავისი პაციენტის დაავადება და თვით პაციენტი. არანაკლები მნიშვნელობა აქვს მედიკოსის პიროვნულ დირსებებს, მის ერულიცობას, ფსიქოლოგიურ ალღოსა და ტაქტს, კომუნიკაბელურობას, მის ნაკითხობასა და წიგნების შეფასების უნარს. როგორც ვხედავთ, წიგნით მკურნალობა – უფრო გამართლებულად: წიგნების გამოყენება მკურნალობის დროს – განსაკუთრებულ პროფესიულ დიდოსტატს თუ ხელეწიფება. რამდენადაც ასეთი საქმე არ წარმოადგენს მკურნალობის სტრუქტურულად აუცილებელ შემადგენელ ნაწილს, იგი მთლიანად დამოკიდებულია მკურნალის პირად ინიციატივაზე და მის პასუხისმგებლობაზე.

მკურნალობის დროს წიგნების გამოყენება რამდენადაც სასარგებლოა, იმდენად საფრთხილოც. მან შეიძლება უარყოფითი შედეგი გამოიღოს, თუკი ეს პროცესი მალაპროფესიონალურად არ წარიმართა. საერთოდ, ყველა, ვისაც უწევს ადამიანზე წიგნიერი ზეგავლენის გავრცელება, დიდი სიფრთხილით უნდა ეკიდებოდეს ამას, რადგანაც წიგნის ზეგავლენას ალტერნატიულობა ახასიათებს – ყველაზე და ყოველთვის ერთგვაროვან გავლენას არ ახდენს.

წიგნით ორგანიზებული მკურნალობა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში 60-იანი წლებიდან დაიწყო. გავრცელება თუ არა იგი ჩვენში, ძნელი სათქმელია. ამას მომავალი დაგვანახებს.



ბიბლიოთეკა და ეკოლოგიური განათლება

კონსულტაცია

ცისანა წერეთელი
საქართველოს პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკის
ბიბლიოთეკათმცოდნეობის
ცენტრის მეთოდისტი



ყველა მეცნიერებას, რომელიც შექმნილია, აქვს ერთი მიზანი – უზრუნველყოს ადამიანის არსებობა, მისი მომავალი. თანამედროვე ცივილიზაციის პირობებში ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობის ამ ურთულესი პრობლემის პირობებში ადამიანებს რეალობის გათვალისწინებით უნდა ისწავლონ ურთიერთობა, ცხოვრება, გამოიყენონ ყველა აზრობრივი შესაძლებლობები მომავლის საკეთილდღეოდ, ყურადღება გაამახვილონ ისტორიის, ლიტერატურის და სხვა ჰუმანიტარული მეცნიერების ურთიერთ დამოკიდებულებაზე ბუნებასთან კონტაქტში; იურისპრუდენციის, როგორც მეცნიერების შესწავლა უნდა მოხდეს არა როგორც კანონების სისტემის, არამედ როგორც ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთობის ლოგიკის რეალიზაცია, და დღეს, როცა ადამიანის არსებობას საფრთხე დაემუქრა, არ შეიძლება მარტო ძველი გამოცდილებით ცხოვრება, ძველ ტრადიციებზე ორიენტირება.

თანამედროვე ადამიანის ინტელექტუალური გონის ამოცანა უნდა იყოს ბუნებისმეტყველების და ჰუმანიტარული დისციპლინების სინთეზი. ამ ურთულესი პრობლემის გადაჭრაში ბიბლიოთეკების როლის განსაზღვრა მეტად ბევრ სიმძლეესთანაა დაკავშირებული, და მინც დარწმუნებით შეიძლება ვიმჯავლოთ ბიბლიოთეკების როლზე, რომელიც მათ აქვთ ადამიანების ეკოლოგიური, კულტურული, ეკონომიური, იურიდიული განათლების თუ ინფორმაციების საქმეში, ვინაიდან ბიბლიოთეკებშია დაუნჯებული კაცობრიობის ინტელექტუალური მონაპოვარი, უდიდესი საინფორმაციო ბაზა, განათლებული საბიბლიოთეკო კადრები, რომელთაც უნარი შესწევთ, აქტიური გავლენა იქონიონ ადამიანის მსოფლმხედველობაზე.

ბიბლიოთეკები და ეკოლოგიური განათლება! რა ასექტში შეიძლება ამ ურთულესი, მრავალპლანური, პოლითემატური საკითხის გაშუქება? მკვლევართათვის ცნობილია, რომ ნებისმიერი საკითხის დამუშავებას წინ უძღვის ბიბლიოგრაფიული ძიება – რეტროსპექტული ბიბლიოგრაფიის გაცნობა – შესწავლა და ანალიზი. პროფესიულ მუშაობაში „Библиотека“-ში გაანალიზებულ ლიტერატურაში ადინწნებოდა იმ მიმართულებების, გამოცდილების შესახებ, რომელიც რუსეთის ბიბლიოთეკებს ჰქონდა დაგროვილი ამ ურთულესი საკითხის დამუშავებისას. საინტერესოა ბიბლიოთეკების მეთოდური განყოფილების თანამშრომლების დამოკიდებულება ცნება „ეკოლოგიისადმი“. მათ მიერ „ეკოლოგია“ განსაზღვრულია როგორც „ბუნების დაცვა“, რომ „ეკოლოგია“ არაა აუადმიური მეცნიერება, რომ ეს ცოდნა მხოლოდ დაინტერესებულთათვის. (Библиотека.- 1997, №11), ამავე წლის მე-3 ნომერში ეკოლოგიის შესახებ ნათქვამია:

„ეკოლოგია“ მჭიდროდა გადაჯაჭვული ისეთ მეცნიერებებთან, როგორცაა ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია, გეოგრაფია, ეკონომიკა, მედიცინა და ა.შ.“ ზემოთ მოყვანილი განმარტებიდან, თავს უფლებას მიეცემთ დავასენათ, რომ რუსეთის ბიბლიოთეკარები ეკოლოგიას არ თვლიან დამოკიდებულ ჩამოყალიბებულ მეცნიერებად. რეალურად კი ცნობილია, რომ ეკოლოგია დამოკიდებულ დარგად აღიარეს 1910 წელს ბრიუსელში ბოტანიკოსთა საერთაშორისო კონგრესზე, ხოლო თვით ტერმინ „ეკოლოგიის“ პირველი განმარტება მოგვცა გერმანელმა ე.პ.კულმა 1866 წელს. მან თავის შრომებში „ორგანიზმების საერთო მორფოლოგია და სამყაროს შექმნის ბუნებრივი ისტორია“ განსაზღვრა ეკოლოგიის, როგორც მეცნიერების, ძირითადი არსი; კერძოდ, ნათქვამია, რომ ეკოლოგია წარმოადგება ბერძნული სიტყვიდან „ოი-



კოს“, რაც ნიშნავს „საცხოვრებელს“, „ადგილსამყოფელს“, „თავშესაფარს“; ეკოლოგიამ, როგორც ბუნების რაციონალური გამოყენებისა და ცოცხალი ორგანიზმების დაცვის მეცნიერულმა საფუძველმა, მე-20 საუკუნის 20-იან წლებში განსაკურებული მნიშვნელობა შეიძინა – ჩამოყალიბდა და განვითარდა სინთეზური მეცნიერების სახით: მცენარეთა და ცხოველთა ეკოლოგია, ეკოლოგიური ემბრიოლოგია, ეკოლოგიური მორფოლოგია და ფიზიოლოგია; სოციალური ეკოლოგია, რომელიც სწავლობს ადამიანის და ბუნების ურთიერთმოქმედების კანონზომიერებებს, ბუნების დაცვის პრობლემებს, მოიცავს ფილოსოფიურ, სოციალურ, ეკონომიურ, გეოგრაფიულ, სამედიცინო, კოსმოსურ, პედაგოგიურ ასპექტებს (ქალაქის და სოფლის ეკოლოგია, ტექნიკური ეკოლოგია, სოფლის, კულტურისა და განათლების ეკოლოგია). კომპიუტერიზაციის პირობებში მნიშვნელოვანი ყურადღების მიქცევას საჭიროებს კომპიუტერული ეკოლოგიის, როგორც დარგის, განვითარება.

ცნება „ეკოლოგია“ მეტად ფართოა და თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ ვითარდება მეცნიერების სხვადასხვა დარგი, გამოიყვეთება ახალი დისციპლინები, შესაძლებელია ეკოლოგიის, როგორც პოლითემატური დისციპლინის, შესახებ მსჯელობა. ამრიგად, თეორიული და ემპირიული ინფორმაციები ეკოლოგიურ დარგში ცოდნის სხვადასხვა სფეროს მოიცავს ბიოლოგიიდან ტექნიკამდე და კვლევაც

მოსწავლე
ახალგაზრდობის და მოსახლეობის
ეკოლოგიური განათლება ნიშნავს, მიეცეთ
ადამიანებს მეცნიერული ცოდნა იმ ვარგებზე,
რომელშიც სასიცოცხლო პროცესები
მიმდინარეობს.

ეკოლოგიის დარგში პოლისტრუქტურული სისტემის – „ობიექტი – გარემო – ადამიანი“ რთული ფუნქციონალური კავშირებით ხასიათდება.

ბიბლიოთეკებს დიდი წვლილი შეტანა შეუძლია ეკოლოგიურ-საგანმანათლებლო და ეკოლოგიურ-საინფორმაციო მუშაობის წარმართვაში, მოსახლეობის ეკოლოგიური ცოდნის დონის ამაღლებაში, გარემოს დაცვითი ცნობიერების ჩამოყალიბებისთვის ხელის შეწყობაში, საჭიროებოთ ეკოლოგიური საკითხების და მათი გადაჭრის შესაძლო გზების თაობაზე ინფორმირებაში. იმისათვის, რომ ადამიანებმა ისწავლონ ბუნებათსარგებლობის სფეროში სწორი გადაწყვეტილებების მიღება, საჭიროა შეიქმნას გარემოს დაცვითი განათლების ერთიანი უწყვეტი სისტემა, რომელიც მოიცავს სკოლამდელ, დაწყებით, საბაზო, საშუალო, პროფესიულ და უმაღლესი განათლების ეტაპებს.

მოსწავლე – ახალგაზრდობის და მოსახლეობის ეკოლოგიური განათლება ნიშნავს, მივცეთ ადამიანებს მეცნიერული ცოდნა იმ გარემოზე, რომელშიც სასიცოცხლო პროცესები მიმდინარეობს. ამ საქმეში დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ბიბლიოთეკებს ეკოლოგიური თემატიკის ამსახველი ლიტერატურის გამოყენების მოწოდებით, ლიტერატურის გავრცელებით, სპეციალისტებთან შეთანხმებით შეხვედრების ორგანიზებით, საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული მიმოხილვების, კონსულტაციებისა თუ ცნობების გაცემით.

ბიბლიოთეკები და ბიბლიოთეკარები, სასურველია, იყვნენ საქმის კურსში უახლესი საინფორმაციო საშუალებების, ბაზების, კომპანიების შესახებ საინფორმაციო – ბიბლიოგრაფიული მომსახურებისა და სხვა პროფესიულ საქმიანობაში ოპერატიულად გამოყენების მიზნით. ეკოლოგიური პრობლემების დაძლევაში მონაწილეობა ბიბლიოთეკების როლის ამაღლებას შეუწყობს ხელს. ბიბლიოთეკების საინფორმაციო მომსახურების ცენტრებად სპეციალიზირება მომხმარებლისთვის კითხვებზე პასუხის ოპერატიულად მისაღებად უნდა ხდებოდეს და არა მხოლოდ ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული სიების საინფორმაციო-ანალიზური სამუშაოს წინა პლანზე გამოსატანად, თუმცა ამასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ბიბლიოთეკები ეკოლოგიური განათლების აქტიურ ცენტრებადაც უნდა დასპეციალდნენ, ვინაიდან ბიბლიოთეკებში დაუწყველი კაცობრიობის მთელი ინტელექტუალური მონაპოვარი. ბიბლიოთეკარები, სასურველია, ფლობდნენ ინფორმაციას საერთაშორისო ეკოლოგიური ორგანიზაციების – იუნესკოს, იუნეპის, საზოგადოებების, ასოციაციების შესახებ. ამ ორგანიზაციების ამოცანა ადამიანის პრაქტიკულ მოღვაწეობაში ეკოლოგიური მიდგომის დანერგვა და ეკოლოგიური ლიტერატურის პროპაგანდაა. ასევე სასურველია, ბიბლიოთეკებში მოიპოვებოდეს ინფორმაცია საქართველოში მოქმედი ბუნების, გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური პრობლემების შესწავლელი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ; აღნიშნული ინფორმაცია მოიპოვება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. საქართველოში საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ გამოცემულია ცნობარი „Internacional donors handbook for Georgia“ – თბ., 1997. ცნობარში მონიშნულია

ორგანიზაციების, ფონდების საპროგრამო მოქმედების არეები და დახასიათებულია მათი გეოგრაფიული რეგიონები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის მიერ სოროსის ფონდის ხელშეწყობით, შექმნილია სხვადასხვა მონაცემთა ბაზა; მკითხველთა მომსახურებაში ბიბლიოთეკის ავტომატიზაციის განყოფილების მიერ აქტიურად გამოიყენება მონაცემთა ბანკი „კოდექსი“, რომელიც შეიცავს ყველა საკანონმდებლო დოკუმენტის სრულ ტექსტს, პრეზიდენტის ბრძანებულებებს, პარლამენტის და მთავრობის დადგენილებებს. ეკოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებული სამართლებრივი ბაზის შესახებ საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკის ბიზნესის განყოფილებაში შესაძლებელია მონაცემთა ბაზიდან ამ სფეროს ნებისმიერი იურიდიული ხასიათის ინფორმაციის მიღება. საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების განყოფილებაში მოიპოვება გამოცემა „პარლამენტის უწყებანი“, რომელშიც ასახულია საკანონმდებლო ორგანოების დადგენილებები, განკარგულებები, კანონპროექტები, კოდექსები, კანონები ეკოლოგიური პრობლემების ფართო სპექტრით. მაგალითად კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ, კანონი საქართველოს ტერიტორიაზე ტყის საგარეულებით სარგებლობის შესახებ, საქართველოს კანონი ვაზისა და ღვინის შესახებ, საქართველოს ტყის კოდექსი და ა.შ.

ინტერნეტში შესაძლებელია სამეცნიერო, სამართლებრივი, სტა-



ტიისტიკური, ეკოლოგიური საცნობარო-ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის, ელექტრონული საინფორმაციო მომსახურების WEB სერვერების მისამართების მიღება, სადაც ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ იტყებებოდა ინფორმაცია ეკოლოგიის სხვადასხვა სფეროში: ecology.ru, agronus.ru, rambler.ru, medcom.spb.ru, aportal.ru, georgia.net.ge, sakartvelo.com, Geres.ge და ა.შ.

ეკოლოგიური პრობლემების დაძლევაში მონაწილეობა ბიბლიოთეკების როლის ამაღლებას შეუწყობს ხელს.

ეკოლოგიის სხვადასხვა სფეროს სპეციალისტების ბიბლიოგრაფიული მოთხოვნების სრულფასოვანი და ოპერატიული დაკმაყოფილებისთვის სასურველია ბიბლიოთეკებმა განხორციელონ ავტომატური კავშირი დერგობრივ და რეგიონალურ ბანკებთან, სრულყოფილი მკითხველთა საინფორმაციო – ბიბლიოგრაფიული მომსახურების მეთოდები და ფორმები: კომპლექსური მასობრივი ინფორმაციული დონისძიებები – „სპეციალისტის დღე“, „ინფორმაციის დღე“; აქტიურად გამოიყენონ სპეციალისტთა ინფორმირების კომპლექსური ხასიათის ამ დონისძიებებში შერწყმული ზეპირი (საუბრები, მიმოხილვები, ლექციები) და თვალსაჩინო ფორმები (გამოფენები, პლაკატები, ლიფლტები).

სპეციალისტებისა და მოსახლეობისთვის ეკოლოგიური ლიტერატურის მიწოდების მიზნით, მომსახურების ტრადიციულ ფორმებთან ერთად, საჭიროა დანერგოს ახალი არატრადიციული საბიბლიოთეკო დონისძიებები; ყურადღება გამახვილდეს ისეთ თემებზე, როგორცაა „ეკოლოგია და ადამიანი“, „ჩვენი მხარე“, „ჩვენი მხარის ეკოლოგიური პრობლემები“, „მონარდი და გარემო“, „გაუფორთხილეთ ბუნებას“. მინამწვინილია ბიბლიოთეკებში ორგანიზებული იყოს ღუნების პრობლემებისადმი მიძღვნილი წიგნების პრეზენტაციები, დიალოგები, ინტერვიუ, პრესკონფერენციები (მაგალითად, ეროვნულ ბიბლიოთეკაში Tacis – ის გარემოს დაცვითი ცნობიერების ამაღლების პროგრამის მიერ ორგანიზებული იყო საბაზალწლო აქცია „გრანდიოზული მცენარე – ხე“, პრესკონფერენციასთან ერთად მოქმედი მხატვარ გ.ჯ.



ფარიდის გამოყენება ტყის კოსმოლოგიის შესახებ).

ბიბლიოთეკების მისიის შესასრულებლად მოსახლეობის ეკოლოგიური განათლებისთვის სასურველია ტარდებოდეს პროფესიული ლინსიციები:

- ჩატარდეს სოციოლოგიური კვლევები;
- გაირკვეს მეთხველთა მოთხოვნები, ყურადღება დაეთმოს ეკოლოგიური შინაარსის ლიტერატურით მეთხველთა დაინტერესებას;
- მსხვილ ბიბლიოთეკებში შეიქმნას ე.წ. „მწვანე ბიბლიოთეკები“, სადაც ეკოლოგი – ბიბლიოთეკარები იმუშავენ სადღეისოდ მეტად მწვავე ეკოლოგიური პრობლემების შესწავლას;

ბიბლიოთეკების ბაზაზე დაინერგოს საინფორმაციო-ეკოლოგიური ცენტრი საკუთარი კომპიუტერული ბაზით, კოორდინირებული ურთიერთობებით საბუნებისმეტყველო, სამედიცინო და სხვა დარგის დაწესებულებებთან, აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლებისა და სხვა უწყებების ასეთივე საინფორმაციო ეკოცენტრებთან.

მეთხველთა ეკოლოგიური ინფორმირების ბიბლიოგრაფიული უზრუნველყოფისათვის სასურველია გამოიყოს მომსახურების სამი ძირითადი ზონა: ა) აქტუალური ანუ მომენტალური მომსახურება; ბ) საშუალოდ აქტუალური და გ) რეტროსპექტიული მომსახურება.

ბიბლიოთეკებმა ეკოლოგიური შინაარსის ლიტერატურით სპეციალისტების და მოსახლეობის სრულფასოვანი და ოპერატიული მომსახურებისთვის სასურველია განსაზღვრონ ფონდში არსებული ეკოლოგიური ლიტერატურის ინფორმაციის ხარისხობრივი მაჩვენებლები, რის საფუძველზეც გამოიყოფა და შეიქმნება შემდეგი ჯგუფები:

1. ნორმატიულ – სამართლებრივი შინაარსის ეკოლოგიური ლიტერატურა;

2. სამეცნიერო – საკონსულტაციო შინაარსის ეკოლოგიური ლიტერატურა;

3. ანალიტიკური ინფორმაცია გარემოს მდგომარეობაზე (კლასიკის, რეგიონის, სოფლის).

4. სამეცნიერო – შემეცნებითი და მხატვრული ლიტერატურა. სასურველია შეიქმნას კოლექციები, ელექტრონული კატალოგები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს, ბიბლიოთეკების უზარმაზარ ფონდში გამოვალინოთ გაბნეული ეკოლოგიური შინაარსის ლიტერატურა.

ბიბლიოთეკების როლი ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრაში მნიშვნელოვანია; ბიბლიოთეკების მიერ ინფორმაციის მოპოვება, დაგროვება და გაცვლა აუცილებლად უნდა ხდებოდეს ოპერატიულად, პრიორიტეტულად. ინფორმაციის ოპერატიულად გავრცელებისთვის კი აუცილებელია ინფორმირების ახალი ფორმების გამოყენება; განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჟურნალისტების, პრესის სხვა თანამშრომლებისთვის ინფორმაციის ლაკონური და ამომწურავი ფორმით მიწოდება (პრესაკვები, პრესრელიზი). ინფორმაციის გავრცელების ეს ახალი ფორმები ბოლო წლებში აქტიურად დაინერგა პრესის თანამშრომლებისა და ჟურნალისტებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მისაწოდებლად, რადგანაც პრესკონფერენციაზე განსახილველი პროგრამის ან საკითხის შესახებ ძირითადი ინფორმაციის მიღება ადვილეს და აჩქარებს სტატიის მომზადებასა თუ ტელეგადაცემის ორგანიზებას.

ეკოლოგიური განათლებისთვის, მოსახლეობისა და სპეციალისტების ბიბლიოგრაფიული ინფორმირებისთვის ბიბლიოთეკებმა თვითონ უნდა დასახონ გზები, გაარკვიონ თავიანთი როლი ამ მიმართულებით მუშაობისას, შეძლებისდაგვარად წარმოადგინონ საკუთარი მოსაზრებები ეკოლოგიზაციის მიმართულებით მუშაობის უზრუნველსაყოფად, ბიბლიოთეკაში არსებული რესურსების გამოყენების გათვალისწინებით, რაც აუცილებლად მოგვცემს სასურველ შედეგს.

ლიტერატურა:

გოგოჭური ც. მდგრადი მსოფლიო 2030 წლისთვის: პროგნოზები და რეკომენდაციები // გეკავსიონი.-1995. 29 ნოემბერი გვ. 1-2

დეკანოზიძე მ. ეკოლოგს აღზრდა უნდა // თბ., 1990. 9 ივლისი [ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრისას შესაბამისი კადრების მომზადების და ეკოლოგიური განათლების საერთო დონის ამაღლების აუცილებლობის შესახებ]

ეკოლოგიის კარიბჭე / შეადგინა ნ. ზაზანიშვილი; მე-2 გამოცემა.- თბ., 1998.- 88 გვ.

ეცხოველი ნ. მეორეში დაჭრილი ბუნება.- თბ.: თსუ.- 1980. მჭედლიძე გ. , დოდონაძე ზ. ეკოლოგია მეტეოროლოგიისა და ბუნების დაცვის საფუძვლებით.- თბ., 1995.- 254 გვ.

ნაკაიძე დ. დედამიწა ჩვენი საერთო სახლია: ვისწავლოთ ამ სახლში მოწესრიგებული ცხოვრება! // შვიდიობა ვიველით.- 2000, 15-31 დეკ. [ეკოლოგიური პრობლემები მსოფლიოში].

ურუშაძე თ. ეკოლოგიური სამართალი / რედ. სერგო ჯორბენაძე.- თბ., 1996.- 194 გვ.

ქაჯაია გ. ბიოსფერო და საზოგადოება.- თბ., 1997.- 87 გვ. ვურაშვილი ბ. ვისწავლოთ ცხოველთა სამეაროს დაცვა.- თბ.: მეცნიერება, 1990.

ჩიქობავა დ. უტყვი ბუნების ვარამი // საქართველოს რესპუბლიკა.- 2000, 14 მარტი.[გარემოს ეკოლოგიური დაბინძურების ინტენსიური ზრდის გამო].

ზარაზიშვილი ნ. ვისთვის რეალური საშიშროება – ვისთვის – ქარის წისქვილები! // ომეგა.- 2000, №4.- გვ. 34-40.

XXI საუკუნის ახალი სახელები: (ახალგაზრდულ შრომათა კრებული).- თბ.: „მეცნიერება“- 1996.- 104 გვ.

კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და გარემოსდაცვით საკითხებზე მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ.- თბ., 2000.- 84 გვ.

სასურველია შეიქმნას კოლექციები, ელექტრონული კატალოგები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს, ბიბლიოთეკების უზარმაზარ ფონდში გამოვალინოთ გაბნეული ეკოლოგიური შინაარსის ლიტერატურა.

გამოხმაურება ლანჩხუთის საპიჯლოთქმო საქმის წაჩსუდიან

ლანჩხუთში მე-19 საუკუნის 90-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი პირველ ბიბლიოთეკას. ეს ის პერიოდაა, როდესაც იღვიძებოდა ქართული საზოგადოებრივი აზრი, როცა ბიბლიოთეკებზე თითქმის ყველგან გამძაფრდა მოთხოვნილება, მაგრამ ბევრგან როდი მოხერხდა ამ კეთილშობილური დაწესებულების ამოქმედება. ლანჩხუთელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ საზოგადოებრივი ბიბლიოთეკების გასახსნელად უკვე კარგა ხანია შემზადებული იყო ნოყიერი ნიადაგი.

1890 წლის 7 მარტს "ივერია" სიხარულით ამცნობდა მეთხველებს, რომ "ჩვენს პროვინციულ ქალაქებში თანდათან სტამბები და წიგნის მაღაზიები უფრო და უფრო ვრცელდება".-ო. მაშინდელ საქართველოში წიგნის მაღაზიები იშვიათობას წარმოადგენდა, არა და, მათ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა მოსახლეობას შორის წიგნიერების ატმოსფეროს შექმნაში. ამ საქმეში თავისი სიტყვა ლანჩხუთსაც უთქვამს - 1893 წ. აქ შ. ცინცაძემ სპეციალური საეკატორი პავილიონი ააგო წიგნის მაღაზიით, რომელსაც, როგორც ამ წლის "ივერიის" N 178 გვემცნობს, დიდი წარმატება ჰქონია. ყურადსაღებია ის მოვლენა, რომ ლანჩხუთმა ერთ-ერთმა პირველთაგანმა დაუდო მნიშვნელოვან ტრადიციას საფუძველი - როცა ბიბლიოთეკის საქმიანობასა და ვაჭრობას ერთმანეთს უკავშირებდნენ. ამ შემთხვევაში მაღაზიასთან კი არ იქმნებოდა ბიბლიოთეკა, არამედ თვით ბიბლიოთეკა აარსებდა მაღაზიას. მიჩნეულ იქნა, რომ ასეთი რამ ხელსაყრელი იქნებოდა ბიბლიოთეკის შენახვისათვის. ეს, როგორც კარგი მაგალითი, საგანგებოდ აღნიშნა "კვალმა" 1902 წლის 33-ე ნომერში.

ლანჩხუთში გადადგმული პირველი ნაბიჯები ყველასგან გამორჩეული იყო საქმის კარგი ორგანიზაციით. შემთხვევითი არ იყო, რომ "გურიის სახალხო სამკითხველოსათვის" ადგილის შერჩევისათვის დაუა - კამათში პრეტენდენტთა შორის ლანჩხუთიც სახელდებოდა, მაგრამ ბოლოს სავსებით სამართლიანად სოფელი აკეთი აირჩიეს, როგორც ყველაზე მიზანშეწონილი ადგილი გურიის უღარბეს სოფელთა მომსახურებისათვის.

საქართველოში პირველად გურიაში დაიწყო ბიბლიოთეკაში სტატისტიკური აღრიცხვა, მათ შორის იყო ლანჩხუთის წიგნსაცავიც, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო სახალხო დაწესებულებად იყო მიჩნეული. საგულისხმოა ერთი ფაქტი: ბიბლიოთეკები, ჩვეულებრივ, თავიანთ ანგარიშებში მკითხველთა შემადგელობის დახასიათებისას მკითხველთა წოდებრივად დაყოფას ახდენდნენ. სწორედ ლანჩხუთის ბიბლიოთეკა გამოვიდა ამის წინააღმდეგი. ბიბლიოთეკის გამგე კირილე წილოსანი და მმართველი ნესტორ მხეიძე წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას 1896 წელს ანგარიშებში ატყობინებდნენ, რომ გლეხებს პროტესტი გამოუცხადებიათ - "ნუთუ სამკითხველოშიც უნდა განიჩიოდეს გლეხი და აზნაური". ამ მიზეზით კინაღამ დახურულა კიდევ სამკითხველო, რის გამოც აქ ამ ნიშნით აღარ აწარმოებდნენ სტატისტიკას.

რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში გურიის ბიბლიოთეკები ყველაზე მეტად დაზარალდა. ბევრი მათგანი გა-

როგორც "საქართველოს ბიბლიოთეკის" წინა ნომრიდან ჩვენთვის ვახდა ცნობილი, ბაგონ „კონწარას“ არ მოსწონებია ლანჩხუთის მთავარი ბიბლიოთეკის თანამედროვე იერსახე და გამოუთქვამს სურვილი, გაგვეცნო მკითხველებისათვის ლანჩხუთელთა ადრეული საქმიანობა ბიბლიოთეკების დაარსებასთან და მათ განვითარებასთან დაკავშირებით.
ვასრულებთ მის სურვილს.

უქმდა, ზოგი დროებით დაკეტეს, ზოგიც სულაც დაარბიეს და განადგურეს. მოსახლეობა მძაფრი მოთხოვნებით გამოდიოდა ბიბლიოთეკების აღსადგენად. ხელისუფლება იძულებული შეიქმნა, სხვა საქმეებთან ერთად, ბიბლიოთეკებისათვისაც მიეხედა. გურიის გლეხთა მღელვარების მიზეზების გამორკვევისას ხელი-სუფლების ოფიციალურმა წარმომადგენელმა კრიმ-გირეიმ ბიბლიოთეკებიც მოინახულა და თანაგძნობით მოეკიდა ხალხის თხოვნას ბიბლიოთეკების გახსნასთან დაკავშირებით. ამის თაობაზე კრიმ-გირეიმ შუამდგომლობით მიმართა მთავარმართებელს. ბოლოს 1905 წლის სექტემბერში მეფის ნაცვლის წინადადებით ქუთაისის გუბერნატორმა განკარგულება გასცა გაეხსნათ გურიის დახურული წიგნსაცავები. ბიბლიოთეკები ხელახლა გახსნილა ოზურგეთში, ბახუში, ჩოხატაურში, ხიდისათვში, შემოქმედში, აკეთში, ძიბითში, სუფსაში და მათ შორის უპირველესად სწორედ ლანჩხუთში.

ლანჩხუთის ბიბლიოთეკა მომდევნო წლებშიც სამაგალითო იყო. მისი საქმიანობა ყოველთვის იყო დაკავშირებული ადგილობრივი მოსახლეობის კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამაღლებასთან. საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში მას არ აკლდა მზრუნველობა. ის ყოველთვის გამოიჩინოდა გარეგნული იერიით, კულტურული ღონისძიებებით, მკითხველთა რაოდენობით, თავდადებული და ერთგული მუშაკებით. ეს უკანასკნელნი დღესაც არ აკლია მას, აქ ახლაც კარგი პროფესიონალები მოღვაწეობენ, რომლებიც ძირითადად ენთუზიანზმით მუშაობენ, მაგრამ კმარა კი ეს საქმის წინ წაწევისათვის? კმარა კი იმისთვის, რომ ფანჯრებჩაღეწილ, უსინათლო, ცივ კედლებში მოიხილო მკითხველები და ნაყოფიერად იმუშაო?

დაფიქრდეთ! ამოდენა ტრადიციების ბიბლიოთეკა, ასეთი სასახელო რაიონის ერთ-ერთი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი, მოსახლეობის საყვარელი ადგილი, რომელიც ერთ დროს აღორძინებულ დაწესებულებას წარმოადგენდა, შეიძლება ისე გვეყავდეს მიგდებული, ფანჯრებიც კი ვერ ჩავუსვათ, ინტერირი ვერ გავუვლამაზოთ, ისე ვერ მოვაწყობთ, ხალხს უხაროდეს აქ მისვლა?

გასაჭირი გასაჭირია, მაგრამ ... დანარჩენი თვითონ ლანჩხუთელმა თქვან.

მარიკა კალანდარიშვილი
ეროვნული ბიბლიოთეკის
ბიბლიოთეკათმცოდნეობის ცენტრის მეთოდისტი

სონის ბიბლიოთეკა ასი წლისაა

გულნარა სტურუა

წელს ასი წელი შეუსრულდა ხონის მთავარ ბიბლიოთეკას. ხონელებმა ეს დღე ზემოთ აღნიშნეს, თუმცა სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობით ისინი საქართველოს სხვა დანარჩენი კუთხეებისაგან განსხვავებულად და უკეთესად როდი ცხოვრობენ. მაგრამ იმერეთის ამ დამაზი კუთხის ხალხს წიგნისა და წიგნიერებისადმი დამოკიდებულება ნამდვილად განსხვავებული აღმოჩნდა. უჭირთ ხონელებს, მაგრამ ბიბლიოთეკის გახსნის ერთი საუკუნე იმდენად მნიშვნელოვნად მიიჩნიეს, რომ არ შეეძლოთ, ეს თარიღი არ აღენიშნათ, არ გაეხსენებინათ და სხვებისთვისაც არ გაეცნოთ წიგნის, ცოდნის, განათლების სიყვარულით განვლილი ისტორიული გზა, არ შეეძლოთ არ გაეხსენებინათ ის ადამიანები, რომლებიც ამ გზას დიდი რუღუნებით კვალავდნენ, ადამიანები, რომლებმაც იცოდნენ წიგნისა და ბიბლიოთეკის მნიშვნელობა ერის განვითარების, ეკონომიკის გაძლიერების, კულტურისა და განათლების აყვავების, სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში. ესენი იყვნენ: ხონელი მთავარეპისკოპოსი ანტონ ჩიჯავაძე (1771-1822), გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე ივანე შარაბიძე, პოლკოვნიკი ევ. ქუთათელაძე და სხვები.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 1896 წელს ხონელებს თანხა შეურებიან ბიბლიოთეკის გასახსნელად, მაგრამ საქმე ჭიანჭურდებოდა, რადგანაც იმდროინდელ მთავრობისაგან ნებართვის აღება არც ისე ადვილი იყო. ამ თანხმობას ხონელებმა მხოლოდ 1899 წლის 14 ივლისს მიაღწიეს, რის შედეგადაც ხონის საზოგადოებამ მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც ბიბლიოთეკის შესანახად ვალდებულებას კისრულობდა კომიტეტი. კომიტეტის თვითმდგომარეოდ არჩეულ იქნა ექიმი და პედაგოგი მათე ბახტაძე. მაგრამ ეს არ იყო ბიბლიოთეკის ოფიციალური გახსნა. ეს უკანასკნელი აქტი 1901 წლის მაისში მოხდა. ბიბლიოთეკის პირველ გამგედ კონსტანტინე წერეთელი დანიშნა.

ბიბლიოთეკა ძირითადად შემოწირულობებით არსებობდა. ამავე დროს დაწესებული იყო 5 კაპიე გადასახადი. მას ემსახურებოდნენ ენთუზიასტები. ამ მხრივ აღსანიშნავია ქალბატონი მარიამ ქუთათელაძე.

ბიბლიოთეკის დასახმარებლად ხშირად იმართებოდა საქველმოქმედო სპექტაკლები, ღონისძიებები.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ხონში იმ ხანებში ბიბლიოთეკის შეფება უკისრია წ.კ.გ. საზოგადოებას.

ქართველ ინტელიგენტთა სასიქადულოდ უნდა ითქვას, რომ ხონის ბიბლიოთეკას მათი მხრიდან დახმარება და მხარში ამოღება არ მოკლებია.

ხონის ბიბლიოთეკის მოღვაწეობის ისტორიულ ფაქტებს შორის აღსანიშნავია 1909 და 1913 წლებში პოეზიის უგვირგვინო შეფუხთან – აკაისთან შეხვედრა და ის საქველმოქმედო ღონისძიებები, რასაც აქაური ინტელიგენცია არ იშურებდა ბიბლიოთეკისათვის. ამ მხრივ საინტერესოა ცნობილი საზოგადო მოღვაწის ივანე შარაბიძის ღვაწლი, რომელმაც ქართველთა შორის წ.კ.გ. საზოგადოების ხონის განყოფილებას საკუთარი სახლ-კარი უანდე-

რძა. 1914 წელს ამ ვეებრთელა სახლში გადატანილ იქნა ბიბლიოთეკაც. ამჟამად აღნიშნულ შენობაში ხონის კინოთეატრია.

ბიბლიოთეკისადმი ყურადღების და ქველმოქმედების გამოჩენის ტრადიცია ახლაც გრძელდება: ბიბლიოთეკის ტერიტორიის გაფართოებისა და კეთილმოწყობისათვის ხონის თეატრი (დირექტორი გურამ ჯანელიძე) რეგულარულად აწყობს სპექტაკლებს და შემოსულ თანხას ბიბლიოთეკას გადასცემს. ადგილობრივი პოეტი თინა ჭელიძე მთელი თავისი მოღვაწეობით მხარში უდგას ბიბლიოთეკის თანამშრომლებს, მათთან ერთად იღვწის, რათა ბიბლიოთეკა და წიგნი ხონელი ახალგაზრდებისთვის ცხოვრების თანამდგომი და გზამკვლევი იყოს. ბიბლიოთეკაში დაწყებულ შემოქმედებით მუშაობას ახალგაზრდები ქალბატონი თინა ჭელიძის ოროთახიან ბინაში აგრძელებენ. ეს

ბინა 1984 წლიდან ახალგაზრდა შემოქმედთა გაერთიანების „სამხეურას“ ოფისად გადაიქცა.

ბიბლიოთეკისადმი სიყვარულს და პატივისცემას გამოხატავენ იუბილუნე სიტყვაში გამომსვლელები: საბავშვო ბიბლიოთეკის გამგე – ცნობილი დამსახურებული ბიბლიოთეკარი თინა ჭელიძე, სოხუმელი პოეტი ნათელა მამარდაშვილი, მკითხველები ელზარდ უგულავა, ავთანდილ ფაილიძე, მხატვარი მამუკა ოვუჯავა, რომელმაც ბიბლიოთეკას საკუთარი ნახატები გადასცა საჩუქრად. იუბილარ ბიბლიოთეკას ასევე საჩუქრები უძღვნეს ხონის გამგე-ბელმა ოთარ ქაშიაძემ და ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენელმა თეიმურაზ საღარაძემ. ჩვეული საინტერესო საუბრით გამოვიდა ცნობილი მწერალი ოტია იოსელიანი. მან თავისი შემოქმედებიდან უახლესი ლექსები წააკითხა მისივე სახელობის პოეზიის სალიონის წევრებს.

თბილი და გულითადი სიტყვით ყველას ყურადღება მიიპყრო სახელოვანი ბაბუსი, ქართული ბიბლიოთეკის ერთ-ერთი მესვეურის და საზოგადო მოღვაწის, წარმოშობით ხონელი კაცის – აკაი ძიძიგურის შვილიშვილმა, საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილემ ბიძინა ბარათაშვილმა და ბიბლიოთეკას მოკრძალებული საჩუქარი – წიგნები გადასცა.

ასევე მოკრძალებით მიესალმა და იუბილე მიულოცა ხონელ ბიბლიოთეკარებს თბილისელმა სტუმარმა, დამსახურებულმა ბიბლიოთეკარმა, ღირსების ორდენის კავალერმა სერგო პულუზაშვილმა და სიმბოლურად ბიბტექნიკის სხვადასხვა ატრიბუტებით იუბილუნა მათ.

ბოლოს დამსწრე საზოგადოების წინაშე სამადლობელი სიტყვით და ბიბლიოთეკის დღევანდელი მუშაობის მოკლე ანგარიშით წარსდგა ბიბლიოთეკის დირექტორი ქალბატონი მინერი ონიანი.

ყურანლის რედაქცია იმედოვნებს, ქალბატონი მინერი მი-აწვდის მას წერილებს იმ ოცდახუთი ბიბლიოთეკის მუშაობის შესახებ, რომლებიც ხონის ცენტრალურ ბიბლიოთეკასთან ერთად დაუდალავად ემსახურებიან მოსახლეობას, მიუხედავად არსებული ურთულესი პირობებისა.



მეთოდურ სამსახურს – ინფორმაციული უზრუნველყოფა

ციალა თხელიძე
ზესტაფონის ცენტრალური რაიონული
ბიბლიოთეკის მეთოდური განყოფილების გამგე

უკანასკნელი ათეული წლის მანძილზე საბიბლიოთეკო საქმის ისტორიაში მნიშვნელოვან მოვლენად მიმაჩნია პირველი ქართული პროფესიული ჟურნალის – „საქართველოს ბიბლიოთეკის“ გამოცემა.

შესანიშნავი პროფესიული – საინფორმაციო ჟურნალია ბიბლიოთეკის მუშაკებისათვის. ჩვენ – ზესტაფონის ცენტრალური რაიონული ბიბლიოთეკის თანამშრომლები დიდი სიზარულით ველოდებით ჟურნალის გამოცემას. სიახლეებს მოწვეურბულნი, ისე დავეწაფეთ, რომ თითქმის ორჯერ გადავივითხეთ ჟურნალში გამოქვეყნებული მასალა.

საბიბლიოთეკო საკითხებზე არსებული სამეცნიერო-მეთოდური ლიტერატურა, რომელიც წლების მანძილზე გამოდიოდა, ცენტრალური ბიბლიოთეკის მეთოდურ განყოფილებაში, მართალია, გვაქვს, მაგრამ მათში მოცემული მუშაობის ფორმები და მეთოდები, უკვე მოძველებულია, აღარ შეეფერება თანამედროვე საბიბლიოთეკო პრაქტიკას და, სამწუხაროდ, ჩვენი მუშაობაც ძველი მეთოდებით მიმდინარეობს. მკითხველებთან მუშაობის ბევრი ფორმა შეიცვალა და გამდიდრდა ახალი შინაარსით. რაც ჩვენთვის – რეგიონის ბიბლიოთეკებისათვის უცნობია და, შეიძლება ითქვას, სრულ ვაკუუმში ვართ პროფესიული ინფორმაციის თვალსაზრისით. მეთოდური განყოფილებები სიახლეთა მიწოდებას საჭიროებს, ხოლო მისი შესწავლა, განზოგადება და რეკომენდაციების შემუშავება – ეს უკვე ჩვენზეა დამოკიდებული.

ჟურნალის საშუალებით ჩვენთვის ბევრი საინტერესო მასალა ვნახეთ, გავეცანით 1990 წლის შემდეგ საბიბლიოთეკო საქმის შესახებ გამოცემულ მნიშვნელოვან ნაშრომების ჩამონათვალს; ბევრია ისეთი წიგნი, რომელიც უცნობია ჩვენთვის; ვიზრუნებთ მომავალში მათი შექმნისათვის.

ბევრი საინტერესო საკითხის გადაწყვეტას გვპირდება „ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაცია“, რომელიც დაკომპლექტებულია საქართველოდან აშშ-ში სასწავლებლად ნამყოფი ახალგაზრდა სპეციალისტებისგან. მათი მიზანია, საქართველოს რეგიონების ბიბლიოთეკების მუშაკებს შეასწავლონ თანამედროვე საინფორმაციო-საბიბლიოთეკო ტექნოლოგიები, საინფორმაციო სამსახურის მუშაობის სტანდარტები, შესძინონ გამოცდილება, რაც ხელს შეუწყობს ჩვენს ბიბლიოთეკებში არსებული ნაკლოვანებების გამოსწორებას.

კარგი იქნება, ასევე საზღვარგარეთული ქვეყნების საბიბლიოთეკო გამოცდილების შესახებ არსებული წერილობითი ინფორმაციების თარგმნა და გამოცემა, რაც დიდ სამსახურს გაგვიწევს სიახლეების დანერგვაში, ხოლო იმ ბიბლიოთეკარებმა, რომლებმაც გაიარეს კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები ამერიკელ და საბიბლიოთეკო დარგში წამყვან სპეციალისტებთან, წაკითხული ლექციების კურსიდან მოგვაწოდონ თემები. რომლებიც ძირითადად საბიბლიოთეკო საკითხებს ეხება.

დასასრულს, ჩვენი ბიბლიოთეკის კოლექტივის სახელით მადლობა მინდა გადავუხადო ჟურნალის რედაქციის თანამშრომლებს, ჟურნალის თანამდგომთა საბჭოს, გამომცემლებს და ყველას, ვინც ფინანსური დახმარება აღმოუჩინა ჟურნალს. იმედი გვაქვს, არ მოგვაკლდება ახალი ინფორმაციები ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე.



ზიჯლიოთქაჟთა
ყოფაღთჟიუჯი სეჟინაჟჟის,
ჰონფეჟენსიჟჟისა და
საჟუჟაო უნსჟეჟჟის

საოჟიჟენსაჟიო თჟჟაჟიჟა 2002 წლისათჟის


- ცენტრალური რაიონული ბიბლიოთეკების აბსოლუტური უმრავლესობა სისტემატურად ატარებს ყოველთჟიურ ორდლიან სეჟინარებს. ზოგიერთ რაიონში ასეთ სეჟინარებს ატარებენ ორ თვეში ერთხელ. ბიბლიოთეკართა შეხვედრები თვეში ერთხელ აუცილებელია; ამ შეხვედრებს შეიძლება მიეცეს კონფერენციების, მრგვალი მაგიდის, სეჟინარების ფორმა. მსჯელობა უნდა ეხებოდეს მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების აქტუალურ პრობლემებს, პრაქტიკის ანალიზს.
- საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ცენტრი გთავაჟობთ ასეთი სეჟინარებისა და შეხვედრების სანიმუშო თემატიკას.
1. ბიბლიოთეკა როგორც ადგილობრივი ხელისუფლების მართვის ობიექტი; ბიბლიოთეკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ურთიერთდამოკიდებულება;
2. ადგილობრივი თვითმმართველობის ინფორმაციული უზრუნველყოფა;
3. მოსახლეობის ცალკეული სოციალური ჯგუფების საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურება;
4. მკითხველთა სამართლებრივი აღზრდა და საბიბლიოთეკო შესაძლებლობები. კოორდინაციული მუშაობა სამართალდაცვის ადგილობრივ ორგანოებთან;
5. ბიბლიოთეკის ურთიერთობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან. არასამთავრობო ორგანიზაციების ინფორმაციული უზრუნველყოფა;
6. ბიბლიოთეკის დაკომპლექტების მდგომარეობა. ფონდის შევსების არატრადიციული საშუალებები;
7. საბიბლიოთეკო კადრებთან მუშაობა. ბიბლიოთეკის მართვის სოციალური და ფსიქოლოგიური ფაქტორები. ბიბლიოთეკართა პროფესიული თვითსრულყოფის საკითხები;
8. რაიონის მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების ანალიზი, მომსახურების გარეშე დარჩენილი დასახლებული პუნქტები, პრობლემები, რეკომენდაციები.
9. ბიბლიოთეკა როგორც ეკოლოგიური განათლების ცენტრი;
10. ბიბლიოთეკის როლი და ადგილი რელიგიური აღზრდა-განათლების საქმეში;
11. გაუქმებული ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდების დაცვისა და გადნაწილების მდგომარეობა;
12. საბავშვო ლიტერატურის ორგანიზაცია ბავშვებთან მომუშავე ბიბლიოთეკებში;
13. ბავშვთა საბიბლიოთეკო მომსახურების მდგომარეობა რეგიონში. ანალიზი, პრობლემები;
14. სასკოლო და საბავშვო ბიბლიოთეკების კოორდინაციული მუშაობის საკითხები;
15. მხარეთმცოდნეობითი მუშაობა ბიბლიოთეკებში;

16. საბიბლიოთეკო ფონდების რეინვენტარიზაციის, გადაფასებისა და რეკლასიფიკაციის მდგომარეობა;
17. ინვალიდთა და ლტოლვილთა საბიბლიოთეკო მომსახურება. ბიბლიოთეკა როგორც ინვალიდთა სოციალური რეაბილიტაციის ხელშემწყობი ცენტრი;
18. კატალოგებისა და კარტოთეკების რედაქტირების მდგომარეობა. ფონდის შინაარსის გახსნა;
19. დავალიანების მქონე მკითხველებთან მუშაობა;
20. ბიბლიოთეკის ესთეტიკური სახე. თვალსაჩინოებანი. ბიბლიოთეკის პოპულარიზაცია მკითხველებში;
21. საოჯახო ბიბლიოთეკები რეგიონში, მათი გამოყენების მდგომარეობა, კოორდინაცია, საოჯახო კითხვა;
22. ბიბლიოთეკის მეთოდური სამსახური, როგორც საბიბლიოთეკო დარგში სიახლეთა დანერგვის საკონსულტაციო ცენტრი;
23. ბიბლიოთეკის დამოკიდებულება ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქციასთან;
24. ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ ნომრების ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა;
25. ბიბლიოთეკართა კომპიუტერული განათლების საკითხი. ბიბლიოთეკის დამოკიდებულება ახალ ტექნოლოგიებთან.

თემატიკის მიხედვით ინფორმაციების მომზადების ძირითად წყაროდ უნდა ავიღოთ ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკაში“ გამოქვეყნებული შესაბამისი მასალები; რეგიონში არსებული საბიბლიოთეკო პრაქტიკა; დამატებითი კონსულტაციებისათვის შევიძლიათ მოგვმართოთ ბიბლიოთეკათმცოდნეობის ცენტრში.

ტელ.: 93-26-82





ბიბლიოთეკას და ბიბლიოთეკარებს უაღრესად დიდი სარგებლობა მოაქვთ საზოგადოებისათვის!

*Gulnara Sturua. Library and Librarians Yield a Great Profit to the Public!
This article represents a review and commentaries on the base of the report on the essential principles of American Libraries made by Nancy Kranick, the President of American Library Association while her staying in Tbilisi.*

გულნარა სტურუა

როდესაც ამერიკის ბიბლიოთეკების ასოციაციის პრეზიდენტმა ქალბატონმა ნენსი კრანიკმა ბიბლიოთეკებს დემოკრატიის საყრდენი და განვითარების საშუალება უწოდა, იქვე განმარტა – დემოკრატიის საფუძველი, დემოკრატიის თავი და თავი ცოდნა და ინფორმირებული საზოგადოებაო. ასეთი თამამი და საინტერესო აზრი ჩამოუყალიბდათ თანამედროვე ამერიკელ ბიბლიოთეკარებს. მათი ალღოიანობა საზოგადოებასთან ურთიერთობაში, მათი მიმართულება მუშაობაში – ბიბლიოთეკა იყოს ავტორიტეტული, და კი არ მისდევდეს ქვეყნის განვითარების პროცესებს, არამედ თავად უნდა იყოს ამ პროცესების წარმმართველი. ფრიად საგულისხმოა მათი აზრით, ბიბლიოთეკები უნდა არსებობდნენ ყველგან და ყველასთვის და უნდა უზრუნველყოფდნენ თავისუფალ გარემოს საზოგადოებრივი დიალოგებისათვის, განავრცობდნენ ინფორმაციებს, რათა სამთავრობო ინფორმაციები მკითხველთა ფართო მასებისათვის ხელმისაწვდომი გახადონ. პუბლიკას საშუალება უნდა მიეცეს, კონტროლი გაუწიოს თავის არჩეულ ოფიციალური პირების მუშაობას, მათ, ვინც ქმნის პოლიტიკას. თუ ცოდნა დემოკრატიის ბაზისია, ბიბლიოთეკა ის ადგილია, სადაც ადამიანებს შეუძლიათ გაიღრმანონ ცოდნა, მიიღონ ყველა სახის ინფორმაცია და ეფექტურად გამოიყენონ ყოველივე ეს პრაქტიკულ საქმიანობაში – აი, ასეთია ამერიკელი ბიბლიოთეკარის აზრი საზოგადოებასა და ბიბლიოთეკებზე. როდის შევძლებთ ჩვენ – ქართველი ბიბლიოთეკარები ასეთი აზრის თამამად გამოთქმას? ალბათ დადგება დრო და შევძლებთ. მაგრამ ყველაფერი, ან თითქმის ყველაფერი თითოეულ ჩვენგანზე, თითოეულ ქართველ ბიბლიოთეკარზეა დამოკიდებული. იმისათვის, რომ ეს ასე მოხდეს, აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, მოვწყდეთ კომუნისტურ წარსულს, სახელმწიფომ თავისი პირობები ჩვენ კი არ უნდა მოგვახვიოს თავზე, არამედ ბიბლიოთეკების

პოლიტიკა და სტრატეგია უნდა მოიცავდეს ქვეყნის და ხალხის პრობლემებს, პირობებს, მიზნებს, სურვილებს. სახელმწიფომ კი არ უნდა გვაიძულოს ამა თუ იმ ბიბლიოთეკის გახსნა თუ დახურვა, ამას თავად ჩვენ უნდა ვაკეთებდეთ ქვეყნისა და ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე. გასული საუკუნის 90-იან წლებში ამერიკის ბიბლიოთეკებს დაფინანსების შეზღუდვა ემუქრებოდა. აი, სწორედ მა-



დემოკრატიის თავი და თავი ცოდნაა და ინფორმირებული საზოგადოება.

შინ ამოძრავდნენ ბიბლიოთეკარები, სწორედ მაშინ დაისახა მიზნად ამერიკის ბიბლიოთეკების ასოციაციის იმდროინდელმა პრეზიდენტმა – ქალბატონმა პატრიცია გლას უშმანმა გამოყენებინა აბას პრეზიდენტობა და ბიბლიოთეკების ავტორიტეტისა და გავლენისათვის დაერაზმა ხალხი. ერთი საინტერესო რამ: ამერიკელები სიტყვის თავისუფლებაზე ძალიან ცოდნაზე, განათლებაზე და ინფორმაციაზე ადამიანის უფლებებს აყენებენ. ისინი ფიქრობენ, რომ დღეს ხალხს ბიბლიოთეკები ისე სჭირდება, როგორც არასდროს, რათა იშოვონ სამუშაო, ისწავლონ კითხვა, ისწავლონ კომპიუტერის გამოყენება, ინტერნეტის მომსახურება, მოიპოვონ მნიშვნელოვანი ინფორმაციები წმინდრთელობის მდგომარეობაზე, ცნობები მიიღონ სასურველ

დიეტაზე, მოიპოვონ სულიერი საზრდო.

ამერიკის ბიბლიოთეკები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ერის ძირითადი სოციალური პრობლემების გადაჭრაში. მაინც, რას აკეთებს ამ მიზნით ბიბლიოთეკა?

შეიძლება ადამიანს აქვს კონსტიტუციური უფლება ცოდნაზე, მაგრამ არ იცის, როგორ გამოიყენოს ის. არავითარი სარგებლობა ასეთ უფლებას არ ექნება. წიგნებს, ჟურნალებს, მონაცემთა ბაზებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმათთვის, რომლებმაც არ იციან კითხვა, ბიბლიოთეკით სარგებლობა. უცოდინრობას ამერიკაში 225 მილიონი ადამიანი ღარბად მიჰყვება წიგნებს, რაც ხმარდება გაპარტახებულ წარმოებებს, დახმარებების გაცემას, უბედურ შემთხვევებს, დანაშაულობების წინააღმდეგ ბრძოლას.

ბიბლიოთეკარების მიერ მოწოდებული ინფორმაციული სერვისი დიდ ძალას წარმოადგენს ისეთი პრობლემების გადაჭრაში, როგორც არის უცილობა, ნარკომანობა, სიღარიბე, დანაშაული, ავადმყოფობა, უმუშევრობა. ბიბლიოთეკარები ეხმარებიან ადამიანებს ცხოვრებისეული სიმძნელების გადალახვაში ზუსტი და საჭირო ინფორმაციების გამოყენებით. აი, მთელი საიდუმლო იმ სიყვითისა, რომელსაც ამერიკული ბიბლიოთეკა სთავაზობს მომხმარებელს.

როგორც ჩანს, ამერიკელი ბიბლიოთეკარები ბიბლიოთეკაში თავმოყრილი ცოდნისა და ინფორმაციის მიწოდების პროფესიონალები არიან, ისინი გაწაფულნი არიან ცოდნის ნაგებობაში, საუკეთესოდ მუშაობენ ინფორმაციის კერის შექმნასა და გაერცელებაზე (დისემინაციაში). ინფორმაცია ის ნედლეულია, რომელიც კარგი ბიბლიოთეკარის ხელში სიკეთედ, დიდ ფასეულობად იქცევა.

ბიბლიოთეკები და მათი ავტორიტეტი დაფუძნებულია სახელმწიფოებრივ და საერო მხარდაჭერაზე. ამერიკული ბიბლიოთეკა საქმის წამყვანები აცხადებენ, რომ ბიბლიოთეკებს არავითარი საქმე არ უნდა ჰქონდეთ ბიზნესთან (როგორც ვხედავთ, კერძო სექტორების გახსნის შესაძლებლობებით ისინი აღფრთოვანებულიები სულაც არ არიან!).

როდესაც ამერიკელი ბიბლიოთეკარი ლაპარაკობს ცოდნის უფლების დაცვაზე, ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანებმა ასევე იცოდნენ ბიბლიოთეკებისა და ბიბლიოთეკარების ფასი, იმათი ფასი, რომლებიც ამ უფლებებზე ზრუნავენ.

ბიბლიოთეკები და ბიბლიოთეკარები ისეთივე აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენენ ადამიანებისათვის, როგორც საავადმყოფოები, პოლიცია, სკოლა. პოლიტიკურმა მოღვაწეებმა უნდა აღიარონ, რომ ინფორმირებული საზოგადოება ეს ის სიკეთეა, რომელიც სასარგებლოა ყველა ჩვენგანისათვის...

ზემოთ თქმულიდან აშკარად ივლინება, რომ ამერიკელმა ბიბლიოთეკარებმა ავტორიტეტი საკუთარი ღვაწლით, საკუთარი შემოქმედებით მოიპოვეს, რომ მოპოვებულს არ ჯერდებიან და კვლავაც დაუცხრომლად იღვწიან საზოგადოებისთვის სარგებლობის მოსატანად.

ქართველ ბიბლიოთეკარებს განსაკუთრებით დიდი შრომა, გარჯა, ბრძოლა მოგიწევს, რათა ვისწავლოთ, ავიძალოთ

ჩვენი პროფესიონალიზმი, მოვიპოვოთ ტექნიურ-მატერიალური ბაზები, შევქმნათ ინფორმაციის სწრაფად მოპოვების და გაცემის მექანიზმები. მოქნილად და დიპლომატიურად ვიმოქმედოთ საზოგადოებაზე (იმ ფენებზეც, რომელთაც მატერიალური მხარდაჭერა შეუძლიათ...) მთავრობის წარმომადგენლებზე, პოლიტიკოსებზე; ყველას გავაგებინოთ საზოგადოებისთვის (ამდენად იმათთვისაც) ჩვენს მუშაობას რა სარგებლობა მოაქვს. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ვიყოთ ერთად და ვიმოქმედოთ მიზანდასახულად.

ნიგნებს, ვეხნალებს, მონაცემთა ბაზებს აჩავითაჩი მნიშვნელობა აჩ აქვს იმათთვის, ხომლებმაც აჩ იციან კითხვა, ბიბლიოთეკით სახებლობა.

აქვე მინდა აღვნიშნო საქართველოში ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაციის მიერ წარმოწყობილი საქმიანობა, რომლის ძალი-

თაც ასობით ბიბლიოთეკარმა მიიღო სათანადო კვალიფიკაცია (ორგანიზატორები: ბესიკ სტვილია, ირინე ჭანტური-შვილი, ვიორგი შათირიშვილი). აღნიშნული ასოციაცია ზრუნავდა და ახლაც აგრძელებს ამ მოღვაწეობას. ეს საბიბლიოთეკო კადრებზე ზრუნვის კეთილი დასაწყისია. მოღვაწეობა დაიწყო ახალშექმნილმა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციამ, რომელსაც დიდი შემართება და კეთილი ნება მართებს იმ ჯერაც გაუკვალავ ეკლიან გზაზე, რომელსაც საქართველოს ბიბლიოთეკების განვითარების გზა ჰქვია.

ამერიკელი ბიბლიოთეკარები აღნიშნავენ, რომ ნამდვილი ინფორმაციული საზოგადოება არა მხოლოდ ხალხისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, არამედ თავად ხალხის განსწავლულობასაც ნიშნავს.

ამერიკელები ჩვენთვის ნაცნობ და საინტერესო აზრსაც გამოთქვამენ: არც ის უნდა ვიფიქროთ, - ამბობენ ისინი, - რომ რადგანაც ჩვენი საქმე სამართლიანია, ამიტომ ჩვენი ბიბლიოთეკების და ბიბლიოთეკარების მნიშვნელობა თავისთავად აღიარებული იქნება. სინამდვილე გაცილებით სხვაგვარია... მიუხედავად იმისა, რომ ვიცით, რა შეუძლია და რა უნდა აკეთონ ბიბლიოთეკებმა, ხშირად ჰუბლიკას კარგად არ აქვს ეს გაცნობიერებული, უფრო მეტიც, არ ესმით თვით ტალანტებსაც კი, რომ არაფერი ვთქვათ მთავრობის ბევრ წარმომადგენელზე... რა ნაცნობია ჩვენთვის აღნიშნული ფრაზის შინაარსი! გულისტკივილით მინდა განვაცხადო, რომ სა-

ბიბლიოთეკების მიხედვით ინფორმაციული სექტორის დიდ ძალას წარმოადგენს ისეთი პირობების გადარჩევაში, ხომლიც აჩის უცილობა, ნახომბლობა, სიღარიბე, დანაშაული, ავადმყოფობა, უმუშევრობა.

ქართველოში ბიბლიოთეკის შეუფასებლობა მხოლოდ ზოგიერთების დამახასიათებელი თვისება როდია... სამწუხაროდ, არც ამერიკელებისთვის ყოფილა უცხო ეს პრობლემა... ამიტომ ისინი მთელი თავიანთი დამუხტული ენერგიით, პათოსით, პროფესიონალიზმით იბრძვიან და აკვიდრებენ ნებისმიერი ეპოქისათვის, ნებისმიერი ფორმაციის პირობებში, ნებისმიერი საზოგადოებისათვის აუცილებელ კეთილშობილურ დაწესებულებას-ბიბლიოთეკას. ამერიკელმა ბიბლიოთეკარებმა პირველად აღიარეს ინფორმაციული ტექნოლოგიები და მათი ხელმისაწვდომობა საზოგადოებისათვის. თუ ეს საქმე ჩვენც არ მოვანწყვრივთ, თუ ბიბლიოთეკებში წიგნსაცავებთან ერთად არ შევარწყვით ავტომატიზირებული საინფორმაციო სამუშაოები, თუ არ გავმართებთ კომპიუტერული ქსელი და არ შევეუბრდით განათლებულ სამყაროს, მხოლოდ წიგნებით ხელში შევრჩებით აწ გასულ მეოცე საუკუნეს და იქაც ჩამორჩენილთა შორის მოვიხსენიებით ...

სასკოლო ბიბლიოთეკარის პროფესიული კვალიფიკაციის მოთხოვნები

ფილიონე ყურაშვილი

სასკოლო ბიბლიოთეკარი სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის უშუალო მონაწილე და დამხმარეა. მას ამ ფუნქციის შესრულება მაშინ შეუძლია, როდესაც ის აქტიურად მონაწილეობს სკოლაში მიმდინარე სასწავლო-აღმზრდელობით პროცესებში, სასკოლო და სკოლის გარეშე მუშაობაში, როდესაც მჭიდრო კავშირურობითობა აქვს მასწავლებლებსა და მშობლებთან.

სამწუხაროდ, ბევრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სასკოლო ბიბლიოთეკარის მუშაობა ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე. ბიბლიოთეკარი უბრალოდ წიგნის მექანიკური გამცემის როლში გვევლინება და არა როგორც კითხვის ორგანიზატორი, მკითხველის დამხმარე, მრჩეველი და მეგობარი.

სასკოლო ბიბლიოთეკარი უნდა იყოს მოსწავლეთა კითხვის ხელმძღვანელი და წარმმართველი, რეკომენდაციას უნდა უწევდეს საუკეთესო წიგნებს, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის გაფართოებას, საკითხების უფრო ღრმად წვდომასა და გაცნობიერებას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასკოლო ბიბლიოთეკარსა და პედაგოგის მჭიდრო კავშირურობითობას, რადგან მათ საქმე აქვთ ბავშვთა ერთი და იმავე კონტინენტთან. ისინი ერთმანეთს ზმირად უნდა ხვდებიან, იხილავენ საკითხს. თუ როგორ დაეხმარონ ბავშვებს ინტერესების წარმართვაში.

მოსწავლეთა კითხვის მართვის საქმეში ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული კატალოგები და კარტიოთეკები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს დამოუკიდებელ კითხვას. ბავშვები საჭიროა კითხულობდნენ არა მხოლოდ იმ თემებზე, რომელსაც მოცემულ მიმართვაში გადიან, არამედ იმ წიგნებსაც, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის საერთო ცოდნის პორიზონტის გაფართოებასა და სკოლაში შექმნილი ცოდნის სრულყოფისათვის.

წარმატებების მოპოვება მოსწავლეთა საბიბლიოთეკო მომსახურების საქმეში დიდად არის დამოკიდებული სასკოლო ბიბლიოთეკარის პროფესიულ დახელოვნებაზე, მის საერთო განათლებაზე და ცოდნის დონეზე. პედაგოგიურ აპოლოსად გამოცდილებაზე.

სასკოლო ბიბლიოთეკარი ღრმად უნდა იყოს დაუფლებული ბავშვთა საბიბლიოთეკო მომსახურების ფორმებსა და მეთოდებს. იგი თავისი საქმის ენთუზიასტია, შესაძლებლობა აქვს მოსწავლეთა მიერ წიგნით სარგებლობისა და კითხვის მაღალ ორგანიზებულად წარმართვისა. შეუძლია მოსწავლეთა ინტერესებისა და მოთხოვნების შესწავლა და ამგვარად მათი სრულყოფილი დამყოფილება.

სასკოლო ბიბლიოთეკარს სასურველია უმაღლესი საბიბლიოთეკო განათლება ჰქონდეს, საფუძვლიანად იყოს დაუფლებული ბიბლიოთეკათმცოდნეობას, პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის საფუძვლებს, ბავშვთა ინტერესებისა და მოთხოვნებისათვის შესწავლისა და დამყოფილების პროცესში ფართოდ იყენებდეს მათ. სასკოლო ბიბლიოთეკარი უნდა იყოს წიგნის აქტიური პროპაგანდისტი, ჰქონდეს საქმისადმი ნოვატორული მიდგომის, ინიციატივისა და შემოქმედებითი ძიების უნარი.

სასკოლო ბიბლიოთეკარს მოეთხოვება იყოს თავისი საქმისადმი კრიტიკულად დამოკიდებული, გააჩნდეს ახალი ამოცანების შესაბამისად მუშაობის გარდაქმნის უნარი.

სასკოლო ბიბლიოთეკარი გარემოცული უნდა იყოს სკოლის დირექტორისა და პედაგოგიური კოლექტივის ყურადღებით, ზმირად იხილავენ პელსაბჭოში მის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს, სახავენ ღრმისძიებებს სასკოლო ბიბლიოთეკის საქმიანობისა და ჯიხვის მართვის პროცესების გაუმჯობესებისათვის.

კითხვის ხელმძღვანელობის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სასკოლო ბიბლიოთეკის მჭიდრო კავშირურობითობას მშობლებთან, რომლებიც დახმარებას უწევენ ბავშვებს და უქმნიან მათ საჭირო პირობებს წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობისათვის.

სასკოლო ბიბლიოთეკარი აუცილებლად იმავე უფლებებით და პასუხისმგებლობით უნდა იყოს აღჭურვილი, როგორც მასწავლე-

რედაქციისგან:

პროფესორი ფილიონე ყურაშვილი ათეული წლობით ემსახურებოდა საბიბლიოთეკო საქმეს. იგი ავტორია რამდენიმე მონოგრაფიისა და მრავალი სტატიის, რომლებიც ყოველთვის გამოირჩეოდა აქტუალობითა და საკითხის დასმით. ჩვენს მიერ შემოთავაზებული სტატია მის გამოუქვეყნებელ შემოქმედებას განეკუთვნება და მისი დაბეჭდვით არა მხოლოდ გამოვხატავთ აწ განსვენებული მოღვაწისადმი პატივისცემას, არამედ გვინდა დავიწყოთ სჯა პროფესიული მოთხოვნების საკითხებთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ სტატია კარგა ხნის წინათ არის დაწერილი, იგი მაინც ეხმარება დღევანდელობას. იბეჭდება მცირე შემოკლებით.

ბელი; განათლების ორგანოები და სკოლის ადმინისტრაცია ვაღიარებთ არიან დღენიდავ ზრუნავდნენ სასკოლო ბიბლიოთეკართა სოციალური დაცვისათვის, ატარებდნენ სტიმულირების ღონისძიებებს.

დღემდე არ არის სრულყოფილად ორგანიზებული სასკოლო ბიბლიოთეკარის მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მწიფობის სისტემა. აუცილებელია, უმაღლესი განათლების სასკოლო ბიბლიოთეკარის მოსამზადებლად სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში შემოღებულ იქნეს სასკოლო ბიბლიოთეკართა სპეციალიზაცია. იქვე გაიხსნას სექცია სასკოლო ბიბლიოთეკართა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის და მიექცეს ამა სისტემატური ხასიათი, რომ რესპუბლიკის სკოლების ბიბლიოთეკარს ყოველ 5 წელიწადში ერთხელ აუმაღლდეს კვალიფიკაცია სპეციალური გეგმითა და სასწავლო პროგრამებით, რაც ხელს შეუწყობს კითხვის ხელმძღვანელობის ხარისხისა და ეფექტიანობის ზრდას.

სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობისა და კითხვის ხელმძღვანელობის საქმის შემდგომი გაუმჯობესებისათვის აუცილებელია შესაფერის დონეზე იქნეს დაყენებული სასკოლო ბიბლიოთეკარებისადმი მეთოდური დახმარების საქმე, რაც, სამწუხაროდ, დღემდე ძალზე ჩამორჩება. საჭიროა ამ საქმეს სათანადო ყურადღება დაუთმოს განათლების სამინისტრომ და ი.გ.ოგებაშვილის სახელობის რესპუბლიკურმა სამეცნიერო პედაგოგიურმა ბიბლიოთეკამ. მათ უნდა გააძლიერონ მეთოდური დახმარება და ხელმძღვანელობა სასკოლო ბიბლიოთეკების მიმართ, ჩაატარონ სასკოლო ბიბლიოთეკართა მეთოდური თათბირები, ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები, განაზოგადონ მოწინავე სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობის გამოცდილება და ხელი შეუწყონ მის დანერგვას სასკოლო ბიბლიოთეკების პრაქტიკულ მუშაობაში.

ყოველივე თქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ფორმულირებულ იქნეს შემდეგი წინადადებები და რეკომენდაციები, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს სასკოლო ბიბლიოთეკების საქმიანობასა და კითხვის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას:

* სასკოლო ბიბლიოთეკარი აქტიურად უნდა მონაწილეობდეს სკოლაში მიმდინარე სასწავლო-აღმზრდელობით პროცესსა და სკოლისგარეშე საქმიანობაში;

* სასკოლო ბიბლიოთეკარს კავშირურობითობა უნდა ჰქონდეს მასწავლებლებთან, პედაგოგიურ საბჭოსთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან;

* უნდა გაძლიერდეს სასკოლო ბიბლიოთეკარის, როგორც კითხვის ხელმძღვანელის, წიგნის პროპაგანდისტის როლი, ამაღლდეს მისი პროფესიული დონე და კვალიფიკაცია.

* სასკოლო ბიბლიოთეკარი უნდა იყოს უმაღლესი საბიბლიოთეკო განათლებით, არასპეციალური განათლების მქონე ბიბლიოთეკარები ჩამბულნი იქნან კვალიფიკაციის გადასამზადებელ ღონისძიებებში.

* ძალიან რთულ, მაგრამ აუცილებლად შესასრულებელ საქმეს წარმოადგენს, შექმნილ იქნეს სასკოლო ბიბლიოთეკის პროფესიონალური ორგანო, რომელიც განსაზღვრავს ბიბლიოთეკარის საკვალიფიკაციო მოთხოვნებებს.

მსოფლიო მკითხავეთის თანადგომა

ჩვენი პატარა ქალაქი, ხაშური, ოდიოვანვე გამოირჩეოდა წინეირებით. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ პერიოდში რამდენიმე ბიბლიოთეკა დაიხურა, ოთხი მათგანი კვლავაც აგრძელებს საქმიანობას. ხაშურის მე-2 საბავშვო ბიბლიოთეკა (გამგე თამარ გოგოლაძე) სულ ორი წელია, რაც ახალგაზრდობის ბიბლიოთეკად გადაკეთდა. როგორც „საქართველოს ბიბლიოთეკის“ №2 –ში თორნიკე გურული აღნიშნავდა, „დღესდღეობით დედამიწაზე ბიბლიოთეკარის პროფესია ყველაზე მშვიდი პროფესიაა“-ო. აღნიშნული ბიბლიოთეკის მესვეურებმა გამოირჩეულად მშვიდად გარემო დაამკვიდრეს სამსახურში. სწორედ მათი თანამშრომლების მაღალკულტურული მომსახურება და მეთხველი-სადმი გულთბილი დამოკიდებულება გახდა საწინდარი აქტიურ მეთხველთა ბირთვის ჩამოყალიბებისა. საქმისა და წიგნ-სადმი სიყვარულმა გაგვიჩინა ინტერესი, რაც შეიძლება ხშირად გვეჩანა ერთმანეთი და გვესაუბრა ათასგვარ საკითხზე, ადამიანობაზე, ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, მეცნიერებასა და რელიგიაზე. გაჩნდა სურვილი, მოგვევლო სამშობლოს ეკლესია-მონასტრები, ციხე-სიმაგრეები, შევხვედროდით ჭეშმარიტ მამულიშვილებს – პოეტებს, მწერლებს, ქვეყნის გამოჩენილ ადამიანებს; გადაგვეჩინა ქართული სული, გადაგვეჩინა ეროვნული მეობა, ეროვნული ტრადიციები, ყოველივე საუკეთესო და ადამიანური დაგვეცვა დროის მღვრიე ტალღებისაგან და სათუთად მოგვევლო, მოვისყვარებოდით.

ასე შეიქმნა ახალგაზრდობის ბიბლიოთეკაში შემოქმედებითი სალონი „ათინათი“. რაიონის მოსახლეობამ სატელეფონო გაცემით შეიტყო ამ სალონის შექმნა და „ათინათის“ წევრთა რაოდენობამაც ზრდა დაიწყო. ჩვენი პირველი ღონისძიება მეგობარ პოეტ ქალთან – მზია მალალაძესთან შეხვედრით დაიწყო. შემდეგ გადავწყვიტეთ, საქართველოს ისტორიულ წარსულში გადაგვეხედა. ვეწვიეთ იაკობიშვილძემელ, იდუმალებითა და სიამაყით სასაუბრო უფლისციხეს. ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. თითქოს ყველას მოესმა ხმაური შორეული წინაპრებისა, ნაზი შრიალი ქართულ ბანოვანთა დიბა-ატლასისა, მათარხების ტყლაშუნისა, და დაინახეთ ცხენთა ფლოქეებიდან ავარდნილი მტკრის კორიანტილი. შემდეგ ყინწვისი ... თამარ მეფისა და გიორგი მესამის ფრესკებმა კიდევ უფრო აგვამაღლა და სული გაგვინათა. გადავწყვიტეთ ჩვენთვის მეტად საინტერესო და საყვარელ მწერალს – ბატონ ოტია იოსელიანს ვწვეოდით, დავმტკბარყავით ამ დახვეწილი, რაინდული სულის ადამიანთან სიახლოვითა და ბაასით. ჩვენი რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ბატონი ვალერი გელაშვილი ყოველივეს გვერდში გვიდგას კულტურული ღონისძიებების მოწყობი-

ლას. აღნიშნული მგზავრობაც მან უზრუნველყო, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვასწავებთ.

2 001 წლის 7 ოქტომბერს ბიბლიოთეკის აქტივი სალონ „ათინათის“ წევრებთან და რაიონის ინტელიგენციასთან ერთად ბატონ ოტიას ვეწვიეთ წყალტუბოში. ჩვენი მისვლით დიდად გაიხარა და აღნიშნა: „საქართველო გადაჩენილია, თუ ასეთი ხალხი კიდევ გვყავსო“. მწერალმა გულთბილად მიგვიღო, იმერული სტუმართმოყვარეობით შე-



გვიძღვა თავისი ხელით აგებული ხის სახლში, რომელმაც ჩვენი გაცემა და აღფრთოვანება გამოიწვია. ზღურბლზე გადაბჯებიანავე სრულიად სხვა სამყაროში აღმოვჩნდით. ეს იყო სულიერი სავანე, ვეებერთელა გალერეა, გამოფენილი ავტორის ფვლა წიგნით, მასი პიესების მიხედვით დადგმული თეატრალური სცენათა აფიშებით; უხარმანსარი კედლები და-

ფარული იყო მწერლისადმი მიძღვნილი ქართველ მხატვართა ნამუშევრებით. ცალკე კუთხე ეკავა წინაპართა სურათებს, რომლებიც უსაყვარლესი ბებიის პორტრეტით იწყებოდა. მშობლიურ მიწაზე შეყვარებული ხელოვანი დაულაღვად ეწევა სოფლის მეურნეობას, აქვს ოცდაათი ფუტკრის სკა, უვლის შვიდ ძროხას, მოჰყავს სიმინდი, პური, ღამით კი წერს ჩვენთვის. მუდმივ ძიებაშია და მწერლობის თითოეულ ფანრში თავის ახალ სიტყვას ამბობს. ჯერ კიდევ დაუსტამბავმა ლექსებმა განსაკუთრებული სიხარული მოგვგვარა.

ბატონმა ოტიამ წიგნებით დაგვასაჩუქრა. მისი „55 არაჟი“- ეს შესავალი სიტყვა კიდევ ერთხელ ჩაგვახედებს საყუთარ თავში.

ჩვენი შეხვედრა ანსამბლ „მართვეს“ მომღერლებმა – ნიკა ანდრონიკაშვილმა, დათო ჩაღუნელმა და მამუკა ბიწაძემ ხალხური სიმღერებით გაალამაზეს. არ გვეთმობოდა სასიამოვნო გარემო, და გვიან ღამით დავბრუნდით უკან.

ვიმედოვნებთ, რომ შემოქმედებითი სალონი „ათინათი“ ახალგაზრდობის ბიბლიოთეკასთან ერთად კვლავ განაგრძობს საინტერესო ღონისძიებებს და აქტიურად მოემსახურება ადამიანებს.

მზია მალალაძე
- ისტორიკოსი, პოეტი, მხატვარი

თამარ გოგოლაძე
- ახალგაზრდობის ბიბლიოთეკის გამგე

ლალი ბარბაქაძე
- ფილოლოგი, სალონ „ათინათის“ ხელმძღვანელი

შესვენება პოეტთან

მერი ლომია

თბილისის ცენტრ. სისტემის №3
ბიბლიოთეკა-ფილიალის გამგე



ა.წ. 11 ოქტომბერს თბილისის ცენტრალურული სისტემის №3 ბიბლიოთეკა-ფილიალში ჩატარდა პოეტ ზუმრედ გოდერძიშვილთან შეხვედრა და მისი წიგნების „მარტოობის დღესასწაული“ და „ვარ წვიმის ერთი წვეთის“ პრეზენტაცია.

„მთელი სიცოცხლე ვაგროვებ სიტბოს,
მთელი სიცოცხლე სიყვითლე ვიღვწი...“

პოეტი ქალის ეს სტრიქონები ამშვენებდა თაროს. ღონისძიება გახსნა და პოეტის ბიოგრაფია დამსწრეთ გააცნო ბიბლიოთეკის გამგემ – მერი ლომიამ.

ქალბატონმა ზუმრედმა მეტად საინტერესო ცხოვრების გზა გამოიარა. დაიბადა 1937 წელს საგარეჯოში. სკოლა აქვე დაამთავრა და 1957 წელს სწავლა განაგრძო პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის სპეციალობის დასაუფლებლად. უმაღლესი სასწავლებელი 1962 წელს დაამთავრა და როგორც მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტი, სხვადასხვა დროს თბილისის საბიბლიოთეკო ქსელის სხვადასხვა ფილიალებში მუშაობდა. ამჟამად ის მირზა გელოვანის სახელობის ახალგაზრდობის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში მოღვაწეობს მეთოდური განყოფილების გამგედ, 1976 წელს მიენიჭა რესპუბლიკის საპატიო ბიბლიოთეკარის წოდება, აქვს მიღებული საპატიო სიგელები შრომითი წარჩინებისათვის ახალგაზრდობის სულიერი აღზრდის საქმეში გაწეული შრომისათვის. ზუმრედ გოდერძიშვილი ნამდვილი პროფესიონალია, თავისი საქმის დიდოსტატი. არანაკლები ოსტატია ის პოეზიაშიც. გამოცემული აქვს ხუთი მშვენიერი პოეტური კრებული – „შორეული ბილიყები“ (1982 წ.), „ქარვის მთვარე“ (1989 წ.), „მტირალი ფოთლები“ (1971 წ.), „მარტოობის დღესასწაული“ (1997 წ.), „ვარ წვიმის ერთი

წვეთი“ (1998 წ.).

ზუმრედ გოდერძიშვილის შემოქმედებაზე ისაუბრა მეთხველმა ციციანო იაკობაშვილმა. „პოეტი და მამული“ – განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო ამ თემას წამყვანმა ბიბლიოთეკარმა ლუბა ზუკაკიშვილმა. საერთოდ, მამული უპირველესი ცნებაა პოეტი ქალისათვის. თითქმის მთელი თავისი სული და გულია ჩაქსოვილი ამ სიტყვებში:

„ისევ რისხვით გადაფითრდა
ნა ღრუბელმენამული,
ახლა მხოლოდ ერთი სიტყვა
უნდა ითქვას – მამული!
ვით მარხოვრის სისხლის წვეთი,
ჯვარზე ამოწვარული,

ღალღებუნეს, გვამაღლუნდეს,
ერთი სიტყვა – მამული! – მოგვიწოდებს გულანთებული პოეტი და ეს განწყობილება ავსებს მთლიანად მის პოეზიას.

პოეტს საკუთარი ლექსით „მეგობართან შეხვედრა“ მიესალმა მეთხველი ლამარა რჩეულიშვილი –

„როგორც ზურის ფიფქები,
მოფრიალე ჰაქლენი,
გულის სიმი ათრთოლოდა,
ფიქრს სინაზით ევლები!...“

– მაღალმგრძნობიერად ისმოდა მისი სიტყვები.

პოეტ ქალს მიესალმნენ აგრეთვე ახალგაზრდა მეთხველები: ნანა გოგუაძე, მოსწავლე მარი წერეთელი, რომელიც თვითონ გახლავთ წიგნის ავტორი, კოტე ჩიკორია, ნატო გიორგაძე, სტუდენტი ეკა შენგელია, რომლებმაც მაღალი განცდით წაიფითხეს პოეტის ლექსები. ასევე პოეტის ლექსების კითხვით გამოვიდნენ ნორჩი მეთხველები: მარია და თამარ ნინიძეები, ევგენია ალგეიანი, თეონა სალარიძე, სალომე ნაცვლიშვილი, ანა შორინა, ირაკლი სანაია.

სიტყვებით და მოგონებებით გამოვიდნენ: №2 ბიბლიოთეკის გამგე – ცილა გოგინაშვილი, მეთოდისტები ნელი ჯარიაშვილი, ლუბა ქუმელაშვილი, ქალაქის ბიბლიოთეკების პროფკავშირების თავმჯდომარე თინა ჩაგანავა, უფროსი მეთოდისტი ნანული გოგატიშვილი და მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე ქეთევან ნიკურაძე, მეთხველი ნინელი გელენიძე.

დასასრულს გულთბილი სიტყვებით გამოვიდა პოეტი ზუმრედ გოდერძიშვილი. მან წაიფითხა თავისი გამოუქვეყნებელი ლექსები. გაისხენა წარსული, როცა იგი ისნის რაიონის ბიბლიოთეკაში მუშაობდა – დღესაც გრძნობს ბიბლიოთეკის კოლექტივისადმი დიდ სიყვარულს და პატივისცემას. პოეტმა ახალგაზრდა და ნორჩი მეთხველები დაასაჩუქრა თავისი წიგნებით; თავისივე ავტოგრაფით.

ამით დასრულდა ეს მშვენიერი ღონისძიება, როგორსაც ვინატრებდით – მრავალი ყოფილიყოს!

ქვირფასი შამონირულაზანი

ნიწალი მელქაძე

ინტელექტუალური ელიტის უმრავლესობისათვის ნაციონალური ბიბლიოთეკა ყოველთვის იყო და არის ინტელექტუალური დაწესებულება, რომელიც წარსულის მიღწევებს მომავლის შესაძლებლობებს უკავშირებს. შემთხვევითი არაა, რომ დემოკრატიულ ქვეყნებში ეროვნულ ბიბლიოთეკებს სათავეში მეცნიერი-ბიბლიოფილები უდგანან. შეერთებული შტატების კონგრესის ბიბლიოთეკის ხელმძღვანლობა ჩააბარეს „ერის განსაკუთრებით საპატიო ინტელექტუალს – ჯიმს ბლინგტონს – ღირსეულ, ტალანტურ და ენერგიულ მეცნიერ – ისტორიკოსს“. (რ.რეიგანი).

ნაციონალური ბიბლიოთეკების კოლექციების ფორმირების ხასიათის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, რამდენად წარმატებულად ასრულებენ ისინი ქვეყნის შემოქმედებითი პოტენციალის შემცველისა და ამაუღროულად მეცნიერებისა და იდეების ცენტრის ფუნქციებს.

ეკონომიურ და პოლიტიკურ არასტაბილობის პირობებში ნაციონალური ბიბლიოთეკების კოლექციების შევსების ერთ-ერთ წყაროს კერძო პირთა შემოწირულებანი, აგრეთვე ცალკეული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სხვადასხვა ფონდების შემოთავაზებული სახსრები წარმოადგენს. შემოწირულებათა გარეშე ბიბლიოთეკები ცოდნის მუხუშუმებს დაემგავსებოდნენ, ხოლო წიგნადი პროდუქტია დროსა და სივრცეში ისე გაიფლებდა, როგორც კომეტა. შემოწირველთა გამორჩეულ კასტას ავტორები წარმოადგენენ, რომლებიც ბიბლიოთეკას აღიქვამენ როგორც განვითარებადი ცივილიზაციის კატალიზატორებს. მათ შემოქმედებითი ბიბლიოთეკებში თავიანთი ინტელექტუალური შრომის ნაყოფი, ხელს უწყობენ ცოდნის საყოველთაო მისაწვდომობას.

ავტორ-შემოწირველთა შორის დონალდ რეიფილდი – ლონდონის უნივერსიტეტის რუსული და ქართული ენების პროფესორი – ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნებაა. იგი უაღრესად ფართო ერუდიციის ადამიანია, რომლისთვისაც კავკასია, საქართველო განსაკუთრებული ინტერესის საგანია. იგი მრავალი სტატიის ავტორია რუსული, ქართული ენებისა, შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობისა და ფოლკლორის შესახებ. ავტორია მონოგრაფიისა ნიკოლოზ პრევეალსკის ცხოვრებასა და შემოქმედებასზე (1976), ანტონ ჩეხოვზე (1997). 1999-2000 წლებში განმავლობაში მან გამოსცა და საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკას გადასცა 3 წიგნი.

1. Дневник Алексея Сергеевича Суворина. / Текстологическая расшифровка Н.А.Роскиной; Подготовка текста Д.Рейфлида и О.У.Макаровой. – М.: Независимая газета; London: Gamett Press, 1999. – 667 с. ISBN 0-9535878-0-0; ISBN 5-86712-067-8.

ას, სუვორინი გამოირჩეოდა როგორც განსაკუთრებულად გონებაშავილი ეურნალისტი, იყო გამოქმედელი ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი რუსული გაზეთის „Новое время“-სი, რომელიც პროფესიონალიზმისა და ხარისხის დონით საგრძობლად აღემატებოდა პეტერბურგის სხვა გაზეთებს და ავტორიტეტულობისა და გავლენიანობისათვის აშკარად ისწრაფოდა, რომ რო-

გორმე მიახლოებოდა ლონდონის გაზეთ „ტიმსს“. სუვორინი იყო მწერალი, რომლის შემოქმედებითი მეგვიდრობა ახლაც ელოდება მეცნიერულ კვლევას; იყო რედაქტორი, რომელსაც „არა ჰყავდა ტოლი“, დამარსებელი „ლიტერატურულ-არტისტული წრისა“ (1895), თეატრის მფლობელი და დირექტორი, რომელიც „მოელი თავისი ცხოვრება დასდევდა ლურჯ ფრინველს“, ახლო მეგობარი მწერალი ქალის ს.ი.სმირონოვასი (ვისი გულისთვისაც 1875 წელს ჩამოვიდა კავკასიაში).

ისტორიითა და თეატრის ისტორიით გატაცებულთათვის, აგრეთვე XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის რუსეთისა და კავკასიის ზნე-ჩვეულებებით დანიტერესებული პირთათვის სუვორინის დღიურები – ეს ფასდაუდებელი კრებულია ძვირფასი ცნობებისა, რომლებსაც მწარე აღსარება ენაცვლება, და რომლის უკანაც დგას ავტორი – „პეტერბურგის მეფე ლირის“ ტრაგიკული ფიგურა.

2. The Gavnett Book of Russian Verse: a Treasury of Russian Poets from 1730-to 1996 [texts chosen, translated, edited and intvooled by Donald Royfield, with Jeremy Hicks, Olga Makarova and Anna Pilkington]- London: Gavnett Press, 2000.- 750 pp.- ISBN 0-9535878-2-7.


ანთოლოგია წარმოადგენს სხვადასხვა ეპოქის 75 რუსი პოეტის ნაწარმოებების პროზაულ თარგმანს ინგლისურ ენაზე, რომელიც შესრულებულია დონალდ რეიფილდის მიერ. მის მიერვე გამოცემული ეს წიგნი განსაკუთრებულია სლავისტ-სტუდენტებისათვის, მაგრამ მისი მკითხველური დანიშნულება გაცილებით ფართოა. იგი შეიძლება გახდეს რუსული პოეზიის მოყვარულთა და ინგლისური ენის სრულყოფილად დაუფლებით დანიტერესებულ პირთა სამაგიდო წიგნად. როგორც ცნობილია, ცოცხალ მტყვევლებში ეპოქების მდინარების პერიოდში სიტყვა ხშირად ახალ მნიშვნელობას იძენს და ახალი აზრობრივი მნიშვნელობით გვევლინება. ამიტაც საინტერესოა რეიფილდის მიერ შედგენილი ეს წიგნი, რითაც ის დიდ ღირებულებასაც იძენს.

3. Rayfield, Donald. The Literature of Georgia: A History / 2-nd ed. – Curson Presc, 2000. – 320 pp. – ISBN 0-7007-1163-5.

ყოვლისმომცველი ქართული ლიტერატურის ისტორიის გამოცემა, რომელიც შესრულებულია დასავლელი მეცნიერის – ლიტერატურათმცოდნის მიერ, საშუალებას აძლევს ქართველ მეცნიერ-ლიტერატურათმცოდნეებს, ქართული ლიტერატურის ყველა მოყვარულს, გარეშე თვალთ შეხედოს და გაიგოს, თუ როგორ აღიქვამს უცხოური კულტურის მქონე – შედარებითი ლიტერატურის სპეციალისტი ჩვენს ლიტერატურულ მეგვიდრობას.

აქ დასახელებული წიგნები მოთავსებულია საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის კოლექციაში და ისინი დანიტერესებულ მკითხველებს მოელოან.

ამჟამად პროფესორი დონალდ რეიფილდი ქართველ ფილოლოგებთან ერთად გივანტურ პროექტზე მუშაობს – ქართული-ინგლისური დიდი ლექსიკონის შექმნაზე. ამავე დროს აგროვებს მასალებს წიგნის გამოსაცემად ლავრენტი ბერიაზე.



პროფესიონალი და მოძალაძე უპირველეს ყოვლისა!

ინგა ფილასური

იგი ჩემი პედაგოგი იყო უმაღლეს სასწავლებელში, შემდეგ კი კოლეგები გავხდით. ალა ოთაროვა სპეციალისტთა წრეში საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა. ათასობით სტუდენტს გაუვლია მის ხელში და ყველა დამემოწმება – ჰო, იყო მომთხოვნი, შეუწყნარებელი, უშეღავათო, მაგრამ არასოდეს არ ყოფილა უსამართლო, მიყვრობული, ანგარიშგაუწყვეელი. მისი ლექცია-სემინარები სერიოზული მუშაობის ნიმუშია. მან არ იცის, რაა დაღლა საქმიანობის დროს, არ მოუშვება, არ მოდუნდება, როგორც არ უნდა უჭირდეს ფიზიკურად, მის საქმიანობაზე ეს გავლენას არ ახდენს. არის ნამდვილი პროფესიონალი და ზრდის ნამდვილ პროფესიონალებს. ვერ იტანს გაძრომ-გამოდრობას, ტყუილებს, იოლად გასვლის მცდელობას. ეს რომ იციან, სტუდენტები ყოველთვის ბეჯითად ემზადებიან მასთან გამოცდებზე თუ სემინარებზე დასასწრებლად.

ალა ოთაროვამ თავისი პროფესიული დაოსტატების დიდი გზა განვლო. ვიდრე პედაგოგიურ მოღვაწეობას შეუდგებოდა, პრაქტიკულად მუშაობდა საბიბლიოთეკო დარგში, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ ნამდვილი პროფესიონალი ბიბლიოთეკათმცოდნე გახდეს, სწორედ ამ დროს დაასრულა მან მოსკოვის კულტურის ინსტიტუტის ასპირანტურა, 1956 წელს მოსკოვში საქართველოდან პირველად მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ბიბლიოგრაფიის დარგში. დიდი გამოცდილება შესძინა მას 1953-1954 წლებში მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიულ განყოფილებაში მუშაობამ. 1956-1957 წლებში მან მუშაობა გააგრძელა საქართველოს რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში. 1957-1961 წლებში ალა ოთაროვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული განყოფილების გამგეა.

1961 წელს მას სამუშაოდ იწვევს ჰუშინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის კათედრის გამგე, საყოველთაოდ ცნობილი სპეციალისტი დოც. ნიკო ლორთქიფანიძე და აქედან მოყოლებული, ის დოცენტის რანგში დღემდე ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

როგორც ცნობილია, ბიბლიოგრაფიის დარგში სტუდენტებისათვის ქართულ ენაზე სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები არ არსებობდა. ჭირდა მუშაობა და, აი, ალა ოთაროვამ, სავსებით სწორად შეაფასა რა სიტუაცია, სამეცნიერო შრომის ძირითადი აქცენტი სალექციო კურსებზე გადაიტანა. ზედინედ აქვეყნებს ხელნაწერის უფლებით რამდენიმე შრომას, რომლითაც სტუდენტები აქტიურად სარგებლობენ, ხოლო შემდეგ ოფიციალურად გამოცემის მათ. ამ მიმართულებით განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მისი ერთობლივი მუშაობა ცნობილ სპეციალისტთან – ქეთევან ფოფხაძესთან. მათი თანაავტორობით სტუდენტებმა

შესანიშნავი სახელმძღვანელო მიიღეს.

ალა ოთაროვა მრავალი სტატიისა და წიგნის ავტორია. მისი ნაშრომები გამოიცა როგორც ქართულ, ისე რუსულ ენაზე, ამთავან განსაკუთრებით საყურადღებოა მისი ნაშრომი ლ.ნ. ტოლსტოის შესახებ არსებული სტატიების ირგვლივ „ნოვი მირში“ (1954), „სოვეტსკაია



ბიბლიოგრაფიაში” გამოქვეყნებული ლ.ნ. ტოლსტოის შესახებ არსებული ლიტერატურის მაჩვენებელი (1954) და სტატია „საჭიროა არაფორმალური მიდგომა“ (1988) და სხვ. დიდი შრომა გასწია ალა ოთაროვამ, როგორც თანაავტორმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოცემათა ბიბლიოგრაფიის შედგენაში (1968) და შემდგომი ტომების ბიბლიოგრაფიულად რედაქტირების დროს. იგი მუდამ საინტერესო მასალით გამოდიოდა პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო სესიებზე, რომელთა თეზისები მრავლადაა გამოქვეყნებული, აქვეყნებდა კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებს პრესაში, მაგრამ მისი ბიბლიოგრაფიული მოღვაწეობის უმთავრესი გამოვლენა მაინც „შექსპირიანასთანა“ დაკავშირებული. ეს არის პირველი წარმატებული ცდა, შეიქმნას „ქართული შექსპირიანას“ სრული ბიბლიოგრაფია. ალა ოთაროვას მიერ შედგენილი შექსპირის ქართული გამოცემებისა და თეატრალური რეპერტუარის, აგრეთვე შექსპირზე არსებული მასალის ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები „შექსპირიანას“ კრებულში თუ ცალკეული გამოცემებით, უაღრესად მაღალპროფესიული ნიშნითაა აღბეჭდილი.

შექსპირის პერსონალური ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლის შედგენა ჩვენში პირველად დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში; ამ საქმეს სათავეში ჩაუდგნენ ვ.გენძიძე და ა.ოთაროვა. შემდეგ მათ ლ.გუგუნავაც შეუერთდა. ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლის პირველი ნაწილი დაიბეჭდა 1964 წელს კრებულში „ქართული შექსპირიანა“ (ტ.2) ნიკო ვიასაშვილის რედაქციით. მასალა მოიცავს 1841-1964 წლებს. შემდგომი ამ საქმეზე მუშაობა ალა ოთაროვამ გააგრძელა. მომდევნო კრებულში დაიბეჭდა ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლის მე-2 ნაწილი (1964-1968 წწ), ხოლო მე-4 კრებულში მე-3 ნაწილი. ეს კრებული გამოქვეყნდა 1975 წელს და მასში მოთავსებული ბიბლიოგრაფია ორიენტირებული იყო თბილისში 1972

წელს ჩატარებულ შექსპირის პირველ საკავშირო სიმპოზიუმზე; მაჩვენებელში აღრიცხულია საქართველოში რუსულ ენაზე გამოქვეყნებული წიგნები და სტატიები (1921-1973 წწ), აგრეთვე საქართველოს გარეთ დაბეჭდილი მასალა ქართულ შექსპირიანაზე – ძირითადად შრომები ქართულ სცენაზე დადგმული სპექტაკლების შესახებ.


1978 წელს გამოქვეყნდა „ქართული შექსპირიანას“ მე-5 ტომი, რომელშიც მოთავსებულია ალა ოთაროვას მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფიის IV ნაწილი (საქართველოში დაბეჭდილი რევოლუციამდელი რუსული გამოცემები და დამატებანი პირველი სამი ნაწილისათვის). შემდეგ ნაწილებს ა.ოთაროვა უკვე დამოუკიდებელი სახით გამოსცემს მე-5 და მე-6 წიგნების სახით და ამჟამად უკვე მომავალ გამოცემაზე მუშაობს.

ამ გამოცემებს კარგი გამოხმაურება მოჰყვა როგორც ჩვენში, ისე უცხოეთშიც. აშშ კონგრესის ბიბლიოთეკის აღმოსავლეთმცოდნეობის განყოფილების გამგე ლევონ ადლიანი ავტორს წერდა: „გულითად მადლობას მოგახსენებთ იმისათვის, რომ ზრუნავთ ჩვენზე და მინდა დაგარწმუნოთ, რომ დღესვე გადავიღებთ თქვენი წიგნის ასლს ჩვენი კატალოგისათვის ... თქვენი მხრიდან ეს ზრუნვა ხელს შეუწყობს ქართული კოლექციის ზრდას, როგორც რაოდენობით, ისე ხარისხის მხრივ“.

ბრიტანეთის შექსპირის ცენტრის დირექტორი როჯერ პრინგლი საქართველოს ბრიტანეთის საელჩოში ქ.ნ. მანუკივიძემიძეს ატყობინებს: „ქ-ნი ანი ჯენალიმ ამ კვირაში წარმოგვიდგინა ქ-ნ ალა ოთაროვას მიერ გამოცემული შექსპირის ბიბლიოგრაფია. ეს გამოცემა სათანადო ადგილს დაიჭერს ჩვენი ბიბლიოთეკის შექსპირის უცხო ენებზე გამოცემულ წიგნთა კოლექციაში. ჩვენი ბიბლიოთეკით ხშირად სარგებლობენ მეცნიერები მსოფლიოს ყველა კუთხიდან, მათ შორის საქართველოსა და რუსეთის ფედერაციიდან. დარწმუნებული ვარ, ქ-ნ ოთაროვას წიგნი ბევრს დააინტერესებს. დიდ მადლობას მოგახსენებთ, შესაძლებლობა რომ მოგვეცით გავცნობოდი ამ წიგნს“.

ალა ოთაროვა, მიუხედავად იმისა, რომ დღეს უკვე პენსიონერია, ერთი წამით არ წყვეტს საქმიანობას ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრაზე და განაგრძობს სამეცნიერო-მეთოდურ მოღვაწეობას. მისი ღვაწლი შესაფერისად იქნა დაფასებული – იგი წელს ღირსების ორდენის კავალერი გახდა. გულწრფელად ვულოცავ ჩემს პატივცემულ მასწავლებელსა და ძვირფას კოლეგას!


რედაქციისაგან: რედაქცია უერთდება ქ-ნ ინვა ფილარს და ქ-ნ ალა ოთაროვას ულოცავს მალალი ჯილდოს – ღირსების ორდენის მიღებას.



ენგელბერტ პლასმანი არის თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი. ის კარგა ზანია, რაც ლექციებს კითხულობს აქ ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის სპეციალობის სტუდენტებისათვის. მისი ხელშეწყობით არაერთი სტუდენტი გაემგზავრა გერმანიაში პრაქტიკაზე. ამჟამად გთავაზობთ მის ნაშრომს, რომელშიც მოკლედაა მოთხრობილი გერმანიის უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების შესახებ

ENGELBERT PLASSMAN. THE LIBRARIES OF THE HIGHER SCHOOLS.

The author is the professor of Berlin Humbolt University, the honourable professor of Tbilisi Sulkhani-Sabab-Oreliani State Pedagogical University. He delivers lectures to the students of library science and bibliographic specialists. By his support many students went to Germany in practice. In his article he briefly tells us about the higher schools' libraries in Germany.



ენგელბერტ პლასმანი ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი

უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკები

გერმანული უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების სახე

უნივერსიტეტებისა და მსგავსი სტატუსის უმაღლესი სასწავლებლების (პირობითად მათ უნივერსიტეტები ვუწოდოთ) ბიბლიოთეკები წარმოადგენენ ცალკეულ, სტრუქტურულად შეკავშირებულ ჯგუფს. ისინი ერთიანდებიან არა მეთხველთა რაოდენობის, არა ფონდების სიდიდის, არა მომსახურე პერსონალის რაოდენობის, არამედ იმის მიხედვით, თუ რა ფუნქციას ასრულებენ ისინი და რა შიდა ორგანიზაცია აქვთ. მეთხველი სტუდენტების რაოდენობა დამოკიდებულია უნივერსიტეტის ტიპზე და მისი ბიბლიოთეკის მიერ წარმოადგენილ სპეციალბათა სპექტრზე, აგრეთვე იმაზე, თუ რამდენად პოპულარულია ეს უნივერსიტეტი. მაგალითად, სხვადასხვა ქალაქში ზოგ უნივერსიტეტს ჰყავს დაახლოებით 30.000 სტუდენტი (ბერლინი, ბონუმი, ბონი, მაინის ფრანკფურტი, ჰაიდელბერგი, ჰანოვერი და სხვა).

წიგნების შეძენისა და მომსახურე პერსონალისათვის განუყოფილი ბიუჯეტი, ჩვეულებრივ, დამოკიდებულია უნივერსიტეტში არსებულ სპეციალობებზე, კათედრებსა და სტუდენტთა რაოდენობაზე. წიგნების შესაძენი თანხა მერყეობს მილიონ-ნახევრიდან 4,5 მილიონ მარკამდე განვითარების სტადიაში მყოფ ახალი ბიბლიოთეკებისა და აღმ. გერმანიის ლანდების ბიბლიოთეკებისათვის შედარებით დიდი თანხა გამოიყოფა.

ცალკეული ბიბლიოთეკების თანამშრომელთა რაოდენობა, უხემად რომ ვიანგარიშოთ, 50-დან 200-მდე აღწევს. ეს რაოდენობა არა მარტო ბიბლიოთეკის სიდიდესა დამოკიდებული (სპეციალობები, სტუდენტთა რაოდენობა), არამედ იმაზე, თუ რა საორგანიზაციო სტრუქტურა აქვს მას. დიდი განსხვავებები უნივერსიტეტების ბიბლიოთეკების ფონდებს შორის აიხსნება იმით, თუ რა ისტორია აქვს ამა თუ იმ ბიბლიოთეკას და რა ხელშეწყობი პირობები ჰქონდა განვითარებისათვის. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკების ნაწილს ძველი, ხანგრძლივად მზარდი კოლექციები აქვთ, რომელთა შეგროვებაც მათ დაარსების დღიდანვე დაიწყო. მაგალითად, ზოგიერთი ქალაქის ბიბლიოთეკა დაარსდა მე-14 და მე-15 საუკუნეებში (ჰაიდელბერგი, ლაიფციგი, როსტოკი, ფრაიბურგი, თუბინგენი - საი მოცემულია დაარსების წლების მიხედვით). ბევრი ბიბლიოთეკა დაარსდა რეფორმების ხანაში (მარბურგი, ვურცბურგი), განმანათლებლობის პერიოდში დაარსდა ვოთინგენის, ერლანგენის ბიბლიოთეკები, პრუსიული რეფორმების ნაყოფია ბერლინისა და ბონის ბიბლიოთეკები (მე-19 საუკუნის დასაწყისი). ბევრმა ბიბლიოთეკამ დიდი დანაჯარე იწვნია მეორე მსოფლიო ომის დროს, განადგურდა მრავალი წიგნი.

მეოცე საუკუნეში დაარსებული ბიბლიოთეკების დიდი ნაწილი დაეფუძნა ამა თუ იმ ქალაქში უკვე არსებული ბიბლიოთეკების ნაშთებს. ბევრ ბიბლიოთეკას კი თავიდან უნდა დაეწყო წიგნთა ფონდების შექმნა, ასე რომ, ასეთი ბიბლიოთეკები უხველეს წიგნთა მხოლოდ მცირე ნაწილს ფლობენ. ზოგიერთი ბედნიერი შემთხვევის წყალობით, ახალმა ბიბლიოთეკებმაც მოიპოვეს ძველი წიგნების მნიშვნელოვანი



ნაწილი, რითაც თავიანთი ფონდები მნიშვნელოვნად გაამდიდრეს. მაგალითისთვის საემარისა მოვიყვანოთ აუგუსტურის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, რომელმაც ოთინგენ-ვალერმუტანის ბიბლიოთეკის წიგნები მიიღო. კონსტანცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ არ მიიღო სუსო-ბიბლიოთეკის და ვასენბერგის ბიბლიოთეკის შემოთავაზება, რაც შემდგომში დასანანი გახდა. უმეტესმა ბიბლიოთეკებმა კი, რომელთაც არანაირი მუქვედროება არ დარჩენათ, ანტიკვარიატის ბაზარზე მიზნობრივი ძეგლი შეიძინეს ძველი საინტერესო წიგნები. მეოცე საუკუნის სამოციან წლებში უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებმა იყიდეს აღმოსავლეთ გერმანიის ბიბლიოთეკებიდან ის წიგნები, რომლებიც იმ დროისათვის სოციალისტურ მსოფლმხედველობას ეწინააღმდეგებოდა. შექმნილ იქნა აგრეთვე ის წიგნები, რომლებიც აღმოსავლეთ გერმანიის უნივერსიტეტებში გაუქმებულ ფაკულტეტებზე ინახებოდა. ამით გადარჩა ბევრი საინტერესო წიგნი, რომლებიც დღეისათვის ყველასათვის ხელმისაწვდომია.

1964 წელს სამეცნიერო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სამეცნიერო უმაღლესი სასწავლებლების განვითარებისათვის წიგნთა რაოდენობების გაერთიანების შესახებ – თავის დროზე საჭირო და ნაყოფიერი აღმოჩნდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი წინსვლისათვის. წლების მანძილზე არსებული განსხვავება უნივერსიტეტებს შორის, ფაკულტეტებისა და მკითხველთა რაოდენობის მიხედვით, თანდათან გაქრა.

იმისათვის რომ შევვქმნას უფრო ნათელი წარმოდგენა გერმანიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებში არსებულ წიგნთა მარაგზე, მოვიყვანოთ რამდენიმე სტატისტიკური მონაცემი. ყველაზე ბევრი წიგნი დღესდღეობით ინახება ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის, მაინის ფრანკფურტის (ზენე-ნბერგის საბუნებისმეტყველო ბიბლიოთეკის რაიოლით) და ლაიფციგის უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებში. ეს ბიბლიოთეკები ფლობენ 3-4 მილიონ წიგნს.

2,5-3 მილიონამდე ეგზემპლარს ფლობენ შემდეგი ქალაქების უნივერსიტეტების ბიბლიოთეკები: ფრაიბურგი, ჰაიდელბერგი, იენა, ტუბინგენი, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაარსებული ჰამბურგი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, კოლნის განახლებული უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ბრემენის, დიუსელდორფის, რეგენსბურგის უნივერსიტეტების ბიბლიოთეკები. საშუალო (1,5-2,5 მილიონი) რაოდენობის წიგნებს ფლობენ შედარებით ძველი: ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტის, ბონის, დრეზდენის, ერლანგენის, გრაიფსვალიდის, კილის, ლანის მარბურგის, მიუნენის, როსტოკის და მე-20 საუკუნეში დაარსებული უნივერსიტეტების: ბილეფელდის, ზაარბრიუგენის, მაინციის, მანჰაიმის, ღორტმუნდის, ბონუშის, მიუნსტერის, აუგსბურგის და სხვა უნივერსიტეტების ბიბლიოთეკები. ბევრი 60-70-იან წლებში დაარსებული უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მიუხელოვდა ან გადააბედა უკვე მილიონ ეგზემპლარს. იგივე სიტუაციაა დღეს ტექნიკურ უნივერსიტეტებში. დანარჩენი უნივერსიტეტების ბიბლიოთეკები, რომელთა რიცხვში ძირითადად სპეციალური ვიწრო მიმართულების უნივერსიტეტებია (მაგ. ფილოსოფიურ-თეოლოგიური უმაღლესი სასწავლებელი) 100.000-500.000 ეგზემპლარს შეიცავენ. საერთაშორისო-განათლებლათა რაოდენობა უმეტეს უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებში 5000-10.000 აღწევს. ზემომოცემული მონაცემები მხოლოდ ზოგადი სურათია, საერთოდ კი ბიბლიოთეკებში უფრო მეტი წიგნი ინახება – დისერტაციები, სხვადასხვა ხელნაწილები, იშვიათი და ძვირფასი მასალები, რომლებიც წიგნთა რაოდენობაში არ შედის.



ბიბლიოთეკებში 70-იან წლებში საშუალება მისცა უნივერსიტეტებს დაერსებინათ ინფორმაციის გაცემის ადგილები. დღესდღეობით კი გერმანიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებში საშუალება გეძლევათ მოიძიოთ ეროვნული და საზღვარგარეთული, შიდა და გარე მონაცემთა ბაზები. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკების ფუნქციების შემოფარგვლა შეუძლებელია, რადგან მათ უზომოდ ბევრი ფუნქცია გააჩნიათ. ჩვეულებისამებრ, დღევანდელ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკების მოდერნიზაციის არეალი უმაღლესი სასწავლებლის ფარგლებს სცდება. ზოგჯერ ის მთელ ქალაქს, რეგიონს ან ბუნდესლანდს მოიცავს. გარდა ამისა, თითოეული ბიბლიოთეკა სხვა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებთან მრავალმხრივად არის დაკავშირებული, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ. ისინი აქტიურად თანამშრომლობენ საბიბლიოთეკო კავშირთან, ზრუნავენ განსაკუთრებულ წიგნთა შეგროვებაზე და შიდა და უცხოეთის ბიბლიოთეკებთან თანამშრომლობენ.

ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა დამატებით ქალაქის ბიბლიოთეკის ან ლანდის ბიბლიოთეკის ფუნქციას ასრულებს, ხანგრძლივი ისტორიული განვითარებით აისხნება. ასეთი ბიბლიოთეკებია, მაგალითად, მაინის ფრანკფურტში, კოლნში, დრეზდენში. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ზოგიერთ ბუნდესლანდში არ არსებობს სპეციალური ლანდის ბიბლიოთეკა და ეს ფუნქცია მთლიანად უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს აღებული (ჰესენის ლანდის და უმაღლესი სასწავლებლის ბიბლიოთეკა დარმშტატში, ნორდრაინ-ვესტფალიის ლანდის და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ბონში, მიუნსტერისა და დუსელდორფში და ა.შ.).

ბიბლიოთეკების ასეთი ფუნქციების მიღება განაპირობა იმან,



ძველი ტიპის ბიბლიოთეკებს მათ განვითარებაში, ეს არის:

- * ამოღება იმ წიგნებისა, რომლებიც არ არის აქტიურ გამოყენებაში;
- * მონაწილეობა საერთო კატალოგების შედგენაში;
- * იშვიათად გამოყენებადი წიგნების გადატანა ინსტიტუტის მოქმედი თაროდან უნივერსიტეტის სპეციალურ საცავებში;
- * ინსტიტუტის ბიბლიოთეკების ხელმისაწვდომობა ნებისმიერი მსურველისათვის;
- * შეგროვება სახელმძღვანელოებისა, რომლებიც აქტიურად ითვლება.

ყველაზე მდიდარ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკად ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ითვლება. აქ გაერთიანებულია ასზე მეტი ინსტიტუტის ბიბლიოთეკა, რომლებსაც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასთან არანაირი შეხება არა აქვთ. ეს რაოდენობა სურთ ეტაპობრივად შეამცირონ.

ახალ გიგლიოთიკათა სტრუქტურა

რომ გაიზარდა სამეცნიერო პუბლიკაციებზე მუშაობა, რაც თავის მხრივ ბიბლიოთეკებს შორის კავშირებს აღრმავებს. ეს კავშირები რომ არ არსებობდეს, შეუძლებელი იქნებოდა მეთხველთა ინტერესების მთლიანად დაკმაყოფილება. ასეთი კავშირების დროს სასურველია მიეწოდოს მეთხველს მაქსიმალური ინფორმაცია საინფორმაციო ტექნოლოგიებით, რათა არ მოხდეს დასაქმებულ თანამშრომელთა ამო გარჯა.

ძველი უნივერსიტეტების გიგლიოთიკების სტრუქტურა

ტრადიციული გერმანული უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სტრუქტურული სქემა უმეტესწილად „ორრელსიანი“, რომლებიც ერთმანეთს იმისათვის ემსახურებიან, რომ მეთხველს ლიტერატურა მიაწოდონ. პირველ რელსად ითვლება ცენტრალური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, მეორედ – კათედრის, ინსტიტუტის, კლინიკის, ფაკულტეტის თუ ცალკეული სპეციალობის ბიბლიოთეკები (მათ ძირითადად ინსტიტუტების ბიბლიოთეკების სახელით იცნობენ). არ არის იდეალური არც ერთი ტიპის ბიბლიოთეკა. რადგან მათ გარვეული ნაწილი აქვთ. ძირითადად უბირატესობა ენიჭება ერთიან, ცენტრალიზებულ მრავალპროფილიან სისტემას. როგორც უნივერსიტეტების, ასევე ცალკეული ინსტიტუტების ბიბლიოთეკები თანაბარი სიმძლავრით გამოიყენება. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან შესაძლებელია წიგნების გამოტანა და მათი სახლში წაღება, რაც ინსტიტუტის ბიბლიოთეკებისათვის შეუძლებელია, სამაგიეროდ ინსტიტუტის ბიბლიოთეკებში მოღვაწეობდა თაროებზე ღია დაშვება. ინსტიტუტების ბიბლიოთეკა მიმართულია მთლიანად თავის უშუალო ინსტიტუტზე ფაკულტეტზე ან სპეციალობაზე, სხვა სახის მასალებით ან სხვა უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებიდან მეთხველების დაკმაყოფილებით ისინი პასუხისმგებელი არ არიან. ასეთი ბიბლიოთეკების დირექტორები ძირითადად ამ ინსტიტუტების ხელმძღვანელები არიან, რომლებიც თავიანთ ასისტენტებს ან სამეცნიერო თანამშრომლებს ანდობენ ხოლმე ბიბლიოთეკას. ბიბლიოთეკის თანამშრომლები ამ დროს მიეყოფნებიან არა ბიბლიოთეკას, არამედ ინსტიტუტს, ანუ ისინი ექვემდებარებიან არა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორს, არამედ ინსტიტუტის დირექტორს. პასუხისმგებელი ინსტიტუტის ხელმძღვანელია.

გერმანიის სამეცნიერო კვლევის საზოგადოებამ ბიბლიოთეკების უკეთ ფუნქციონირებისათვის 1970 წელს შეიმუშავა „რეკომენდაციები უმაღლესი სასწავლებლებისა და ცალკეულ ინსტიტუტთა ბიბლიოთეკებისათვის“. ეს რეკომენდაციები შეიცავენ მოკლე და შეჯამებულ კონკრეტულ რჩევებს, რომლებმაც დიდი დახმარება გაუწიეს

იმ ხნის განმავლობაში, როცა მსჯელობა მიდიოდა, თუ როგორ შეეცვალათ ძველი ორრელსიანი ტიპის ბიბლიოთეკა, 60-იანი წლების ბოლოს უკვე შეიქმნა ახალი ტიპის ბიბლიოთეკები, რომელთაც ამ პრობლემაზე არც კი უფიქრიათ. ახლად დაარსებულმა უმაღლესმა სასწავლებლებმა, რომლებსაც ადრე არანაირი ბიბლიოთეკა არ ჰქონდათ, დააარსეს ერთიანი ცენტრალური ტიპის ბიბლიოთეკა, რომელშიც როგორც წიგნთა გამოტანა, ასევე ზოგიერთი წიგნისათვის თაროებზე ღია დაშვება შემოიღეს. ასეთი ბიბლიოთეკებია ბონის (1965 წელი) და ბილფელდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები. ცენტრალიზებული სისტემა განსაკუთრებით სრულყოფილად აისახა ბილფელდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ასევე ბავარიისა და ნორდრაინ-ვესტფალიის უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებში. ეს სისტემა შევიდა აგრეთვე აღმ. გერმანიის ბევრ უნივერსიტეტში, მაგრამ აქაც ძალიან დიდი პრობლემები გახდა დასაძლევია.

ცენტრალიზებულ ბიბლიოთეკაში არის წიგნთა გაცემა-მიღების განყოფილება, არსებობს ერთი მთლიანი ელექტრონული კატალოგი.

ყველა ბიბლიოთეკა ორიენტირებულია თაროებზე ღია დაშვებაზე. წიგნების ყველაზე დიდი ნაწილი საჯაროდ არის გამოფენილი და ხელმისაწვდომია. პრივილეგიები მეთხველებზე არ ვრცელდება. ყველაზე ძნელი ამ დროს იმის გადაწყვეტაა, თუ რომელი წიგნი უნდა იყოს გატანისათვის და რომელი უნდა იყოს თაროზე ღია დაშვებისათვის.

უკვე დაიწყო და ბევრ ბიბლიოთეკაში განხორციელდა საბიბლიოთეკო საქმის ელექტრონიზაცია. ავტომატიზირებულ მონაცემთა დამუშავება ყველაზე საუკეთესო საშუალებაა მომსახურების ოპერატიული და მაღალი დონის მისაღწევად. ამის გარეშე, ფაქტიურად, შეუძლებელი იქნებოდა ელექტრონული კატალოგის შექმნა, წიგნების გაცემისა და დაბრუნების ოპერატიული აღწერა.

ამ მხრივ პრობლემატური აღმოჩნდა აღმ. გერმანიის უნივერსიტეტთა ბიბლიოთეკების გადაყვანა ელექტრონულ სისტემაზე, რადგან გერმანიის გაერთიანებამდე ისინი საერთოდ არაფერს აკეთებდნენ ელექტრონული დამუშავებისათვის, მაგრამ დღეს ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ელექტრონულად იქნეს დამუშავებული მონაცემთა ბაზები. ინსტიტუტის ბიბლიოთეკებში კი არ ხდება მონაცემთა ბაზების ელექტრო

ნულად დამუშავება. ასევე მნიშვნელოვანია კადრების შერჩევა ახალი ტიპის ბიბლიოთეკებში, რადგან საჭიროა შეირჩეს სპეციალურად ისეთი კადრი, რომელიც ამა თუ იმ სფეროში იქნება ორიენტირებული.

სპეციალური უმაღლესი სასწავლებლის ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკის უმაღლესი სასწავლებლის ბიბლიოთეკის

სპეციალური უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკები წარმოადგენს ბიბლიოთეკების შედარებით ახალ ტიპს. ასეთი უმაღლესი სასწავლებელი გერმანიაში 130-ია. მათი ბიბლიოთეკების სიდიდე დამოკიდებულია სტუდენტთა, პროფესორ-მასწავლებელთა და წარმოდგენილ სპეციალობათა რაოდენობაზე. ზოგიერთ სპეციალურ უმაღლეს სასწავლებელში წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის სპეციალობები. მაგ., საინჟინრო სპეციალობები, ელექტროტექნიკა, სოციალური სამსახურისა და სოციალური პედაგოგიის ფაკულტეტები და ა.შ. ასე რომ, ამ ბიბლიოთეკებში მოცემულია აგრეთვე სხვადასხვა დარგისა და ტიპის წიგნები. დიდი სპეციალური უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკები მოიცავენ დაახლოებით 250.000 ეგზემპლარ წიგნს და 500-1000 დასახელების თანამედროვე ჟურნალ-გაზეთს. შედარებით პატარა ბიბლიოთეკებს წიგნების მოგრძალებული რაოდენობა აქვთ. ასეთ პატარა ბიბლიოთეკების ადმინისტრაციას უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგები ქმნიან. ასეთი ბიბლიოთეკების ძირითადი ფუნქციაა, მოამარაგონ სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები მხოლოდ სპეციალური სახელმძღვანელოებით. ისინი რეგიონალური მომსახურებისათვის არ არიან გათვალისწინებული და არ იღებენ შეკვეთებს ამა თუ იმ წიგნზე სხვა უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკებიდან. მაგრამ ზოგჯერ არის ხოლმე გამონაკლისი შემთხვევებიც. დიდ ბიბლიოთეკებში წიგნთა გაცემის რაოდენობა 200.000-300.000 მერყობს. პატარა ბიბლიოთეკებში ეს რაოდენობა 100.000-200.000-მდე მცირდება. საერთო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ სპეციალური უმაღლესი სასწავლებლის ბიბლიოთეკები უკვე ვეღარ ასრულებენ მკითხველთა მზარდ მოთხოვნებს.

ხელოვნებისა და მუსიკალური უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკის

ხელოვნებისა და მუსიკალური უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკებმა დიდი ყურადღება ვერ მიიქციეს და ამიტომ მათზე სტატისტიკური მონაცემები ცოტაა. ასეთი უმაღლესი სასწავლებლები გერმანიაში სულ 46-ია და საერთოდ 1000 და უფრო ცოტა სტუდენტი ჰყავს. აქედან გამომდინარე, არ უნდა მოველოდეთ მათგან მსგავსებას დიდი ტიპის ბიბლიოთეკებისა, ისეთებს, როგორც სხვა დიდი უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებია. ასეთი უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებს არანაირი კონკურენცია არ შეუძლიათ გაუწიონ სხვა ბიბლიოთეკებს. ხელოვნებისა და მუსიკალური უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკებს შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ მათ განსხვავებული ტიპის წიგნები და საინფორმაციო მასალები აქვთ. აქ, საერთოდ, ცოტა წიგნი ინახება, რადგან ძირითადად გამოიყენება მედიები, ჟურნალთა რიცხვიც მცირეა, დაახლოებით 100 დასახელებას მოიცავს. მედიების რაოდენობა 100.000-მდე აღწევს. ასეთ ბიბლიოთეკებში ინახება ხელოვნების ნიმუშთა ასლები, დიაპოზიტეები, ფილმები, სანოზო ფურცლების კოლექციები. ეს ასე იმიტომ, რომ ხელოვნებას სხვა გამოხატვის საშუალება აქვს, ვიდრე მეცნიერებას. სამეცნიერო საქმიანობისათვის მათ უმნიშვნელო დახმარება შეუძლიათ და ამის გამო მათი რეიტინგი უფრო და უფრო ეცემა. მაგრამ ისინი აქტიურად მუშაობენ იმათთან, ვინც მუსიკით და ხელოვნებით არიან დაკავებული, ასე რომ, ასეთ ბიბლიოთეკებს საჯარო მომსახურება არ შეუძლიათ და მხოლოდ მკითხველთა ვიწრო წრისათვის არიან განკუთვნილი. ასეთი ბიბლიოთეკები ემსგავსებიან უნივერსიტეტის სპეციალური ინსტიტუტების ბიბლიოთეკებს. მიუხედავად ამისა, ისინი უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების ერთ-ერთ ტიპს წარმოადგენენ, სადაც არის თაროებზე ღია დაშვება, ხელშეწყობა ხელოვნების სფეროებში მომუშავეთათვის. ისინი მონაწილეობენ ადგილობრივ და რეგიონალურ პროექტებში.

მასალა ზელნაწერის მიხედვით გერმანულიდან თარგმნა და გამოსაცემად მოამზადა თორნიკე გურულმა
Engelbert Plassmann - Einführung in das Bibliotheken-wesen der Deutschen Bibliotheken



“At the Source of the National Library of Paris” represents an abstract translation from the French journal done by Marina Skhirtladze. A short history of the foundation of the National Library of Paris up to XIX century is given in this work.

პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის სათავეებთან

ამ უძველესი კულტურული დაწესებულების სათავეები მეტად მისტიკურია. შარლ V-დან (1364-1380) მოყოლებული ფრანგი მეფეები თავიანთ კერძო ბიბლიოთეკებში წიგნების კოლექციებს აგროვებდნენ.

შარლემანს თავის სასახლეში ექს-ლა შაპელში უკვე საკუთარი ბიბლიოთეკა ჰქონდა. ლუი ღვთისმოსავი და შარლ მელოტი თავის მხრივ ცდილობდნენ ძვირფასი ტექსტების გაფერადებას, რომელთაგან ბევრი შემდგომში ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებში გადავიდა, მაგრამ უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ფრანგ მეფეთა პირველი კოლექციები, მაგალითად, წმინდა ლუისისა, მათი სიკვდილის შემდეგ იკარგებოდა. როცა შარლ მეხუთემ, 1365 წელს ლუერის ერთ-ერთ შტოში საკუთარი ბიბლიოთეკა დააარსა, სწორედ ამის გამო სათავსოს კედლები პოლანდიური მუხის პანელით გაამაგრებინა, ხოლო თალი - კვიპროსის ხისგან დაამზადებინა, ფანჯრებზე ტილო გადაჭიმეს, რომელიც ინტერიერს იცავდა „ჩიტებისა და სხვა რამისაგან“. ბიბლიოთეკის მცველად მუშაობდა თავად მეფის ნდობით აღჭურვილი პირი - ჟილ მალე, რომელიც ინვენტარისაცაიას აწარმოებდა. 1380 წლისათვის ბიბლიოთეკაში უკვე 917 ტომი ინახებოდა. შარლ VI-ის (1380-1422) დროს ეს ტომები ვინმე წარჩინებულმა ინგლისელმა შეისყიდა. ბიბლიოთეკა გადატანილ იქნა ინგლისში 1429 წელს, რის შემდეგაც იგი უკვალოდ დაიკარგა. ასე რომ, ყველაფერი თავიდან იყო დასაწყები.

მხოლოდ ლუი XI-ის მეფობის (1461-1483) წლებში გახდა შესაძლებელი ბიბლიოთეკის უწყვეტობის დაცვა. შეკრებილი კოლექცია მისი ვაჟის შარლ VIII-ის შემდეგ აღარ დაფანტულა, რაც უდავოდ ამ მონარქის მიერ ბიბლიოთეკის დიდ მზრუნველობაზე მეტყველებს.

მოგვსენებათ, რომ შუა საუკუნეების პერგამენტები საუკეთესო ოსტატების მიერ თავდადებული შრომით შე-

ქმნილი უძვირფასესი წიგნებია. ლუი XI-ის ბიბლიოთეკაში ასეთ პერგამენტებთან ერთად ინახებოდა 1370 წ. ფლორენციაში გადაწერილი და მოხატული ბოკაჩოს „დეკამერონი“. მეფის ფავორიტის - მხატვარ ჟან ფუკეს მიერაა მოხატული სენ მიშელის ბრძანებათა წესდებები, რელიგიური წიგნები, კლასიკოსი ავტორები; თაროზე მათ გვერდზე ეწყო იმდროინდელი ასტროლოგიური რუკებიც.

სტამბის განვითარების შემდეგ სამეფო ბიბლიოთეკა აგრძელებდა ფონდების შეგებას ძველი ხელნაწერებით, რომლებიც სწავლულთა სამუშაო იარაღს წარმოადგენდა. სპეციალური მისიების შედეგად მოპოვებულ იქნა არაბული, ებრაული, ჩინური და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების დოკუმენტური მასალები. პირველი უცხო ხელნაწერები ბიბლიოთეკაში შემოვიდა 1700 წელს - მექსიკური, 1717 წელს - რუსული. რაც შეეხება დასტამბულ წიგნს, ბიბლიოთეკაში იგი უცებ არ მოხვედრილა. 1645 წლის ინვენტარის მიხედვით, ბიბლიოთეკის ფონდებში ირიცხებოდა 1329 დასტამბული წიგნი. ბეჭდური წიგნის ილუსტრაცია ხეზე შესრულებული გრავიურის დახმარებით XVI საუკუნიდან ხელს უწყობს გრავიურის მოდიფიცირებას. 1667 წელს ბიბლიოთეკებში შემოვიდა მიშელ დე მაროლის კოლექცია, რომელიც მოგვიანებით გახდა ტვიფრის კაბინეტის სიამაჟე.

შუა საუკუნეებიდან ფრანგი მეფეები თავიანთ სასახლეებში მონეტებს, სამკაულებს და სხვა ნივთებს აგროვებდნენ. შარლ IX დაარსა კაბინე დე მეტაი - მედლების კაბინეტი, რომელიც რელიგიურ ობიექტს შეეწირა. შემდგომ ის ბიბლიოთეკისაგან და მოუკიდებლად აღდგენილ იქნა ანრი VI-ის მიერ. ეს დაცული კოლექცია ლუერში საკმაოდ გამზარდა და 1666 წელს სამეფო ბიბლიოთეკას შეუერთდა, რომელიც მაშინ ვივიენის ქუჩაზე მდებარეობდა. ლუი XIV დიდად მფარველობდა ამ ძვირფას კოლექციას და 1684 წელს იგი ვერსალში გადაიტანა, თუმცა ზედამხედველობა მასზე ისევ ბიბლიოთეკას ევალებოდა.



ბიბლიოთეკების კოლექციების გაზრდის ძირითადი პირობა ლეგალური შენატანი იყო, რომელიც შონპელიეს მიერ 1537 წლის 23 დეკემბრის ბრძანებულებით დაწესდა. ეს ბრძანება გამოძცემლებს ავალდებულებდა მათ მიერ დასტამბული ყველა ბეჭდური ნაწარმოებებიდან ორი ეგზემპლარის გაგზავნას ბლუას შატოს ბიბლიოთეკაში. ეს რეგულაციური მოთხოვნა ერთბაშად არ იქნა მიღებული, თუმცა 1624 წელს ბრძანებულება კვლავ განაზღვრა და ახლა უკვე წიგნით მოვაჭრეებს აკრძალათ გაეყიდათ ისეთი წიგნი, რომლის ორი სავალდებულო ცალი არ იქნებოდა დაცული ბიბლიოთეკაში. 1672 წელს ეს წესი გავრცელდა ესტამპებზეც და 1745 წელს – მუსიკალურ ნოტებზეც.

მეტად საინტერესოა ბიბლიოთეკის მუშაკთა დამოკიდებულება მკითხველებთან მიმართებაში. 1692 წლამდე ბიბლიოთეკით სარგებლობა დასაშვებია იყო მხოლოდ სწავლულთათვის, მაგრამ მკითხველთა რაოდენობის ზრდამ გადაწყვიტა საჯარო ბიბლიოთეკის ფონდების ფართო მასებისათვის გახსნა. თავდაპირველად ეს ხდებოდა კვირამდე ორჯერ, თუმცა მალე (1706 წ.) ეს ექსპერიმენტი შეჩერდა ერთი ტომის მოპარვასთან დაკავშირებით (ეს არის საფრანგეთის ბიბლიოთეკების ისტორიაში ქურდობის პირველი შემთხვევა). მეცნიერები ბიბლიოთეკით სარგებლობას კვლავაც განაგრძობდნენ.

ბიბლიოთეკის ფონდების ზრდამ დღის წესრიგში დააყენა ყველა დოკუმენტის კლასიფიცირებისა და მათი კატალოგიზაციის აუცილებლობის საკითხი. პირველი სახელმძღვანელო ბიბლიოთეკათმცოდნეობაში დაწერილ იქნა 1627 წელს გაბრიელ ნოლეს მიერ. ნიკოლა კლემენმა, რომელიც 1670 წელს სამეფო ბიბლიოთეკას ჩაუდგა სათავეში, ბეჭდური წიგნების კლასიფიკაცია მოახდინა. მის მიერ ნაშრომები დაყოფილი იყო 23 კლასად. თითოეული მათგანი წარმოადგენდა იყო ანბანის ასოთა რიგის მიხედვით: 1 – 4 რელიგიისათვის, 2 – იურისპრუდენციის, 10 – ისტორიის, 4 – ფილოსოფიის, მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურისათვის. ხელნაწერები იყო დაყოფილი ენებისა და შინაარსის მიხედვით.

განმანათლებლობის სახელით ცნობილი მე-18 საუკუნე ოქროს ხანა იყო ბიბლიოთეკისათვისაც. საინტერესოა აბატი ბინიონის მოღვაწეობა სამეფო ბიბლიოთეკაში. იგი იღებდა რა სხვადასხვა კოლექციებს კერძო ბიბლიოთეკებიდან, ზრდიდა ბიბლიოთეკის ფონდებს, და, რაც მთავარია, მან მოახერხა თავისი ადგილი მიეჩინა ბეჭდური წიგნის, ხელნაწერების, მედალიონების, გრავეურებისა და ესტამპებისათვის, უფრო მეტიც – მან 1720 წელს მეფეს სამეფო სტამბაში დაბეჭდილი ბიბლიოთეკის კატალოგების პირველი ტომი წარუდგინა. 1720 წელს საბიბლიოთეკო საბჭოს გადაწყვეტილებით,


ბიბლიოთეკის კარები ფართო საზოგადოებისათვის კვლავში ერთხელ ღია გახდა, რაც თავისთავად ბიბლიოთეკის საჯაროობის წინაპირობა იყო.

1741 წელს აბატი ბინიონი პენსიაზე გავიდა, მისი წასვლის შემდეგ ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობდნენ აბატი ბარტელემი (მედალიონების მცველი) და უკეს – ადრიან ჟოლო (ესტამპების მცველი), რომლებმაც თავიანთი საქმიანობით ბიბლიოთეკა ევროპულ სწავლულთა ცენტრად გადააქციეს. ისინი ინტენსიურად მუშაობდნენ ფონდების გაზრდაზე და არსებული ლიტერატურის დაცვაზე.

საინტერესოა ბიბლიოთეკარის თანამდებობის მსურველთა პირობები. პირველ პირობად ბიბლიოთეკარის განსწავლულობა, თავმდაბლობა და საქმისადმი ერთგულება იყო მიჩნეული. ბიბლიოთეკის დირექტორს კი ირჩევდნენ რეაქციანი მცველისაგან შემდგარი საბჭოს თანხმობის შემდეგ. დირექტორი უშუალოდ ექვემდებარებოდა შინაგან საქმეთა მინისტრს.

საკულისო ქონება, რომელიც სხვადასხვაგვარი შინაარსის გამო განაწილებული იყო მუზეუმებსა თუ ეკლესიებს შორის, 1789 წლის ნოემბერში სამეფო ბიბლიოთეკას გადაეცა. გადაცემულთა სიაში შედიოდა სორბონის ბიბლიოთეკის 29 800 ბეჭდური და 2000 ხელნაწერი, სენეტიორის სააბატოდან ბიბლიოთეკაში მიიღეს 3000-ზე მეტი დოკუმენტი, რომელთა შორის იყო იმ დროის გეოგრაფიულ რუკათა მშვენიერი კოლექცია. მეორე დიდი პიროვნება, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა სამეფო (შემდეგ ეროვნული) ბიბლიოთეკის ისტორიაში, ეს გახლავთ იოსებ ვან პრაე (1754-1838). იგი ბიბლიოთეკაში 1784 წელს მივიდა და 1838 წლამდე იმუშავა. მისმა დაუღალავმა შრომამ შედეგი გამოიღო: 1794 წლისათვის ბიბლიოთეკის ნაბეჭდ წიგნთა რაოდენობა 12 500-ს წარმოადგენდა. დირექტორი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა წიგნების აუქციონებში, სადაც არ უნდა ჩატარებულყო ვაჭრობა ქვეყნის შიგნით თუ გარეთ. იოსებ ვან პრაე მშვენიერ გემოვნებას ამჟღავნებდა; ბრწყინვალედ იცოდა რა ბიბლიოთეკის ფონდები, მისი გამდიდრებისათვის განსაკუთრებულ ეგზემპლარებს იძენდა და უკვე XIX საუკუნის 30-იანი წლებისათვის დღიდან ბიბლიოთეკის დაარსებისა ფონდების გაორმაგება აღინიშნა. XIX საუკუნემ ახალი მიზნები და ამოცანები დაუსახა ბიბლიოთეკას და ბიბლიოთეკარებს, მაგრამ ეს უკვე სხვა წერილის თემაა და მას სხვა დროისათვის შემოვთავაზებთ.

ნაწვევტი ჟურნალიდან „Bibliothèque Nationale de Paris“: 1999 ან. რეფერირებული თარგმნა მარინა სხირტლადისა



როსა თანადგომა აუცილებელია

საბიბლიოთეკო საქმის მეცენატები საქართველოში არიან, მაგრამ არც ისე ბევრი, რომ ახალი სახელების გამოჩენა ზედმეტად მივიჩნიოთ და უგულვებელვყოთ. პირიქით, ასეთი ხალხი საჭიროა და სანთელ-საკმეველით საძებნი, მით უფრო დღეს, როცა საბიბლიოთეკო საქმემ თავისი სიტყვა უნდა თქვას ახალი საქართველოს თავისუფალი, მცოდნე, წიგნიერი და ყოველმხრივ ინფორმირებული საზოგადოების ჩამოყალიბებაში.


ამდენად, ბიბლიოთეკათმცოდნე ქ-ნი ქეთევან ნიკურაძის მიერ მოწოდებულმა ინფორმაციამ მის მიერ შედგენილი ნაშრომის – „საბიბლიოთეკო საქმის განვითარება საქართველოში, ქართველი ბიბლიოთეკარები, ბიბლიოგრაფები და ბიბლიოფილები“ – შესახებ რედაქციის ყურადღება მიიპყრო.

ქალბატონი ქეთევანი შემოქმედებითი მუშაობისათვის საკმაოდ ახალგაზრდა ბიბლიოთეკათმცოდნეა. იგი თბილისის მირზა გელოვანის სახელობის ახალგაზრდობის ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილედ მუშაობს სამეცნიერო დარგში. მის მიერ შედგენილი და ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი მასალა შედგება ორი ტომისაგან. პირველი ტომი მოიცავს 1830-1921 წლებს, მეორე – 1922-1990 წლებს. ბიბლიოგრაფიულ მარეგნებელში წარმოდგენილი ყველა მასალა ანოტირებულია. განლაგებულია ქრონოლოგიურ-ანბანურად. უკვე დასრულებულია ნაშრომის პირველი ტომი, რომელშიც შედის როგორც სახელმძღვანელო მასალები, ასევე მასალები საბიბლიოთეკო საქმიანობის განვითარების, ქართული ბიბლიოთეკების დაარსების, მათი საქმიანობის შესახებ. ბიბლიოგრაფიის დასაწყისში სპეციალურად ცალკე თავი აქვს დათმობილი მასალებს, სადაც გაშუქებულია საქართველოში მოქმედი ყველა სისტემის და უწყების ბიბლიოთეკების მოკლე ისტორია, კერძოდ, რომელ წელს გაიხსნა ბიბლიოთეკა, ვინ იყო მისი დამაარსებელი, როგორი იყო პირვანდელი ფონდის შემადგენლობა, ვინ იყო ბიბლიოთეკის გამგე ან დირექტორი წლების მიხედვით და ა.შ.

სამწუხაროდ, დღევანდელ პირობებში ძნელია მისი გამოცემა, რადგან ეს დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა მეორე ტომზე, რომლის თემატიკის უფრო მრავალფეროვნებას და გაცილებით მეტ მასალებს გვპირდება ავტორ-შემდგენელი.

რედაქცია თანადგომას უცხადებს ქალბატონ ქეთევანს და თხოვნით მოგმართავთ საქართველოში მოქმედ ყველა სისტემისა და უწყების ბიბლიოთეკის მესვეურებს, გამოგზავნოთ მასალები, ცნობები, ინფორმაციები თქვენი ბიბლიოთეკის ისტორიის შესახებ. აგრეთვე ვთხოვთ მათაც, ვისაც ხელეწიფება ეს, გულთან ახლოს მიიტანოს და პრაქტიკული დახმარება გაუწიოს ნაშრომის გამოცემის საქმეს.

რედაქცია



უოჩი თუ ახლო აღმოსავლეთი



ვთავაზობთ ჩვენს მიერ ადგილზე ჟურნალების მიწოდების ამსახველ რამდენიმე ფოტო-მასალას.

ჩვენმა ჟურნალმა დიდი ინტერესი გამოიწვია სპეციალისტთა შორის. რედაქციის მუშაკები კი ძალიან ველავდით – იქნება კი ათას ეგზემპლარზე მეტზე მოთხოვნა? აღმოჩნდა, რომ იქნება. ახლაც მოდის მოთხოვნები პირველ და მეორე ნომრებზე – გვთხოვენ დამატებით გამოცემთ ჟურნალის გასული ნომრები, მაგრამ ეს ჩვენს მოკრძალებულ შესაძლებლობებს აღემატება. მიუხედავად ხელმოკლეობისა, მაინც უსასყი-



დლოდ ვარიგებდით ჟურნალებს. ეს სახესებით შეუძლებელი იქნებოდა ამერიკის საელჩოს ფინანსური დახმარების გარეშე, რისთვისაც მადლობას მოვასხსენებთ საელჩოს, თვით ელჩს და იმ პირებს, რომლებიც უა-

ნგაროდ გვიწვობდნენ ხელს სახსრების მოპოვებაში. რედაქციის მთელი კოლექტივი ამოძრავდა რეგიონების ბიბლიოთეკებისათვის ჟურნალების მიწოდებისათვის. ზოგი სად გაემართა, ზოგი – სად. ქალბატონ გულნარა სტურუამ გაუსაძლის სიცხეში თითქმის მთელი დასავლეთ საქართველოს მოჰვინა ჟურნალები – გორი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, ფოთი, ზუგდიდი – რამდენიმე დღეში შემოიარა მანქანით და სარაიონო ბიბლიოთეკებს ჟურნალის პირველი ორი ნომერი გადასცა მათთვის და ბიბლიოთეკა-ფილიალებში დასარიგებლად. ამას არ სჯერდებოდა და ამასთან საყო-



ნსულტაციო-მეთოდურ მუშაობასაც ეწეოდა. თავისი მოგზაურობის შესახებ მხატვრულად დაწერილი ანგარიშიც წარმოგვიდგინა.

გურია-აჭარაში ამგვარი ვიზიტით თვით ჟურნალის მთავარი რედაქტორი ბატონი ალექსანდრე ლორია გაემგზავრა. გურიის რეგიონში ექსპედიტორი გაგზავნა, თვითონ კი ბათუმს მიაშურა. გურიისა და აჭარის ყველა რაიონს ერგო წილად ჟურნალები მათი და მათი ფილიალებისათვის. ქვემო ქართლში – ბოლნისი, დმანისი, მარნეული, თეთრიწყარო – ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ცენტრის ხელმძღვანელი ბატონი გურამ თაყნიაშვილი გაემგზავრა, რომელსაც მეტად სასარგებლო შეხვედრები ჰქონდა ადგილობრივ სპეციალისტებთან.


ამ საკმაოდ რთულ საქმეში საქართველოს საბი-

ბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი ბატონი ირაკლი ღარიბაშვილიც ჩაება. გურამ თაყნიაშვილთან ერთად მან მონაწილეობა ახალციხის, ასპინძისა და ახალქალაქის სარაიონო ბიბლიოთეკები და ჟურნალები გადასცა მათ.

ჟურნალების ადგილზე მიტანაში თვით ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმაც მიიღო მონაწილეობა. ირაკლი ღარიბაშვილსა და გურამ თაყნიაშვილთან ერთად ის კახეთის რეგიონს ეწვია. თელა-



რნალს სათანადო სახსრები არ გაუჩნდა. მართალია, დიდი იყო დახმარება ამერიკის საელჩოს, ჩვენი ეროვნული ბიბლიოთეკის და მისი გენერალური დირექტორის ლევან ბერძენიშვილის მხრიდან, მაგრამ მართლაც ასეთი დახმარებითა და ენთუზიაზმით ჟურნალი ვერ იარსებებს. ჩვენ განსაკუთრებით დიდ იმედებს ვამყარებთ ჩვენს ბიბლიოთეკებზე. ჩვენი ჟურნალი ხომ მათი ჟურნალია და, უპირველეს ყოვლისა, მათგან



ვში გაიმართა ამ რეგიონის სარაიონო ბიბლიოთეკებისა და მათ ფილიალებში დასარიგებელი ჟურნალების გადაცემა და შეხვედრები ადგილობრივ სპეციალისტებთან. ამავე დროს თბილისიდან ჩასული იყო ეროვნული ბიბლიოთეკის ავტომატიზაციის განყოფილების მთავარი სპეციალისტი არჩილ თაყნიაშვილი, რომელმაც აქ კომპიუტერის შიდაქსელი დაამონტაჟა. თავიანთი ძალებით ჟურნალები ადგილებზე ჩაიტა-



ველით მხარდაჭერას; მომდევნო ნომრები მხოლოდ ამის შედეგად თუ გამოიცემა, ბევრია დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მოხდება მათი რეალიზაცია და ფულადი ოპერაციების ოპერატიულად წარმოება.



ნეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეების წარმომადგენლებმა ისეთი ცენტრებიდან, როგორიცაა რუსთავი, გარდაბანი, მცხეთა, თიანეთი, ამბროლაური და სხვ.


ყველგან გვესმოდა. რომ დიდი საქმე კეთდება; გვაქვს მრავალი გამოხმაურება, რაც ჩვენს ძალებს აორმაგებს, მაგრამ ეს საკმარისი არ იქნება. თუ ჟუ-



საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები

- * 12 ივლისს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში მოეწყო თბილისში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების ბიბლიოთეკების წარმომადგენელთა შეხვედრა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ უცხოეთის საელჩოთა საინფორმაციო განყოფილებების წარმომადგენლები. საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციას ეთხოვა კოორდინაციული მუშაობის გაწევა არასამთავრობო ორგანიზაციებთან არსებულ ბიბლიოთეკებთან.
- * 4 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან არსებული კონსორციუმის მორიგი სხდომა. განიხილეს პროექტის „ქართული ბიბლიოგრაფიულ მონაცემთა ბაზა ინტერნეტში“, მეორე ეტაპის შედეგის საკითხი. ეთხოვათ კონსორციუმის წევრ ბიბლიოთეკებს წარმოადგინონ წერილობითი მითხონებები ბიბლიოთეკების ავტომატიზაციის კუთხით პროექტში მონაწილეობისათვის.
- * 6 სექტემბერს ქ.თბილისის საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საგარეო საკითხთა კომისიაში (მ.დარჩია) გაიმართა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის დამფუძნებელთა შეხვედრა კომისიის ხელმძღვანელობასთან. საუბარი შეეხო წინადადებების მომზადებას ქ.თბილისის საქალაქო ბიბლიოთეკების მუშაობის გაუმჯობესების საკითხებთან დაკავშირებით. გადაწყდა, მომზადდეს წინადადებები და რეკომენდაციები საკრებულოს სხდომაზე საკითხის განხილვის მიზნით.
- * 22 სექტემბერს ქ.თელავში გაიმართა კახეთის რეგიონის საბიბლიოთეკო აქტივის შეხვედრა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წარმომადგენლებთან: საბიბლიოთეკო საქმის აქტუალურ საკითხებზე ბიბლიოთეკარებს ესაუბრნენ: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი ლევან ბერძენიშვილი, ამავე ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკატმცოდნეობის ცენტრის უფროსი გურამ თაყნიაშვილი და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი ირაკლი ღარიბაშვილი. იმავე დღეს ქ.თელავის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში დაიდგა 4 კომპიუტერი.

DVD & CD
კინო და მუსიკა



„ფორისტერის ძივნაში“ -
„FINDING FORRESTER“ (2000)

რეჟისორი - გას ვან სანტი, სცენარისტი - მაიკ რიჩი, ოპერატორი - ჰარის სევიდესი, მონტაჟი - ვალდის ოსკარსდოტირისი, მხატვარი - ჯეინ მასკი, კოსტუმები - ენ როტისი, პროდიუსერები - შონ კონერი, რონდა ტოლეფსონი და ლორენს მაკი, მუსიკა - ბილ ფრიზერის.

დისტრიბუტორი: Columbia Pictures, 136 წუთი.



ცნობილი ამერიკელი რეჟისორის გას ვან სანტის ახალი მხატვრული ფილმი მოგვითხრობს, თუ როგორ ხელმეორედ აღმოაჩინა საზოგადოებამ უილიამ ფორესტერი (მსახიობი შონ კონერი) - მწერალი, რომელიც სამყაროსაგან იზოლირებული და მივიწყებული იყო. მაგრამ, როგორც ფილმის მსვლელობიდან ირკვევა, მოიძებნა არა მხოლოდ უილიამ ფორესტერი, არამედ საზოგადოებამ აღმოაჩინა ახალგაზრდა შემოქმედი ჯამალ უოლასი (მსახიობი რობ ბრაუნი). ასე რომ, ჯამალისა და უილიამის შემთხვევითი შეხვედრა მათი ლიტერატურული ნიჭის მღუმარებისაგან გამოღვიძების საბაბი გახდა. უსიხარულო ცხოვრებაგაველილი, უკურნებელი სენით დაავადებული უილიამი სიცოცხლის ბოლოს ბედნიერია არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი უკვე საზოგადოებისათვის ცნობილი მწერალია, არამედ იმ განძით, რომელიც მან მეგობრისა და მოსწავლის სახით შეიძინა: ეს არის ახალგაზრდა ჯამალი. თავის მხრივ, უილიამის მხარდაჭერით ფრთაშესხმული ჯამალი ადვილად უმკლავდება მისდამი ეჭვით შეპყრობილ პროფესორ რობერტ კროუფორდს (მსახიობი ფ. მურეი აბრაჰამი), რომელსაც ის უბრალო პლაგიატი ეგონა და ვერ წარმოუდგინა, რომ ამ ნიჭიერ შავკანიან მოსწავლეს თურმე კალათბურთის გარდა კალმის ხმარებაც შეუძლია.

ცხადია, ფილმი ვერ გადაურჩა თანამედროვე ამერიკულ „ულტრადემოკრატიულ ტალღას“ - თეთრკანიან და შავკანიან თაობათა წარმომადგენლების მეგობრობის ფაქტი უსათუოდ ოსტატურად არის დადგმული და შესრულებული, თუმცა ოდნავ ეჭვს ბადებს თავის ჭეშმარიტებაში. ასევე მასში დიდია წინა ფილმის „Good Will Hunting“ გავლენა. სხვა საკითხია, არსებობს თუ არა ერთი რომანისათვის პულიტცერის პრემიით დაჯილდოებული, განდევნილ მცხოვრები ფორესტერის რეალური პროტოტიპი - სელინჯერი, ჰარპერ ლი თუ გარდნერ მაკკეი?

აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ ფილმების ეს ბოლო სერია ერთგვარი კომპრომისია ჰოლივუდისათვის დამახასიათებელ კლიშეებსა და რეჟისორის თავისუფლებისაკენ მისწრაფებულ სულს შორის. თუმცა განხილული ფილმი არაა განსაკუთრებული მოვლენა კინოსამყაროში, მაგრამ ის უდავოდ საინტერესოა და მკვეთრად გამოირჩევა ამერიკული საღებავი რეჟინისა და სექსის მასიური რეკლამების ფონზე.



ჯორჯ ფრიდერიკ ჰანდელი
„რინალდო“ (GEORGE FRIDERIC
HANDEL 'RINALDO')

ბენზნარდა ფინკი (გოფრედო), ჩენილია ბარტოლი (ალმირენა), დევიდ დენიელსი (რინალდო), ჯერალდ ფინლი (არგანტე), ლუბა ორგონაზოვა (არმიდა), დენიელ ტეილორი (ეუსტაზიო), ბეჟან მეთა (ქრისტიანი მაკი); ორკესტრი „ძველებური მუსიკის აკადემია“ („The Academy of Ancient Music“), დირიჟორი - ქრისტოფერ პოკუდო

DECCA 289 467 087-2 (3 კომპაქტ დისკი), 173 წუთი.
შესრულება: 9 ჩანაწერის ხარისხი: 8.5






“რინალდო/Rinaldo” არის პირველი ოპერა, რომელიც ჰენდელმა დაწერა ინგლისში 1710-1711 წლებში. ეს ის დრო იყო, როდესაც კასტრატების წყალობით იტალიურმა ოპერამ ფართო პოპულარობა მოიპოვა მთელ ევროპაში. იტალიურ ენაზე შესრულებული ოპერები ლონდონში უკვე 1705 წლიდან იღებებოდა, კერძოდ, ბონონინის “კამილა/Camilla”, რომელმაც დიდი აღიარება მოიპოვა. ამიტომაც მომწიფდა ვითარება, როდესაც ინგლისის დედაქალაქს სჭირდებოდა კომპოზიტორი, რომელიც გაახარებდა მსმენელს ახალი ნაწარმოებებით. ასეთ ფიგურად მოეწონა ლონდონის საზოგადოებას ახალგაზრდა ჰენდელი. უდავოა, რომ მის წარმატებაზე ვენეციაში უკვე იყო ცნობები, სადაც მან 1709 წელს წარმოადგინა ოპერა “აგრიპინა/Agrippina” და არნახული ფურორი მოიპოვა.

“რინალდოს” ლიბრეტისტი ჯაკოპო როსი ხელმძღვანელობდა 24 წლის დედოფლის თეატრის (მოგვიანებით, სამეფო- Quenn's [King's] Theatre) იმპრესარიოს აარონ ჰილის სქემით. იგი იმყოფებოდა ტორეკატო ტასოს განთქმული პოემის “განთავისუფლებული იერუსალიმის/ Gerusalemme liberata” შთაბეჭდილების ქვეშ, თუმცა ჰილმა წარმოადგინა ძალზე თავისუფალი გააზრება ამ ნაწარმოებისა. ახალგაზრდა იმპრესარიო აპირებდა წარმოედგინა ერთგვარი სინთეზი მუსიკის და ზღაპრული დეკორაციების სანახაობისა. ამან მოითხოვა უზარმაზარი თანხები, რაც საბოლოოდ ჰილის გაკოტრებით დამთავრდა. თავად ჰენდელი ამ ნაწარმოებში წარსდგა სრული თავისი მრავალფეროვნებით - აქ უდავოდ იყო ნაწყვეტები მისი ძველი ნაწარმოებებიდან (კერძოდ არგანტეს არია პირველი აქტიდან “Sibillar gli angui d'Aletto” გამოყენებულია კანტატიდან “Aci, Galatea e Polifemo”, ალმირენას არია “Bel piacere e godere fido amor” უდავოდ ატარებს “აგრიპინა”-ს ნიშნებს, და მისივე სევდით აღსავსე ვედრება თავისუფლებისათვის მეორე აქტიდან “Lascia ch'io pianga mia cruda sorte” კი იღებს სათავეს “Il trionfo del Tempo”-დან). ასევე ეს მრავალფეროვნება ეხება ორკესტრის სხვადასხვა სოლო ინსტრუმენტებით გამდიდრებას - კერძოდ, სამი ტრომპეტი და დაფდაფი (timpani) ზემონახსენებ არგანტეს არიაში და რინალდოს ბოლო არიაში “Or la tromba”. ფლეიტების, კერძოდ, სოპრანინო სალამურის თანხლებით არის იმპროვიზებული ჩიტების გალობა ალმირენას პირველი აქტის არია “Augeletti che cantate”. პობოისა და ფაგოტის სოლო გამოყენებულია არმიდას არიაში მეორე აქტიდან “Ah! crudel, il pianto mio, deh! ti mova” და ჰენდელის თავისებური ხელწერა - კლავესინის იმპროვიზაციები მეორე აქტის არმიდას ბოლო არიაში. მიუხედავად ტექსტის პეროიკულობისა, მთავარი გმირების სახეები მდიდრულად არის წარმოდგენილი. მაგალითად, რინალდოს პირველ აქტში არია-გოდება “Cara sposa” გმირის ერთი სახეა, და იმავე აქტის ფინალური არია სოლო ვოლინოთი და ფაგოტით ან მესამე აქტის არია “Or la tromba in suon” წარმოგვიდგენს მეომარ რინალდოს. პრემიერის შემდეგ, რომელიც შედგა 1771 წლის 24 თებერვალს, 1712-დან 1717-დე ჰენდელმა რამდენჯერმე გადააკეთა ოპერა. მოგვიანებით 1731 წელს, ოპერას უფრო ფა-

რთოდ შეეხო რევიზია. მაგრამ პირვანდელი ვარიანტი არა მარტო ყველაზე დიდა და პერსონაჟებით არის გამდიდრებული (ეუსტაზიოს როლი შემდგომ იყო ამოღებული), არამედ ძალზე მრავალფეროვანი და ინსტრუმენტალურად მდიდარია. ზუსტად ეს ვერსია წარმოადგინა კრისტოფერ პოგუდმა მის 1999 წელს გაკეთებულ ჩანაწერში, რომელიც, სხვათა შორის, ერთადერთია ამ ვერსიის სტუდიაში შესრულებებიდან. ჩვეულებისამებრ, იგი დირიჟორებს თავისი ძველებური ინსტრუმენტების ორკესტრით “The Academy of Ancient Music”. ვოკალისტ-შემსრულებელთა სია შთაბეჭდავია: კონტრატენორი - დევიდ დენიელსი, მეცო-სოპრანოები - ჩეჩილია ბარტოლი და ბენნარდა ფინცი, სოპრანო - ლუბა ორგონაზოვა და ბანი - ჯერალდ ფინლი. ჩანაწერში სამი კასტრატია მოწვეული: უკვე ხსენებული დევიდ დენიელსი, დენიელ ტეილორი და ბეჟან მეთა - პოგუდმა როლები გადაანაწილა ზუსტად ისე, როგორც პრემიერის დროს იყო. პირველი, რაც ნაწარმოების მოსმენისას ყურს ხვდება ჩანაწერის ერთგვარი სიუხეშეა: სიფაქიზისა და სინაზის იდეალური შეხამება, ის რაც ბაროკოს მუსიკის ჩაწერისას კანონია (რათა მაქსიმალური სიზუსტით იყოს გადმოცემული ძველებური ეპოქის ინსტრუმენტებისა და სტილის მანერა) აქ რატომღაც არის დარღვეული, რაც ნამდვილად ჩრდილს აყენებს ამ სხვა მხრივ მშვენიერ შესრულებას. დენიელსი პირველად არის ასეთ საპასუხისმგებლო პარტიაში მთელ ჩანაწერში და იგი უდავოდ კარგად ართმევს თავს ამ ძნელ ამოცანას. ამჟამინდელ ეპოქაში, სადაც უკვე დამკვიდრდა კონტრატენორების მონაწილეობა ბაროკოს მუსიკის შესრულებისას, დენიელსი არ იქნება ბოლო ფიგურა. ბარტოლი ისევე ბრწყინავს - რად ღირს მისი ეგზალტაცია არიაში “Lascia ch'io pianga mia cruda sorte”. ეს ის არიაა, რომელიც ეფექტურად არის გამოყენებული ბელგიელი რეჟისორის ფერარ კორბიოს გახმაურებულ ფილმში “ფარინელი”/“Farinelli: il castrato” (1994). რასაც ვერ ვიტყვით ბენნარდა ფინციზე, რენე იაკობსის მუდმივ შემსრულებელზე. იგი რატომღაც არადამაჯერებლად გამოიყურება, რაც ახასიათებს მომღერლებს, როდესაც ისინი სხვადასხვა მიზეზების გამო არ არიან ბრწყინვალე ფორმაში. ჯერალდ ფინლი ჩინებულია და იგი უდავოდ იძებნის მომცემი ბას-ბარიტონია. ლუბა ორგონაზოვა, სხვათა შორის, არ ამოვარდა საერთო შესრულებიდან, მიუხედავად იმისა, რომ მას არა აქვს ისეთი გამოცდილება ამ ეპოქის მუსიკის შესრულებაში, რითაც მტკიცდება, რომ შემოქმედებითი ექსპერიმენტის გამართლებაში მთავარია ხელმძღვანელის, დირიჟორის, სწორი ხელი და ინტერპრეტაცია. სხვა როლების შემსრულებლები ნამდვილად არ აფუჭებენ ჩანაწერს. რომ არა ფირის ტექნიკოსების ზემოაღნიშნული შეცდომა, ჩანაწერი უდავოდ იქნებოდა უნაკლო. მაგრამ ის მაინც არ კარგავს პირველობას, რადგან ამ დიდი და ძნელი იტალიური ოპერის ჰენდელისებური ინტერპრეტაციაა.

ავტორი და გვერდის რედაქტორი -
დავით გიბინიშვილი





ქალბატონ გენიაჩა სტუხუას ჩვენი მეთხოველები ჯახგად იცნობენ ხოგოხს ნიჭიეხ ეუხნაღისს, ჰხოფუნიონაღ მეთოღისსღ, ენეხიღელ ოხგანიზაღოხს, საბიბლიოთეოეო და ნიგნის საქმის და-ელაღავ ჰოპუღაღიზაღოხს. იგი ჩვენი ხედაქციის ეხო-ეხოი აქტი-უეხი მუშაეიო, ხომეღმაც ახაეხოი მნიშუნეღოვანი სტაეიო გამო-აქვეენა. ამეამად გესუხს გაგაცნოთ მისი ჰოეუეხი შემოქმედე-ბის ნიმუშები. გთავაზობთ მის ოხიოღ საბავშვო ეუქს და იმეღს გამოოეოქვამთ, ამ ეუთხით მას შემეღგომში ეუეხო ჯახგად გავეუცნობით.

ბულნარა სტურუა

ხედაქციო

ტურნიოთელა მარნეშეპი



ლეღა და მზე

მზეს ხატავდა ლეღა
ჭრეღოს და გუღონითეღას,
გაუკვირდა ყვეღას-
გიას, ნაღოს, გეღას.
-რაღომ ხატავ ლეღა,
მზეს სხვადასხვა ფერად,
მზე არ გინახიო,
განა უირაფიო?
არ დაიბნა ლეღა,
ჩაეღღიმა ნეღა,
თავშემოყრიღო ზავშვეღს
უპასუხა ნრფეღად:
-მერ მეგონა ასე,
მზე მზის ფერით სავსე,
თქვენ არ ირით კიღეეკ,
ზაღში გვიოხნრეს დიღემს.
იასამანს, ვარღსო,
მიხაკს და ზამზასსო,
მინღორსა და ვეღსო
მზე ურიგემს ფერსო.
საღებავი ზეკრი,
მწვანე თუ ნითეღი,
თუ არა აქვს თვიოთონ,
სხვას რას მისრემს ვითომ?!

მოღით, მოღით ზავშვეღო,
რა მოგიყუეთ ახაღი.
გუშინ მამამ სოფელში
ნამიყვანა მანქანით.
მომეგება ზენიო
„ჩხაპურტების ფართხუნით -
-ეს ვინ ჩამოსულაო,-
გამორბოღა ნაღყული.
გავიხარეთ სულ ყვეღამ,
გაიხარა ეზომარ,
გაღმოვიღნენ ისინირ,
ვინერ რხოვრობღნენ მეზობღად.
ზაღის კარიერ შევალეთ,
ნინ მიგვიღღვის ზენიო:
-რა კარგ დროზე გვენევიეთ-
მარნეყვიერ შემოგვესწრენიო!
მარნეყვის ჭამის სურვიღით
მოვირბინე ყვეღა ხე,
ტყემალზეღარ გავეღი,
მარნეყვი ვერსად ვერ ვნახე.
ხიდან ხეზე სირბიღით
გავაოყე ზენიო,
მე კი ჩემთვის ვფიქრობღი-
ზეღო გამხუმრენიო.
რისი მარნეყვი, რა მარნეყვი,
რომელ ხეზე, საღ არი?...
ყვეღა შემოვიარე,
ღამრჩა მარტო ჭადარი.
ფიქრენში ვარ გართული,
ამ დროს მოღის ნაღყული,
თანარ მოაქვს კაღათი
მოხაღყული, დანხული.
მწვანე ხავრღოვანი
გაღანია ბარღენი,
ღიმიღით მიყურენღნენ
ტუჩნითეღა მარნეყვი.



ღამაჲა ჩრეულიშვილი ჯაჲგადაა ცნობილი აჲა მახყო საბიბლიოთეყო, აჲამედ მჲითხველთა საზოგადოებაშიც. წლების განმავლობაში მუშაობდა გადაქციონ ტაბიძის სახელობის თბილისის საქალაქო ბიბლიოთეჲაში, შემდეგ – ფაბიჲა „ქინანისის“ ბიბლიოთეჲის გამგედ. ჲოგოჲც თვითონ ამბობს, თუ უნინ მჲითხველებს ემსახუეზოდა აქტიუჲად, ახლა უევე თვითონ აჲის '3 –ე ბიბლიოთეჲის აქტიუი მჲითხველი. მას აჲაუჲითი ლუჲი აჲეს გამოუეუენებელი ეუჲნაღ-გაზუთებში. ამუამად გთავაზობთ ჲამედენიმეს, ჲომლებოე გენიადეჲი გადაქციონის მუზის თაყვანისცემას გამოსაატავს.

ლუზარბ რჩეულიშვილი

ლეგენდის ბაბრძილუბა



მწუსარე ლამის შეირბა ფარდა ...
პოეტი „მერის“ მღერის.
ეს ლამერ იმავ ლამესა ჰგავდა,
მან რომ დაკარგა მერი.

ქაღის, რომ ეტრფოდა გალაკციონი
მისი სურათი ვნახეთ;
თითქოს აღელდა მტკვარი, რიონი,
ღამაში ქაღის სახე.

წლებგარდასულის, თმადათოვლილის ...
ისეე არორხლებს წარსუღის;
გალაკციონი კვღავ სიყვარულით
მოუხმობს ქართვეღ ასუღს ...

პოეტის გული მისთვის არ ძგერდა,
სხვგან დიღო ზინა;
იღის ლოღინში დიდ გალაკციონს
მთანმინღის მთაზე ძინავს ...

ფერბთ გაუშაღეს ფინდაზენი, –
იყო პოეტის ნეზა, –
ქართვეღებისთვის ხარ სიყვარუღის
ლეგენღის გავრძეღება.

თბიღისის რა ლექსთა მეფეს,
ფერბთით გიფენს ყვითელ ვარდებს,
მწვერვალენზე მეორენენს,
ღაუქვარდებში მონავარდეს.

ღამემ იხმო ვარსკვღავენი,
მთვარემ გული გინავრა,
უკვღავენის ძეღღად დგენი,
აუსრულდა ქართვეღს ნატვრა!...

ძვაში შენი აშღერება

სიღღერაო მყინვარენის,
სიღღადღევ, სულითქმავ ჩვენთა;
ფამი დადგა მღუშარენის,
კღღიღან წყაროდ გადმონვეთავ!

სინარულიო, Პ, ამღენი
გულიმა როგორ დიღციოს?!
ქვაშიერ რორხღად გავიღარკოს,
მუზის მეფევ, გალაკციონ!

რას ჰფენია შუქი რისკრის,
ღაგფენია ვარდ-ფურრღენი,
ქვაში ისე გარისკროვნღი,
არასოღეს დადუშღენი!



მოიქროღა მთანმინღიღან
სიღმ შენით ნაფერებმა,
ღღეს ინყება მშვიღად, წყნარად
ქვაში შენი აშღერება.

მს სპინსუკმსოა

1752 წელს გამოიცა ბრძანება, რომლის თანახმადაც ლონდონის საჯარო ბიბლიოთეკის მეთხველი გაიროზგებოდა და 7 წლით ჩაჯდებოდა ციხეში, თუ ჩაეცევადა წიგნის ფურცელს. წიგნის დაკარგვის შემთხვევა ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას 20 წლით.

ბელგიაში გამოვიდა წიგნი, რომელშიც ყველა ფურცელი აბსოლუტურად სუფთაა. წიგნს ჰქვია „ გაუნსენებელი მოგონებები “.

ლეონარდო და ვინჩის „მონა ლიზა“ (ჯოვონდა) პარიზის ლუვრიდან ვაშინგტონის გამოფენაზე გადატანისას, დაზღვევის მიზნით, შეფასდა ერთ მილიონ დოლარად. გამოფენა გაგრძელდა 1962 წლის 14 დეკემბრიდან 1963 წლის 12 მარტამდე. სურათი შესრულებულია 1503-1507 წლებში. მისი ზომებია 77 x 53 სმ. ფიქრობენ, რომ მასზე გამოხატულია მონა ლიზა ფერარდინი – ფრანკესკო დელ ჯონდოს მეუღლე ფლორენციიდან ან კონსტანცა დ. ავალოსი, რომელსაც შემთხვევით ჯოვონდა შეარქვეს. საფრანგეთის მეფემ ფრანცისკო I-მა შეისყიდა სურათი თავისი სააბაზანო ოთახისათვის 1517 წელს 4000 ოქროს ფლორინად, რაც 15,3 კგ. ოქროს იწონიდა.

აღიარებულია, რომ ყველაზე ნაყოფიერი მხატვარი იყო პიკასო. მისი შემოქმედებითი აქტიურობა გრძელდებოდა 78 წელი და დახატული აქვს დაახლოებით 13 500 სურათი, 100.000 გრაფიურა, 34 000 წიგნის ილუსტრაცია, შექმნილი აქვს 300 ქანდაკება და კერამიკული ფიგურა. მისი შემოქმედების ნიმუშები შეფასებულია 500 მილიონ ფუნტ სტერლინგად.

სანკ – პეტერბურგის ზამთრის სასახლეში დაფუძნებული ერმიტაჟი ითვლება ყველაზე გიგანტურ გალერეად. მხახველებმა უნდა გაიარონ 24 კმ. რომ დაათვალიერონ 322 დარბაზი, რომლებშიც გამოფენილია 3 000 000 ხელოვნების ნიმუში და არქეოლოგიური დეტალი.

მსოფლიოში ყველაზე დიდი ტირაჟით გავრცელებულ წიგნად ითვლება ბიბლია, რომელიც თარგმნილია 186 ენაზე, მისი ნაწილები კი – 1522 ენაზე. მეორე ადგილზეა ვ.ი. ლენინის ნაწარმოებები, რომლებიც 222 ენაზეა თარგმნილი.

მსოფლიოში ყველაზე დიდ ბიბლიოთეკად ითვლება 1800 წ. 24 აპრილს დაარსებული ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკა. მისი შენობის სართულების ფართობი 26,14 ჰექტარს უდრის, ხოლო თაროების სიგრძე – 856 კმ.

1986 წ. დეკემბერში ცნობილი გახდა აბონენტის მიერ ყველაზე დიდი ხნით წიგნის დაგვიანების შემთხვევა. ეს იყო 1656-1667 წლებში გამოცემული „ტაუნსენდის კრებული“- ბრიტანეთის კანონების წიგნი. იგი 319 წლის შემდეგ დაუბრუნა ბიბლიოთეკას უცნობმა პირმა უბრალო კონვერტით, რათა აეცილებინა ათასი დოლარი ჯარიმა პენსილვანიის სახელმწიფო ბიბლიოთეკის სასარგებლოდ.

ყველაზე პატარა წიგნი არის საბავშვო ზღაპარი – „მოხუცი მეფე კოული“, ზომით 1x1 მმ. წიგნი გამოიცა 85 ეგზემპლარად, 1985 წელს შოტლანდიაში. მისი გვერდების გადაფურცვლა შეიძლება მხოლოდ ნემსით (მალან ფრთხილად).

ყველაზე დიდი წიგნი „სუპერწიგნი“, რომლის ზომებია 2,74x3,07 მ. და იწონის 252,6 კგ. – ს, შეიცავს 300 გვერდს, გამოცემს ამერიკის კოლორადოს შტატში, ქ. დენვერში, 1976 წ.

რეკორდული თანხა – 9 900 000 დოლარი გადაიხადეს აუქციონზე ვან გოგის (1853-1890) სურათში „მზის ჩასვლის პეიზაჟი“, რომელიც განსვენებულ ქალბატონს ფლორენს გოულდის (გარდ. 1983) ეკუთვნოდა. 1985 წელს სურათი შეისყიდა ანონიმურმა კერძო კოლექციონერმა ნიუ-ორკიდან.

რეზნი გულისტკივილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხაშურის ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის თანამშრომლები მწუხარებასა და გულისტკივილს გამოხატავენ ამ სისტემის დირექტორის, დეა-წლმოსილი ბიბლიოთეკარისა და შესანიშნავი მოქალაქის როზა ისიდორეს ასულ ლომიძე – თუმანიშვილის გარდაცვალების გამო.

როზა ლომიძემ ბიბლიოთეკაში მუშაობა 1955 წელს დაიწყო. აქ, ხაშურის სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკაში ეზიარა იგი ბიბლიოთეკარის პროფესიას, გულთ შეიყვარა ბავშვები და საბავშვო ლიტერატურა. ბიბლიოთეკარის პროფესია მისი მოწოდება იყო. 1963 წელს მან დაუსწრებლად დაამთავრა თბილისის ა.ს.კუშინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ბიბლიოთეკათმცოდნეობის სპეციალობით. 1977 წლიდან იგი სამუშაოდ გადადის ცენტრალურ რაიონულ ბიბლიოთეკაში. ერთხანს იგი რაიონის კულტურის განყოფილებაში მუშაობდა ინსტრუქტორის თანამდებობაზე. ბოლო 1985 წლიდან ამავე სისტემის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორია.



როზა ლომიძე ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში ყოველთვის გამოირჩეოდა ადამიანებთან გულთბილი დამოკიდებულებით, ღრმა პროფესიონალიზმითა და უდიდესი პასუხისმგებლობით. ჰქონდა სათნო, მოსიყვარულე გული, რომლის სითბოს თანაბრად გრძნობდა ახლოს მყოფი: ბიბლიოთეკარი, მკითხველი, თითოეული ხაშურელი მოქალაქე.

საბიბლიოთეკო საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს, ეკონომიურ გასაჭირსა და სხვა სახის რიგით პრობემებს რ.ლომიძემ დაუპირისპირა ნამდვილად მისაბაძი შემართება. გულმოდგინება, ენთუზიაზმი, და რაც მთავარია, თავისი შრომითი კოლექტივის შინაგანი ერთიანობა, რომელიც ურთიერთპატივისცემასა და პასუხისმგებლობაზე იყო დაფუძნებული. იგი დღენიდაგ ზრუნავდა ბიბლიოთეკების შენარჩუნებასა და თანამშრომელთა კეთილდღეობაზე. რ.ლომიძე საქართველოს ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემებიდან ერთი პირველთაგანი გამოეხმაურა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის შექმნასა და პირველი ქართული პროფესიული ჟურნალის დაფუძნებას. მისი ფხიზელი გონება, შემართული ხასიათი და ადამიანებთან დამოკიდებულების საოცრად გულწრფელი ტაქტი დიდხანს ემასხოვრებათ მის კოლეგებს: ბიბლიოთეკარებს, მკითხველებს, თითოეულ ხაშურელს.

**საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის გამგეობა;
ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობის
ცენტრი;
ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქცია.**



წიგნი ქუჩაში გამოვინა ქუჩაში გამოვინა უკომენტაროდ

(ილუსტრაციები სტატიისათვის „წიგნი და კომერცია“)

ჩვენს მკითხველებს ვთხოვთ, თავად გააკეთონ კომენტარები და გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება ამ მოვლენებისადმი. გვინდა სტატიაში წამოყენებული მოსაზრებები განსჯის საგნად იქცეს – როგორ დავეხმაროთ წიგნმოვაჭრეებსა და მათ მომხმარებლებს უფრო მოხერხებული, ცივილური და სასიამოვნო გახდეს მათი ურთიერთობა.

პატივისცემით – თქვენი კონსერვატი



წინა ნომერში გამოქვეყნებული ანაზღაურების პასუხები:
 თარაზულად: 3) ბუნი; 8) ვაჭარი; 9) ქალიშვილი; 11) იმედი; 13) პლაპილი;
 15) მღევარი; 16) ბარი; 17) ბელაური; 19) პატარა; 21) გული; 22) ტურა; 23)
 მოლაღატე; 25) სწავლა; 26) ბაღა; 27) ყრღი; 31) ხევარული; 33) ნეშა;
 შევუღად: 1) ქახალი; 2) ძაღლი; 3) ბურთი; 4) ზღვა; 5) თვალი; 6) კლიტე;
 7) საჭმე; 10) შენობა; 12) საბანი; 14) პარასკევი; 16) ბედი; 18) რეგენი; 19)
 პატარალი; 20) ადამიანი; 24) ღმერთი; 28) დარდი; 29) ძღვენი; 30) ურემი; 32)
 ლხობი.

2002



იანვარი

ორშ.	7	14	21	28	
სამ.	1	8	15	22	29
ოთხ.	2	9	16	23	30
ხუთ.	3	10	17	24	31
პარ.	4	11	18	25	
შაბ.	5	12	19	26	
კვ.	6	13	20	27	

მაისი

6	13	20	27	
7	14	21	28	
1	8	15	22	29
2	9	16	23	30
3	10	17	24	31
4	11	18	25	
5	12	19	26	

სექტემბერი

2	9	16	23	30
3	10	17	24	
4	11	18	25	
5	12	19	26	
6	13	20	27	
7	14	21	28	
1	8	15	22	29

თებერვალი

ორშ.	4	11	18	25
სამ.	5	12	19	26
ოთხ.	6	13	20	27
ხუთ.	7	14	21	28
პარ.	1	8	15	22
შაბ.	2	9	16	23
კვ.	3	10	17	24

ივნისი

3	10	17	24	
4	11	18	25	
5	12	19	26	
6	13	20	27	
7	14	21	28	
1	8	15	22	29
2	9	16	23	30

ოქტომბერი

7	14	21	28	
1	8	15	22	29
2	9	16	23	30
3	10	17	24	31
4	11	18	25	
5	12	19	26	
6	13	20	27	

მარტი

ორშ.	4	11	18	25	
სამ.	5	12	19	26	
ოთხ.	6	13	20	27	
ხუთ.	7	14	21	28	
პარ.	1	8	15	22	29
შაბ.	2	9	16	23	30
კვ.	3	10	17	24	31

ივლისი

1	8	15	22	29
2	9	16	23	30
3	10	17	24	31
4	11	18	25	
5	12	19	26	
6	13	20	27	
7	14	21	28	

ნოემბერი

4	11	18	25	
5	12	19	26	
6	13	20	27	
7	14	21	28	
1	8	15	22	29
2	9	16	23	30
3	10	17	24	

აპრილი

ორშ.	1	8	15	22	29
სამ.	2	9	16	23	30
ოთხ.	3	10	17	24	
ხუთ.	4	11	18	25	
პარ.	5	12	19	26	
შაბ.	6	13	20	27	
კვ.	7	14	21	28	

აგვისტო

5	12	19	26	
6	13	20	27	
7	14	21	28	
1	8	15	22	29
2	9	16	23	30
3	10	17	24	31
4	11	18	25	

დეკემბერი

2	9	16	23	30
3	10	17	24	31
4	11	18	25	
5	12	19	26	
6	13	20	27	
7	14	21	28	
1	8	15	22	29

საქართველოს
პრეზიდენტი

ღირსესანიშნავი და საიუზილო თარიღების კალენდარი (პიზლიოთიკების დასახმარებლად)

იანვარი

75 წლის წინათ (1927) დაიბადა ელგუჯა მაღრაძე – გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1999 წ.

3 იანვარი – 90 წლის წინათ (1912) დაიბადა ანდრო თევზაძე – ქართველი პოეტი. გარდაიცვალა 1974 წ.

4 იანვარი - 150 წლის წინათ (1852) თბილისში გიორგი ერისთავის რედაქტორობით გამოვიდა პერიოდული ჟურნალის „ცისკრის“ პირველი ნომერი.

7 იანვარი – შობა – უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი (ძველი სტილით 25 დეკემბერი).

- 100 წლის წინათ (1902) დაიბადა ნიკოლოზ სანიშვილი – გამოჩენილი ქართველი კინორეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი. გარდაიცვალა 1995 წ.

12 იანვარი – 170 წლის წინათ (1832) გამოვიდა პირველი ქართული ჟურნალი „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებთან“.

13 იანვარი – 130 წლის წინათ (1872) დაიბადა ნინო ნაკაშიძე – ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1963 წ.

14 იანვარი – ქართული თეატრის დღე.
- 85 წლის წინათ (1917) დაიბადა ლადო ასათიანი – ქართველი პოეტი. გარდაიცვალა 1943 წ.

19 იანვარი – ნათლისღება I გაცხადება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

27 იანვარი – წელს სრულდება 290 წელი (1712) შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ნაბეჭდი გამოცემიდან.

თებერვალი

3 თებერვალი – 95 წლის წინათ (1907) დაიბადა გიორგი კაჭახიძე – ქართველი საბავშვო პოეტი. გარდაიცვალა 1979 წელს.

5 თებერვალი – 200 წლის წინათ (1802) დაიბადა მარი ფელისიტე ბროსე – ფრანგი ორიენტალისტი და ქართველოლოგი, გარდაიცვალა 1880 წ.

6 თებერვალი – 190 წლის წინათ (1812) დაიბადა ჩარლზ დიენსი – ინგლისელი მწერალი, გარდაიცვალა 1870 წ.

8 თებერვალი – დავით აღმაშენებლის ზეობის (ხსენების) დღე. დავითობა.

15 თებერვალ – 75 წლის წინათ (1927) დაიბადა არჩილ სულაკაური – ქართლველი მწერალი

და საზოგადო მოღვაწე. რუსთაველის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1997 წ.

150 წლის წინათ (1852) დაიბადა ნიკო ლომოური – ქართველი მწერალი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1915 წ.

26 თებერვალი – 115 წლის წინათ (1887) დაიბადა აკაკი შანიძე – ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი, საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1987 წ.

27 თებერვალი – 100 წლის წინათ (1902) დაიბადა ჯონ ერნსტ სტეინბეკი. ამერიკელი მწერალი. გარდაიცვალა 1992 წ.

- 200 წლის წინათ (1802) დაბადა ვიქტორ ჰიუგო – ფრანგი მწერალი. გარდაიცვალა 1885 წ.

მარტი

2 მარტი – 85 წლის წინათ (1917) დაიბადა მირზა გელოვანი – ქართველი პოეტი, დაიღუპა 1944 წ.

3 მარტი – დედის დღე.
8 მარტი – ქალთა საერთაშორისო დღე. 1910 დაწესდა ეს დღესასწაული.

14 მარტი – 100 წლის წინათ (1902) დაიბადა ირაკლი თოიძე – საქართველოს სახალხო მხატვარი. გარდაიცვალა 1985 წ.

16 მარტი – 95 წლის წინათ (1907) დაიბადა კარლო კალაძე – ქართველი პოეტი. გარდაიცვალა 1988 წ.

ქართული ჟურნალისტიკის დღე.
25 მარტი – 70 წლის წინათ (1932) დაიბადა მიხეილ ხერგიანი – „კლდის ვეფხვად“ წოდებული მთამსვლელი. გარდაიცვალა 1969 წ.

27 მარტი – თეატრის საერთაშორისო დღე.

აპრილი

2 აპრილი – საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღე.

3 აპრილი – 140 წლის წინათ (1862) დაიბადა დავით კარიჭაშვილი – ქართველი მწერალი, ლიტერატურათმცოდნე, ჟურნალისტი, გამოცემული და ბიბლიოგრაფი, გარდაიცვალა 1927 წ.

7 აპრილი – ჯანმრთელობის მსოფლიო დღე.
- 90 წლის წინათ (1907) დაიბადა ილია (ილიკო) სუხიშვილი. ქართველი ქორეოგრაფი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. გარდაიცვალა 1985 წ.

9 აპრილი – საქართველოს ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე.

100 წლის წინათ (1902) დაიბადა ალექსანდრე ბარამიძე - ქართველი მეცნიერი, ლიტერატურათმცოდნე. გარდაიცვალა 1994 წ.

190 წლის წინათ (1812) დაიბადა ვახტანგ ორბელიანი - ქართველი რომანტიკოსი პოეტი. გარდაიცვალა 1890 წ.

10 აპრილი -75 წლის წინათ (1927) დაიბადა გიორგი წერეთელი - ქართველი პოეტი.

75 წლის წინათ (1927) დაიბადა ვახტანგ ჭელიძე - ქართველი მწერალი.

12 აპრილი - კოსმონავტიკის დღე.

14 აპრილი - ქართული ენის დღე.

80 წლის წინათ (1922) დაიბადა დავით თორაძე - ქართველი კომპოზიტორი. გარდაიცვალა 1983 წ.

18 აპრილი - ძეგლებისა და ისტორიული ადგილების დაცვის საერთაშორისო დღე.

24 აპრილი -200 წლის წინათ (1802) დაიბადა ალექსანდრე ორბელიანი - ქართველი პოეტი, დრამატურგი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, გარდაიცვალა 1869 წ.

28 აპრილი - ბზობა

მაისი

5 მაისი - აღდგომა - უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

6 მაისი - გიორგობა. ხსენება დიდებულისა დიდისა მოწამისა, ძლევაპოსილისა და საკვირველთმოქმედისა გიორგისა. (305 წ.).

- 100 წლის წინათ (1902) დაიბადა ჰიუგო კუპერტი - ავსტრიელი პოეტი „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი. გარდაიცვალა 1972 წ.

8 მაისი - წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო დღე.

9 მაისი - ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღესასწაული.

14 მაისი - თამარობა. ხსენება წმიდა კეთილმოსურნე ქართველთა დიდი მეფისა - თამარისი.

26 მაისი - საქართველოს სახელმწიფოებრიობის დამოუკიდებლობის აღდგენის დღე - ეროვნული დღესასწაული.

27 მაისი - 160 წლის წინათ (1842) დაიბადა გიორგი წერეთელი - ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1900 წ.

28 მაისი - 130 წლის წინათ (1872) დაიბადა კოტე მარჯანიშვილი - ქართველი რეჟისორი. ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი. გარდაიცვალა 1933 წ.

ივნისი

1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე.

5 ივნისი - გარემოს დაცვის მსოფლიო დღე.

23 ივნისი - 85 წლის წინათ (1917) დაიბადა ელიზბარ უბილავა - ქართველი მწერალი.

27 ივნისი - 155 წლის წინათ (1847) დაიბადა გიორგი ჭალადიდელი (ქოჩაკიძე) - ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1989 წ.

28 ივნისი - 290 წლის წინათ (1712) დაიბადა ჟან ჟაკ რუსო - ფრანგი ფილოსოფოსი, მწერალი, ენციკლოპედისტი.

ივლისი

ივლისის პირველი კვირა საქართველოს საზღვაო ფლოტის დღეა.

8 ვილისი - 150 წლის წინათ (1852) დაიბადა არტურ ლაისტი. გერმანელი მწერალი, ქართველოლოგი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, „საქართველოს გული“-ს ავტორი. გარდაიცვალა 1927 წ.

11 ივლისი - 70 წლის წინათ (1932) დაიბადა ტარიელ ჭანტურია - ქართველი პოეტი.

24 ივლისი - 200 წლის წინათ (1802) დაიბადა ალექსანდრე დიუმა (მამა). - გამოჩენილი ფრანგი მწერალი. გარდაიცვალა 1870 წ.

26 ივლისი - დაიბადა ვაჟა ფშაველა (1861-1915).

29 ივლისი - 105 წლის წინათ (1897) დაიბადა რაჟდენ გვეტაძე - ქართველი მწერალი. გარდაიცვალა 1952 წ.

აგვისტო

2 აგვისტო - ილიაობა.

3 აგვისტო - 70 წლის წინათ (1932) დაიბადა თენგიზ არჩვაძე - საქართველოს სახალხო არტისტი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

23 აგვისტო - 75 წლის წინათ (1927) დაიბადა გივი ძნელაძე - ქართველი პოეტი.

24 აგვისტო - საქართველოს კონსტიტუციის დღე.

25 აგვისტო - 160 წლის წინათ (1842) დაიბადა ანასტასია თუმანიშვილი - ჟურნალ „ჯეჯილი“-ს დამაარსებელი გარდაიცვალა 1932 წ.

28 აგვისტო - მარიამობა. მიძინება ყოვლადწმიდა ღვთიშობლისა.

სექტემბერი

1 სექტემბერი - ცოდნის დღე.

- მშვიდობის მსოფლიო დღე.

85 წლის წინათ (1917) გაიხსნა თბილისის კონსერვატორია.

8 სექტემბერი - 120 წლის წინათ (1882) დაიბადა ვარინკა (ბარბარე) მაჭავარიანი - წერეთელი - სიმღერა „სულიკოს“ ავტორი. გარდაიცვალა 1919 წ.

11 სექტემბერი - 140 წლის წინათ (1862) დაიბადა დავით კლდიაშვილი - ქართველი მწერალი, საზოგადო მოღვაწე, გარდაიცვალა 1931 წ.

12 სექტემბერი - 95 წლის წინათ (1907) ვერაგულად მოჰკლეს ილია ჭავჭავაძე.

70 წლის წინათ (1932) დაიბადა გურამ თიანაძე - მთამსვლელი, ფოტოჟურნალისტი, დაიღუპა 1961 წ.

21 სექტემბერი - შობა ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა მარიამისა.

- 130 წლის წინათ (1872) დაიბადა კონდრატე თათრაშვილი (უიარაღო) ქართველი მწერალი. გარდაიცვალა 1929 წ.

27 სექტემბერი - ტურიზმის მსოფლიო დღე.

ოქტომბერი

ოქტომბრის პირველი კვირა სპორტის დღეა.

1 ოქტომბერი - მუსიკის საერთაშორისო დღე.

- ხანდაზმულთა და თაობათა სოლიდარობის დღე.

2 ოქტომბერი - 75 წლის წინათ (1927) დაიბადა რეზო თაბუკაშვილი - ქართველი მწერალი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. გარდაიცვალა 1990 წ.

- 150 წლის წინათ (1852) დაიბადა გრიგოლ ჩარკვიანი - ქართველი გამომცემელი, წიგნმოყვარე, ბიბლიოგრაფი, მესტამბე, გარდაიცვალა 1922 წ.

14 ოქტომბერი - მცხეთობა. სვეტიცხოვლობა, კვართის დღესასწაული.

15 ოქტომბერი - 175 წლის წინათ (1827) დაიბადა მიხაი ზიჩი - უნგრელი ფერმწერი. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი. გარდაიცვალა 1906 წ.

- 90 წლის წინათ (1912) დაიბადა კუკური გოგიასვილი - ქართველი პოეტი. გარდაიცვალა 1984 წ.

18 ოქტომბერი - 70 წლის წინათ (1932) დაიბადა რევაზ ღლონტი - ქართული წიგნისა და ბიბლიოგრაფიის საქმის მოღვაწე.

20 ოქტომბერი - 75 წლის წინათ (1927) დაიბადა ნაზი კილასონია - ქართველი პოეტი. გარდაიცვალა 1998 წ.

24 ოქტომბერი - გაერთიანებული ერების საერთაშორისო დღე.

26 ოქტომბერი - 135 წლის წინათ (1867) დაიბადა დუტუ მეგრელი (დიმიტრი ხოშტარია) - ქართველი პოეტი, გარდაიცვალა 1938 წ.

29 ოქტომბერი - რუსთაველის დღე - პოეზიის დღე.

ოქტომბრის ბოლო კვირა - თბილისობა. ქობის და მეგობრობის დღესასწაული.

ნოემბერი

3 ნოემბერი - 115 წლის წინათ (1887) დაიბადა ს. ი. მარშაი - რუსი პოეტი. გარდაიცვალა 1964 წ.

8 ნოემბერი - 165 წლის წინათ (1837) დაიბადა ილია ჭავჭავაძე. ვერაგულად მოკლეს 1907 წ.

10 ნოემბერი - ახალგაზრდობის მსოფლიო დღე. - საქართველოს პოლიციის დღე.

14 ნოემბერი - 80 წლის წინათ (1922) დაიბადა ასტრიდ ლინდგრენი - შვედი მწერალი ქალი.

15 ნოემბერი - 80 წლის წინათ (1922) დაიბადა გიგლა ფირცხალავა - ქართველი მხატვარი-კარიკატურისტი. გარდაიცვალა 1983 წ.

17 ნოემბერი - დაიბადა გალაკტიონ ტაბიძე (1891). გარდაიცვალა 1959 წ.

19 ნოემბერი - 100 წლის წინათ (1902) დაიბადა დავით გაჩეჩილაძე - ქართველი პოეტი, დრამატურგი, მთარგმნელი. გარდაიცვალა 1974 წ.

25 ნოემბერი - 80 წლის წინათ (1922) დაიბადა ვასო ბაიაძე - ქართველი მწერალი და კრიტიკოსი. გარდაიცვალა 1993 წ.

დეკემბერი

3 დეკემბერი - 185 წლის წინათ (1817) დაიბადა ნიკოლოზ ბარათაშვილი - დიდი ქართველი პოეტი. გარდაიცვალა 1845 წ.

7 დეკემბერი - საქართველოს სამოქალაქო ავიაციის დღეა.

10 დეკემბერი - საქართველოს ადამიანთა უფლებების დაცვის დღე.

25 დეკემბერი - ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი. (ძველი სტილით 7 იანვარი).

- 100 წლის წინათ (1902) დაიბადა ივანე პაპასკორი - აფხაზი მწერალი, გარდაიცვალა 1980 წ.

26 დეკემბერი - 105 წლის წინათ (1897) დაიბადა ნიკო კეცხოველი - ქართველი ბოტანიკოსი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1982 წ.

27 დეკემბერი - 100 წლის წინათ (1902) დაიბადა სიმონ ჩიქოვანი. ცნობილი ქართველი პოეტი. გარდაიცვალა 1960 წ.

კალენდარი შეადგინა
რუსუდან კვირიკაშვილმა

პირველ ქართულ პროფესიულ ჟურნალს სიხარულით დაგულბენ რეპორაჟები



187109

AMERICAN
MUSEUM OF
NATURAL HISTORY

